სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 5 მაისი 1999 №81 (854) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

9 ისევ ბარსა ისევ კრუიფი

10 ფერგიუსონი არ მიდის

შოტლანდიელი მწვრთნელის მანჩესტერული ეპოქა 2002 წლამდე გაგრძელდება

12 ტონგას კორეა ბდღვნად არ ეყო

ქართველ მორაგბეთა დამმარცხებელმა პოლინეზიელებმა კორეელებიც გადათელეს და მსოფლიო თასზეც ითამაშებენ

ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს ჩრდილოელები 7800 მეტრზე

დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ) მოიერიშე ქართველ მთამსვლელთა ორივე ჯგუფის წევრები იქიდან მონაცვლეობით გვაწვდიან ინფორმაციებს, რასაც, ცხადია, მკითხველს ოპერატიულად ვაცნობთ.

გუშინ დილით ჩრდილოეთის ფერდობიდან ამსვლელი ექსპედიციის მეთაურმა გია თორთლაძემ საბაზო ბანაკიდან შეგვატყობინა, რომ ჩვენს მთამსვლელებს 7200 მეტრზე მდებარე მეორე საიერიშო ბანაკში სააკლიმატიზაციოდ სამი ღამე გაუტარებიათ, მერე 7800 მეტრზე ასულან, იქამდე, როგორც გეგმავდნენ, მარშრუტი დაუმუშავებიათ და კიდევ ერთი ბანაკი დაუდგამთ.

ახლა ჩვენი „ჩრდილოელი" მთამსვლელები საბაზოში ხუთი დღით აპირებენ დასვენებას, მერე კი 8200 მეტრის სიმაღლეზე მეოთხე საიერიშო ბანაკს დადგამენ და, შესაძლოა, მწვერვალზეც იქიდან ავიდნენ.

რაც შეეხება სამხრეთის კლასიკური მარშრუტით ამავალ ექსპედიციას „მშვიდობიანი კავკასია 99", რომელსაც ბენო ქაშაკაშვილი მეთაურობს, შეგახსენებთ, რომ მან ბოლო ინფორმაციის თანახმად მეოთხე საიერიშო ბანაკი 8000 მეტრს დადგა, საბაზოში ხუთი დღით დასასვენებლად ჩავიდა და გეგმის მიხედვით დღეს კვლავ დაიძრება დაახლოებით 8200-8300 მეტრის სიმაღლეზე ბოლო საიერიშო ბანაკის მოსაწყობად.

ავთანდილ ჭყვიშელი

იოჰან ბოსკამპი ბატონი 99%



ირანელი ნიკოლოზის ფოტო

ხვალ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აღმასკომს ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელის ერთადერთ, ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპის კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს

აღმასკომიდან აღმასკომამდე ბევრი რამ შეიცვალა

სხვა არავინ!

იოჰან ბოსკამპი: მეხუთე და პირველი

იოჰან ბოსკამპი და ზაზა ბოკერია

კობა ინასარიძე

ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ! თანაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი — საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი გაწვრთნის.

სწორედ ასე ამჯობინა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ და ახლა ბოსკამპის მწვრთნელად დანიშვნას მხოლოდ აღმასკომის წევრთა თანხმობაღა სჭირდება.

ეს ამბავი გუშინ შევიტყვეთ. მაშინ, როცა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ იოჰან ბოსკამპთან და დავით ყიფიანთან სამსაათიანი მოლაპარაკება დაასრულეს.

იერი ჩვეულებრივი, არაფერი განსაკურთებული, ისეთი, კმაყოფილ ადამიანებს რომ აქვთ. არადა, იმ კაბინეტში, სადაც ისინი ისხდნენ, ქართული ფეხბურთის დამწუხრებულ ქომაგთათვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა. აკი გადაწყდა კიდეც — ჰოლანდიელი სპეციალისტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნებს ეროვნული გუნდის გაწვრთნაზე დაყაბულდა.

აბა, მოვლენაც ეს არის, ფორმალობაღა და... საქართველოს ნაკრებს პირველი უცხოელი მწვრთნელი ეყოლება.

სწორედ ფორმალობაღა დარჩენილა, რადგანაც გუშინწინ ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, აღმასკომის სხდომაზე არავითარი განხილვა არ იქნება, ჩვენი კანდიდატურა უპრობლემოდ დამტკიცდება, აღმასკომის წევრებთან ყოველდღიური კონტაქტი გვაქვსო.

ახლა თავად განსაჯეთ, რა მოხდება 6 მაისს სასტუმრო „შერატონში". ჩვენი აზრი თუ გაინტერესებთ, გამორიცხულია, აღმასკომის წევრებმა ბოსკამპის კანდიდატურა დაიწუნონ და სხვა ამჯობინონ. მით უმეტეს, რომ ის „სხვაც" აღარ არის, რადგანაც იმ სამსაათიანი შეხვედრის მერე ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურმა კანდიდატმა დავით ყიფიანმა გვითხრა: „ფედერაციის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა კი შემომთავაზეს, ეროვნული გუნდი ჩაიბარეო, მაგრამ უარი ვუთხარი. ვფიქრობ, სჯობს, ახლა ნაკრების მწვრთნელი უცხოელი იყოს. იოჰან ბოსკამპს პირადად ვიცნობ, ძალიან კარგი, მცოდნე სპეციალისტია. დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს გამოადგება და ბევრ სიკეთეს მოუტანს. ჩემი ფუნქცია კი ჯერაც გაურკვეველია, ალბათ, რაღაცას მოვიფიქრებთ. აღმასკომის სხდომის შემდეგ ყველაფერი მეცოდინება. მზად ვარ, ქართულ ფეხბურთს ვემსახურო და ბოსკამპსაც შეძლებისდაგვარად დავეხმარო. მით უმეტეს, თავად მითხრა, ერთად ვიყოთო" — ეს თქვა კაცმა, რომელიც გუშინდლამდე ძალიან ბევრს უკვე ნაკრების მწვრთნელი ეგონა. თანაც იგი ეროვნულს ადრეც თავკაცობდა და, ფედერაციის პრეზიდენტის ნათქვამისა არ იყოს, წინამორბედებზე უკეთ იმუშავა.



მურთაზ ხურცილავას ახალგაზრდული ერგო



დავით ყიფიანი ჯერაც საქმეს ელის



მერაბ ჟორდანიამ ბოსკამპი ირჩია

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲝᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

მეორე „სხვა" კი, რომელსაც ფედერაციის უფროსები ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთ კანდიდატად განიხილავდნენ, გუშინ ჟორდანიას საერთოდ არ შეხვედრია. მურთაზ ხურცილავა ჩოლარიას მოცლას ელოდა და მასთან საუბარს აპირებდა. მას, ცოტა არ იყოს, ეუხერხულა კიდეც პრეზიდენტის კაბინეტში შესვლა. თუმცა კი ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ერთ-ერთ მუშაკს ჰკითხა, რაც გთხოვე, თუ გამიკეთე, ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ყველა 21-წლამდე ფეხბურთელის გვარსახელი თუ ამომიწერეო. ეს კი, დაგვეთანხმებით, ალბათ, იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ხურცილავა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად შეუგულებიათ: „ჯერ არაფერი ვიცი, ეროვნული გუნდის მწვრთნელობა ჩემთვის არ შემოუთავაზებიათ. აბა, რა გითხრათ? სჯობს 6 მაისს დაველოდოთ, მაშინ გაირკვევა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელთა ვინაობა". მურთაზ ხურცილავამ ის კი კატეგორიულად უარყო, თითქოს მას თბილისის „ლოკომოტივს" აბარებდნენ.

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲝᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ



იოჰან ბოსკამპს „დინამოსა" და ალბათ ნაკრების გაწვრთნაშიც ფრანსუა დე იონგი დაეხმარება

ᲰᲝᲓᲐ, ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲔᲠᲗᲘ, ᲥᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ — ᲘᲝᲰᲐᲜ ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲘ.

მწვრთნელი, რომელიც ამჟამად თბილისში, ვაკეში ცხოვრობს, ერთობ ალალად მოქცეულა: დინამოელთა ხელმძღვანელობისთვის პირდაპირ უთქვამს, როცა „დინამო" ქვეყნის ჩემპიონობას დაიბევებს, მუშაობასაც მაშინ შევუდგები, 23 მაისამდე გუნდი ნოდარ აკობიამ ათამაშოს, უხერხულია, სხვათა დამსახურება მე მომეწეროსო.

მწვრთნელზე, რომელიც მკაცრია შეგირდებთან ურთიერთობისას, სჯერა ქართველ ფეხბურთელთა დიდი პოტენციისა, რომლისთვისაც ფული მთავარი არ არის, ქართველი კოლეგები ამბობენ — კარგად იცის ფეხბურთი, სწორედ მისნაირი მწვრთნელები გვჭირდებიანო.

აი, ასეთი კაცი იქნება საქართველოს ნაკრებისთვის რიგით მეხუთე და პირველი უცხოელი მწვრთნელი. ოღონდ, ჯერ...

იოჰან ბოსკამპის 99 პროცენტით მწვრთნელობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას ნათქვამმა გვაფიქრებინა:

— რამდენიმე დღეა, ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებს ხვდებით. ვინ არიან ისინი?

— ერთია, ბოსკამპი.

— დანარჩენები?

— სხვა კანდიდატი არ არსებობს.

— ყიფიანი?

— ყიფიანს თავისი ფუნქცია ექნება. ის ნაკრებშიც იმუშავებს, თბილისის „დინამოშიც".

— მისი ნაკრების მწვრთნელობა გამორიცხულია?

— დიახ.

— თავად ბოსკამპმა რაო?

— თანახმაა. მისი ეროვნული გუნდის თავკაცობა „დინამოს" გაძლიერების და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრის პროექტს უნდა შეუთავსდეს. არ გვსურს, ორი კურდღლის მადევარს დავემსგავსოთ.

— ბოსკამპი „დინამოს" მწვრთნელიც იქნება?

— „დინამოს" მწვრთნელად უკვე დანიშნულია. ახლა ვფიქრობთ, დღეში ხუთ საათს ვმსჯელობთ, რათა არც „დინამოს" საქმე გავაფუჭოთ, არც ნაკრებისა. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება სულ რამდენიმე წუთის წინ მივიღეთ. ჯერი აღმასკომზეა...

აღმასკომი კი ხვალ, 12 საათზე, შეიკრიბება. იოჰან ბოსკამპის მწვრთნლობაც ოფიციალურად მაშინ გაფორმდება, თუ, რაღა თქმა უნდა, ქვეყანა არ დაიქცა.

და კიდევ. აბა, გუშინდელი დღე ისე როგორ ჩაივლიდა, საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელს, ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპს არ გავსაუბრებოდით. ჩვეულებისამებრ, თარჯიმნობას არც ამჯერად დაგვზარდა ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ბოკერია. მან, სხვათა შორის, ისიც გვაცნობა, რომ ბოსკამპს 12 მაისს ერთი ამხანაგური შეხვედრა დაუგეგმავს — თბილისის „დინამო" საქართველოს კლუბების ნაკრებს ეთამაშება.

— ვიცით, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვინაობა ფაქტობრივად გარკვეულია. გუნდი თქვენ უნდა ჩაიბაროთ.

— დიახ. ამ თემაზე მერაბ ჟორდანიას ვესაუბრე და, ვფიქრობ, ის თავად უკეთ გეტყვით ყველაფერს, რაც ჩვენი შეხვედრისას ითქვა.

— პრეზიდენტმა უკვე თქვა, ახლა ჯერი აღმასკომზეა და ნაკრებს თქვენ ჩაიბარებთ. თავადაც თანახმა ყოფილხართ. კი მაგრამ, არ გეშინიათ, წინ ხომ ორი ურთულესი მატჩი გელით ჯერ ნორვეგიაში, მერე შინ ბერძნებთან. ქართველი გულშემატკივარი ძალიან მომთხოვნია.

— ეს ცხოვრებაა. ვნახოთ, რა გამოგვივა. თუმცა კი, წუთითაც ნუ დაეჭვდებით — ჩემი გუნდი მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის. ასე იქნება ნაკრებშიც. ისე, რომ იცოდეთ, ფეხბურთში შეტევას ვაფასებ.

— ეგ ძალიან კარგია, მაგრამ საამისოდ ნაკრებში ბევრი რამ გექნებათ შესაცვლელი. პირველად რას გააკეთებთ?

— არასდროს მოვიწვევ ისეთ ფეხბურთელს, რომელიც კლუბში ძირითადში არ თამაშობს...

მაშ ასე, ხვალ, 12 საათზე, სასტუმრო „შერატონში" საქართველოს ნაკრების მწვრთნელად იოჰან ბოსკამპი...

მეორე ჯგუფი

დასავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი

XXI ტური

29 აპრილი

სამგურალი 2 3:1 საირმე
იბერია 2 9:2 ჩიხურა
რაჭა 5:1 მაღაროელი

30 აპრილი

სულორი 1:0 მარგვეთი
ტორპედო 2 0:2 მეშახტე
ოკეანე 1:2 რიონი

სულორი	20	18	2	0	64:15	56
მარგვეთი	19	16	2	1	70:19	50
მეშახტე	19	13	1	5	48:26	40
გაგრა (-3)	19	13	0	6	43:23	36
ოკეანე	20	11	2	7	28:29	35
სამგურალი 2	19	10	3	6	37:33	33
რაჭა	20	8	2	10	42:40	26
რიონი	19	6	3	10	25:31	21
ტორპედო 2	20	5	4	11	24:30	19
იბერია 2	20	4	4	12	32:43	16
საირმე (-3)	19	4	1	14	15:41	10
ჩიხურა (-3)	19	2	3	14	25:76	6
მაღაროელი (-3)	19	1	3	15	20:67	3

„ბ“ ქვეჯგუფი

XXI ტური

29 აპრილი

ენგური 4:1 სძური
შუქურა 1:0 კოლხეთი
სამეგრელო 1:3 ფაზისი

30 აპრილი

სალხინო 2:3 კოლეჯი
კოლხეთი 2 0:0 ბახმარო
ეგრისი 2:0 მერცხალი

კოლხეთი	19	15	2	2	57:11	47
კოლეჯი	20	12	5	3	40:19	41
შუქურა	19	11	2	6	38:24	35
ფაზისი	19	11	1	7	37:24	34
ენგური	20	10	4	6	40:29	34
სქური	19	10	2	7	43:42	32
მერცხალი	19	8	1	10	29:31	25
ოდიში 2	19	6	6	7	27:25	24
ბახმარო	20	6	4	10	18:31	22
ეგრისი	20	5	5	10	21:41	20
კოლხეთი 2	19	5	3	11	16:38	18
სამეგრელო	20	5	3	12	25:39	18
სალხინო	19	3	0	16	21:68	9

აღმოსავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი

XXV ტური

29 აპრილი

ალაზანი 4:1 ყვარელი
ძანაგკო 0:7 კახეთი
ალგეთი 0:3 არსენალი 2

30 აპრილი

დინამო 3 2:1 უნივერსიტეტი იბერია
ზოოვეტი 2:0 მრეტები
ხალიბი 0:1 აკადემია
ღარწყალი 10:0 სამგორი

XXVI ტური

4 მაისი

აკადემია 0:0 ღარწყალი

აკადემია	24	20	2	2	52:9	62
ღარწყალი	24	19	5	0	72:15	62
ყვარელი	23	14	5	4	38:18	47
ჭაბუკიანი (-3)	23	14	3	6	40:22	42
არსენალი 2	23	13	3	7	38:18	42
ხალიბი	23	13	2	8	41:26	41
კახეთი	24	12	5	7	44:31	41
დინამო 3	24	11	3	10	39:36	36
ზოოვეტი	23	9	7	7	44:34	34
ალგეთი	24	7	1	16	28:52	22
უნივერსიტეტი იბერია	23	6	4	13	20:30	22
სამგორი	23	4	3	16	27:56	15
მრეტები	24	4	2	18	21:48	14
ალაზანი	24	3	2	19	25:65	11
ძანაგკო (-3)	23	2	3	18	15:84	6

„ბ“ ქვეჯგუფი

XXI ტური

29 აპრილი

ჟინერი 0:3 მესხეთი
ვარძია 2:1 იბერია
ცხინვალი 2:0 ქარელი
თორი 1:1 საუ
დინამო 2 7:1 ივერია

30 აპრილი

დილა 2 0:2 ლოკომოტივი 2
განთიადი 0:1 ცხუმი

დინამო 2	21	19	0	2	61:14	57
ცხინვალი (-3)	21	17	2	2	57:14	50
ლოკომოტივი 2	21	13	3	5	52:30	42
ქარელი	21	13	3	5	41:18	42
ივერია	21	11	6	4	48:28	39
განთიადი	21	9	4	8	32:32	31
ცხუმი	21	8	4	9	37:32	28
თორი	21	7	2	12	28:33	23
საუ	21	6	5	10	35:40	23
მესხეთი	21	6	5	10	35:42	23
იბერია	21	6	1	14	38:44	19
დილა 2	21	5	3	13	28:50	18
ვარძია	21	4	4	13	18:54	16
ჟინერი	21	1	2	18	18:97	5

ბაღრი კვეტელაძის ფოტო

გუშინ „ივერიაზე“ ტევა არ იყო. ასე მოჭარბებული მაყურებელი პირველი ჯგუფის ბევრ მატჩს არ ჰყავს

მეტი ხე ივერიაზე!

თბილისი
4 მაისი
18 საათი
ივერია
2 500 (ტევადობა 1 800)

აკადემია 0:0 ღარწყალი

შს აკადემია: ჩაჩიბაია, ჩადუნელი, ვ. კაკაშვილი, მ. ვაშაკიძე, ფაცურია (ჩაჩუა 59), ბუხრიკიძე, კვიციანი, ჯუღელი, გ. მეტრეველი, ბახტაძე, კოჩაძე (დობორჯგინიძე 72)

ღარწყალი: ნაჭყებია, თელიაშვილი, გულაშვილი, ბარამიძე, ცომაია, გოლეთიანი, გელაშვილი, გოძიაშვილი, წიკლაური, ტოკლიკიშვილი, ჩიგოშვილი (სირაძე 64)

გაფრთხილება: ჩიგოშვილი (33), ჩადუნელი (87)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); თ. ლაცაბიძე (სურამი), კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ასკაროღლი (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

პაატა კვანტალიანი

ჯერ „ივერიაზე“ ვთქვათ. დიდუბეში არის მაუდ-კამვოლის კომბინატი. მის წინ საცხოვრებელი სახლი დგას. გვერდით კი სტადიონი ესაზღვრება. სტადიონი, რომელსაც ჩვენში „სუკონკას“ სახელით უფრო იცნობენ. ერთ დღესაც მავან დალოცვილისშვილს სტადიონის სახელწოდება თვალში არ მოსვლია (აფერუმ მის ყურ-თვალს) და „სუკონკა“ მადლიანი „ივერიით“ შეუცვლია. „ივერიის“ მნიშვნელობა კი დღევანდელ ქართულ ფეხბურთში მართლაც დიდია. ამ ძველ და ოღროჩოღრო სტადიონზე საშინაო მატჩებს მეორე ჯგუფის ერთბაშად სამი გუნდი ატარებს. იმას თუ გავიხსენებთ, რომ დედათბილისში ამგვარი ოღროჩოღრო სტადიონები ბევრიც არ არის, გამოდის, რომ „ივერიის“ არსებობა სამ გუნდს მატებს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფს (მერე რა, რომ პირველი ჯგუფივით უსახურს).

ჰოდა, იდღეგრძელე, „ივერიავ“!

დროა, მთავარზეც ვთქვათ. გუშინ „ივერიაზე“ „აკადემია“ და „ღარწყალი“ შეიბნენ. ეს ორი გუნდი მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონის „ა“ ქვეჯგუფში ასპარეზობს და პირველში გადასასვლელად ეომება ერთმანეთს. გვერდით მოთავსებულ ცხრილს თვალს თუ გადავლებთ, ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში თავადაც დარწმუნდებით. „კახეთის სიამაყეს“ (ძველანაგელები „ღარწყალს“ ასე მოიხსენიებენ და ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ეს გუნდი სოფელ ძველი ანაგისა გახლავთ) თბილისში უშუალო კონკურენტთან მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა. რადგან საეჭვოა, დარჩენილ ოთხ ტურში „პოლიციელებმა“ ერთი თავით დაბლა მდგომ მეტოქეებთან ქულები დაკარგონ. ქულათაკარგვის პერსპექტივა არც სტუმრებს უწანდათ და შს „აკადემიაც“ მობილიზებული დაუხვდა „ღარწყალს“, თუმცა მათი ამოცანა უფრო იოლი იყო — მასპინძლებს უშუალო კონკურენტთან შეხვედრაში ფრეც აძლევდათ ხელს.

...და სიტუაცია „ივერიაზე“? საქართველოს ჩემპიონატის თვალისმდევნებელ კაცს ძალიან გაუჭირდება მსგავსი სიტუაციის გახსენება. მაუდ-კამვოლის კომბინატის ახლომახლოს მანქანების და ავტობუსების ტევა არ იყო. სტადიონის მოკრძალებული ტრიბუნა გადაჭედილი გახლდათ. მაყურებელს კომბინატის კედლის თავზეც (რომელიც სტადიონს გადმოჰყურებს) მოეყარა თავი. კომბინატის წინ მდგარი საცხოვრებელი ბინა ხომ გახსოვთ? მაყურებელი ამ მატჩს იქიდანაც ბევრი ჰყავდა.

და ხეები... აფსუს, თავის დროზე „ივერიის“ სიახლოვეს ბევრი ხე ხომ დარგულიყო, ვინ იცის, გარეთ დარჩენილ, ღობეს გამოკიდებულ გულშემატკივარს იქნებ უფრო მყუდროდ ეგრძნო თავი.

შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძეც დაესწრო. მატჩის ინსპექტორმა, მსაჯთა კორპუსის თავკაცმა ანატოლი მილჩენკომ კი „ივერიას“ ახალშეძენილი, ნანინანატრი და ბელიხელსაგოგმანებელი ელექტრონული დაფაც აახლა. ჰოდა, ბამბაშიც სანახევროს მხრივ სიტუაციის შესაბამისი გამოდგა.

„ღარწყალს“ დასაწყისშივე სცადა უპირატესობის მოპოვება და გარკვეული წილად მოახერხა ამის გაკეთება. მე-15 წუთზე ტოკლიკიშვილის დაგორებულს გელაშვილმა დაჰკრა მარჯვედ — ბურთი მცირედ ასცდა კარს. ორი წუთის შემდეგ მარჯვენა ფრთიდან ჩიგოშვილის ჩაწოდებულს ბარამიძე დაუხვდა, თუმცა ახლო მანძილიდან მისი დარტყმულიც არაზუსტი გამოდგა. მასპინძელთა რიგებში გუნდის კაპიტანი ერეკლე ჯუღელი გამოირჩეოდა. სწორედ მისი მეცადინეობით მოახერხეს „პოლიციელებმა“ დაკარგული ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება და პირველი ნახევრის შემდეგ გუნდები მშვიდობით დაშორდნენ ერთურთს.

მეორე ტაიმში კი იმდენი საგოლე მომენტი შეიქნა, რომ ჩამთვლა შორს წაგვიყვანს. ამდენი მომენტი ბარე ხუთ თამაშს ეყოფოდა და მსგავსი საგოლე სიტუაციების გამოუყენებლობას მხოლოდ ჩვენში თუ ნახავთ...

დროის გასვლასთან ერთად მატჩს დაბაბულობა ემატებოდა. სტუმართა გულშემატკივრები (ისინი მასპინძლებზე მრავლად იყვნენ) თავიანთი გუნდისგან გოლს ითხოვდნენ და „ღარწყალიც“ უტევდა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში მცველებიც მასპინძელთა ნეხევარზე გადასახლდნენ და კინაღამ დაისაჯნენ — სწრაფი კონტრშეტევის დროს ჯუღელი სტუმართა მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ნაჭყებიამ შესაშური რეაქცია გამოავლინა და თავის გუნდს ქულა შეუნარჩუნა. ეს იყო ბოლოს, მანამდე კი „პოლიციელთა“ საჯარიმოში შეჭრილი წიკლაური წაიქცა. არბიტრმა თამაშის გაგრძელება ბრძანა და ტრიბუნაც აჩოჩქოლდა, აზანზარდა და დამცავ ღობეს მიაწყდა... პოლიცია მობილიზებული აღმოჩნდა. გუშინ „ივერიაზე“ სისხლი არ დაღვრილა, ცრემლი კი ბლომად იფრქვეოდა. საფინალო სასტვენის შემდეგ მოედნის ოღროჩოღროებში თავჩარგული, მოქვითინე ალექსანდრე თელიაშვილის დაწყარებას თანაგუნდელთა დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ასეა, პასუხისმგებლობის გრძნობა ზოგან საჭირო დონეზეც დგას.

ბაღრი კვეტელაძის ფოტო

მიზანს ვერც აკადემიელი ირაკლი ფაცურიას (№5) ამ საჯარიმო დარტყმამ მიაღწია

ინტერტოტოზე მსაჯები კვირიდან გველიან

კვირას, უეფას შტაბბინაში წლევანდელი ინტერტოტოს გათამაშებისთვის მომსახურე მსაჯთა ვინაობა გაარკვიეს.

თუ ღმერთმა გადახედა იუგოსლავიას და მშვიდობამ მალე დაისადგურა, მაშინ ქვეყნის გუნდებსაც უპრობლემოდ დაუშვებენ ევროთასებზე. მოგეხსენებათ, ინტერტოტოს წლევანდელი გათამაშების საგზურის მომპოვებელ ქართულ კლუბს სწორედ იუგოსლავიელებთან უწევთ პირველ ეტაპზე გაჯიბრება. 19 ან 20 ივნისს ჩვენებურები სტუმრად ითამაშებენ. შეხვედრას კი მოლდოველი ვლადიმერ ანტონოვი განსჯის. საპასუხო მატჩს, 26 ან 27 ივნისს, ჩეხი კარელ ვიდლაკი იმსაჯებს.

თუ ღმერთმა გადმოხედა ქართულ გუნდს და მოახერხა იუგოსლავიური ბარიერის გადალახვა, მეორე ეტაპზე რუსეთის „როსტსელმაშს“ უმასპინძლებს 3 ან 4 ივლისს. უეფამ ამ შეხვედრისთვის შვეიცარიელ მსაჯ ანდრეს შლუხტერს დაავალა ობიექტურად განსჯა. საპასუხო მატჩს, 10 ან 11 ივლისს, როსტოვში, შვედი მორგან ნორმანი გაუძღვება.

წლეულს ინტერტოტოზე ნორვეგიას, ბელარუსიას და ხორვატიას ორ-ორი გუნდი გამოჰყავს. ჰოდა, თუ მეორე ეტაპზე რუსებიც იუგოსლავიელების გზას გავუყენეთ, მესამეზე ჩვენებურთა მოწინააღმდეგე შემდეგნაირად გაირკვევა: ბელარუსია 1 — ხორვატია 2 წყვილში საუკეთესო ნორვეგია 1-ს დაუპისპირდება. სწორედ მათ შორის გამარჯვებულთან, 17 ან 18 ივლისს, სტუმრად გვიწევს პირველი თამაში. შეხვედრას ინგლისელი მიქაელ რილეი განსჯის, 24 ივლისის საპასუხო მატჩში კი — შოტლანდიელი ჯონ როუბოთჰემი.

უეფამ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრის მომსახურეობის პატივი ქართველ მსაჯსაც დასდო. ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია ჩრდილოირლანდიური გუნდისა და ხორვატია 1-ის მატჩს განსჯის.

ამ ინფორმაციის სიზუსტე რომ ბოლომდე იქნას დაცული, ამისთვის ორი აუცილებელი პირობა უნდა შესრულდეს — საყოველთაო მშვიდობა და ზემოჩამოთვლილ მსაჯთა ჯანზე ყოფნა.

ხვიჩა სანიკიძე

„ლოკომოტივ“ — „სამგურალის“ მატჩს ასე ეგზოტიკურად „გამოწყობილი“ მაყურებელიც არ აკლდა

ᲥᲐᲛᲔᲑᲘ ᲥᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საფეხბურთო პირველობაში დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ყოველმა ქულამ ოქროს ფასი დაიდო და ქომაგებსაც ემოციები ამად თუ მოსჭარბდათ. უკვე რა ხანია, ყველასთვის თითქმის ცნობილი გახდა ჩემპიონის, ევროსაგზურების მფლობელთა ვინაობა (ყოველ შემთხვევაში, ძნელად რამე შეიცვალოს) და ამდენად, სატურნირო ცხრილის ზემო ნაწილმა უკვე დაკარგა ინტრიგა. გასავარდნად განწირულთა შორის კი ჯერაც გასარკვევია „გურიას“ მეწყვილე — გუნდი, რომელსაც საგაისო ჩემპიონატში მეორე ჯგუფში მოუწევს გამოსვლა.

სწორედ ამ მიზეზის გამო დაიმუხტა ასე საგანგებოდ ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი შაბათს — ოდიშარმა გულშემატკივრებმა რომ დაინახეს, ფეხბურთელები ვერას უხერხებდნენ მეტოქეს, თავად გადავიდნენ მოედანზე და კონცერტიც დაიწყოო...

არბიტრი კრიჭაშვილი უკვე მეორედ მოხვდა ამგვარი მოვლენის ეპიცენტრში. თუ პირველად მან წითელი ბარათის ამოღებისგან თავი შეიკავა და ბაღდადელი მაყურებელი არ გააღიზიანა, ამჯერად ოდიშელი ფეხბურთელი არ დაინდო და... მეორე ტაიმი არ უმსაჯია.

ჭეშმარიტად იშვიათია ასეთი შემთხვევა — შეხვედრის მსვლელობისას მთავარი არბიტრის შეცვლა. მაგრამ საფეხბურთო საქართველო ხომ საოცრებათა ქვეყანაა. აქ ყველაფერს შეიძლება ელოდეს კაცი — მათ შორის, ქომაგთა დაშენილ ქვებსაც. „ზუგდიდური კონცერტის“ აპოთეოზი სწორედ ტრიბუნებიდან წამოსული ქვის სეტყვა გახლდათ.

ახლა სიტყვა სადისციპლინო-ტექნიკურ კომისიაზეა. სასჯელები, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ერთს დარწმუნებით ვიტყვით — ქართველ ფეხბურთელს, ქომაგს, ან ვინც გნებავთ, სხვას, სასჯელისა არ შეეშინდება მანამდე, სანამ ფეხბურთის დაკარგვით რამე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს არ დაკარგავს. ამგვარი დამოკიდებულებისას კი სამუდამო დისკვალიფიკაციაც რომ მიუსაჯო ფეხბურთელს, დიდად არ ინანებს — მე თქვენ გეტყვით, ხელფასს დაკარგავს ან ცხოვრების ინტერესს.

ამ სამწუხარო ამბავს თუ არ ჩავთვლით, მეათე ეროვნულის ოცდამეხუთე ტური მშვიდობიანად ჩამთავრდა. ტური 30 აპრილს, „ვიტ ჯორჯია“ — „მერანისა“ და „კოლხეთი“ — თსუ-ს ორი თამაშით დაიწყო და შაბათს ერთბაშად ექვსი შეხვედრით დასრულდა.

პარასკევის ორივე მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — ვიტესლებმა „მერანს“ ერთი ბურთით მოუგეს, „კოლხეთმა“ კი თსუ 2:0 იმსხვერპლა. მოგებებით ორივე გუნდმა ზემოთ აინაცვლა სატურნირო ცხრილში და მეტოქესთან გარკვეული სხვაობა შეიქმნა.

გაიმარჯვა მარადმა ჩემპიონმაც — სტუმრად და სამტრედიაში. ეს შეხვედრა დინამოელებმა აკობიას თავკაცობით ჩაატარეს. ხურცილავა აღარ იყო, ბოსკამპი კი ჯერ არ იყო ჩემპიონთა მწვრთნელი. ჰოლანდიელი შენიშვნებს კი იწერდა თავის პატივცემულ საკანცელარიო ატრიბუტში, მაგრამ თამაშის მსვლელობაში არ ჩარეულა და აი... იმას კი, რა ბედი ეწევა მურთაზ ხურცილავას სამწვრთნელო კარიერას, მალე გავიგებთ. „დინამოს“ ერთადერთი გოლი მშვენივრად მოთამაშე სახვაძის ანგარიშზეა.

„სამგურალის“ სათპსო ჯავრი ჩემპიონატში ამოიყარა „ლოკომოტივმა“. რკინიგზელებმა სტუმრადაც მოიგეს, ახლა შინაც დაამარცხეს გამამწარებლები და კვლავაც კუდში მისდევენ „ტორპედოს“.

ქუთაისელებს ახლა წაფორხილების უფლებაც აღარ დარჩათ და ამიტომაც ულაპარაკოდ მოუგეს „დილას“, ისე, რომ შანსიც არ მიუციათ. ტორპედოელთაგან კვლავ მეგრელაძემ და დავით ჯანაშიამ გაიბრწყინეს და ქუთაისური ვენდეტაც შედგა.

მორიგი „გასცა და არ ინაღვლა“ „გურიამ“. ამჯერად „არსენალმა“ წამოიღო გურიიდან ნანატრივით სამი ქულა. ამ გამარჯვებით არმიის შვილობილი გვარიანად მოსწყდა მაჩანჩალათა აღლუმს და ობიექტურად თუ ვიტყვით, ფაქტობრივად, დარჩა კიდეც პირველ ჯგუფში. ისევე, როგორც „ტორპედოში“ მეგრელაძე — ჯანაშიას დუეტი, „არსენალში“ ზირაქიშვილი და ტარიელაშვილი სჭედენ გამარჯვებებს. ახლაც ასე მოხდა, ფეხბურთელებმა თითო გაიტანეს და „გურიას“ მორიგი მეცხრამეტე მარცხი აგემეს.

დაბოლოს, ტურის ერთადერთი ფრე. „ბათუმი“ — „გორდა“. შეხვედრა, რომელიც რუსთაველებისთვის უფრო მეტს ნიშნავდა და მათთვის სასურველი ანგარიშითაც დაამთავრეს მატჩი, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მოგებას ბათუმელები იმსახურებდნენ, მაგრამ საბოლოო დარტყმა უცუდდებოდათ ხოლმე და შესაბამისად, მორიგი ორი ქულაც დაკარგეს.

ტური უხვგოლიანობით არ გამოირჩა. 18 გოლი 9 მატჩში, იტალიის სერია A-სთვისაც დაბალი შედეგია და იმედია, დარჩენილ ტურებში მაინც გამოსწორდება ამ მხრივ ჩემპიონატი.

ჩემპიონატი, რომელიც ქვების სროლისა და ლანძღვა-გინების ფონზე მიმდინარეობს.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
30 აპრილი
16 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ 1:0 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

1:0 გიორგი ქორიძე (26პ)
ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე, კ. ალადაშვილი, ჯ. მუჯირი, ზ. გვაზავა, დ. დოლიძე, მაზიაშვილი (ნოზაძე 70), გიორგი ქორიძე, გოჩაშვილი (ა. ბოკერია 89)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ერაძე, ი. კაპანაძე
ᲛᲔᲠᲐᲜᲘ: ლომაია, დ. ჭელიძე (ე. ალადაშვილი 46), ასპინძელაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (ბაჯელიძე 75), თოლორდავა, ჩუხუა, ხუციშვილი, დავითაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; დევიძე, ბერაია, ხარებავა, კარიაული
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: დოლიძე (17), კ. ალადაშვილი (71), ე. ალადაშვილი (80)
ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲔᲑᲐ: ხუციშვილი (87)
ᲛᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘ: ა. შილაკაძე (თბილისი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ა. ქარქაშაძე; დ. ხარტონაშვილი (ორივე თბილისი)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: მ. მიმინოშვილი

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ
30 აპრილი
16 საათი
ᲔᲕᲒᲠᲐᲤᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ
80 (ტევადობა 22 000)

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 2:0 ᲗᲡᲣ

1:0 ქობულაძე (75), 2:0 ბულუხია (88)
ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ: მ. გვასალია, გოროზია (ამაშუკელი 86), ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, ტრაპაიძე, ჩადუნელი, კალანდაძე, ე. გვასალია, შავგულიძე (ბულუხია 54), მ. ქობულაძე
სათადარიგონი: ჩემია; ჩაგანავა, ბურკვაძე, პაპავა
ᲗᲡᲣ: გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ვ. ღუდუშაური, ნინუა (ინწკირველი 35), მაღრაძე, დ. გოგოლაძე (ბუკია 83), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (გონჩაროვი 80)
სათადარიგონი: მერლანი; სვანაძე
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: შავგულიძე (38), ინწკირველი (62), ბულუხია (88)
ᲛᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘ: ს. კახიანი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ა. ბაჩუკაშვილი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1 მაისი
18 საათი
26 მაისი
800 (ტევადობა 18 000)

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 2:0 ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ

1:0 გოგობერიშვილი (6), 2:0 წიწვიავაძე (44)
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ზ. არჩვაძე, დ. მუჯირი, ბაქრაძე, კაციაშვილი, კ. მელქაძე, წივნივაძე (შ. ხუჯაძე 46), გოდერძიშვილი (ვ. კილასონია 46), გოგობერიშვილი
სათადარიგონი: ჯანელიძე; კ. გოგოლაძე, ნ. მელაძე
ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ: ბობოხიძე, მახვილაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე (გლუნჩაძე 46), ვოსკანოვი (ზ. ქუთათელაძე 46), გიორგობიანი, აფციაური, პეტრიაშვილი, ჯავახაძე, სუხიაშვილი, გ. შენგელია
სათადარიგონი: ასლანაძე; დარსაძე, ღონლაძე, ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ჩიხრაძე (38)
ᲛᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘ: ა. მეშკოვი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
ᲡᲤᲤ-Ს ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: შ. ხინჩაგაშვილი

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ
1 მაისი
18 საათი
ᲔᲠᲝᲡᲘ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ
1 500 (ტევადობა 15 000)

ᲘᲑᲔᲠᲘᲐ 0:1 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

0:1 სახვაძე (24)
ᲘᲑᲔᲠᲘᲐ: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ს. თოდუა, ს. გიგიაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ვარდიაშვილი 66), ფილიპაშვილი, ვ. გიგიაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე; ხუჭუა, რ. ცომაია, მუმლაძე, ნ. გიორგაძე, ფხაკაძე
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა (ბ. ჯინჭარაძე 62), მ. მაჭავარიანი, ა. სახვაძე, ა. მუჯირი (ქებაძე 78), ალექსიძე, ნიტაიშვილი (ჩომახიძე 60), აშვეთია, გუჩუა
სათადარიგონი: მამალაძე; გ. კვარაცხელია, რუხაძე, ხიზანეიშვილი
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: მაჭავარიანი (84)
ᲛᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘ: თ. ლაცაბიძე (სურამი); მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ა. დურსუნიში

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ
1 მაისი
18 საათი
ᲒᲘᲕᲘ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ
2 500 (ტევადობა 23 800)

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ 3:0 ᲓᲘᲚᲐ

1:0, 2:0 მეგრელაძე (4, 75), დ. ჯანაშია (81)
ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ: ჭანტურია (სტურუა 81), ახვლედიანი (მაზანიშვილი 75), თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, ვაჩიბერაძე (იმედაძე 59)
სათადარიგონი: კ. მეტრეველი, კ. ჯანაშია
ᲓᲘᲚᲐ: სოლოლაშვილი, ფეზუშვილი, ხაჭაპურიძე, გუდურაშვილი (მ.მინდიაშვილი 69), აკოფიანი, გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, ლომიძე, ხიხალაშვილი, ლ. გოჩაშვილი (სულთანიშვილი 75)
სათადარიგონი: თ. ილურიძე; რ. ახალკაცი
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: გუდურაშვილი (7)
ᲛᲡᲐᲯᲘᲔᲑᲘ: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ა. ბაჩუკაშვილი

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
1 მაისი
18 საათი
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
3 000 (ტევადობა 18 000)

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 1:1 ᲒᲝᲠᲓᲐ

1:0 რუსია (11), 1:1 ალადაშვილი (42)
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ: ტოგონიძე, გუჯაბიძე, პაპიძე, მ. მახარაძე, სიჭინავა, ჭიჭვეიშვილი, ღლონტი (აფხაზავა 58), კანტიძე (თორლაშვილი 79), მინდაძე, გადელია, რუსია (რომანაძე 83)
სათადარიგონი: მალაყმაძე; მაქაცარია, ყულეჯიშვილი
ᲒᲝᲠᲓᲐ: ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე, კ. ჩიგოშვილი, ზირაქაძე, კიტეიშვილი (პ. მესხი 82), პატარიძე (ლაბაძე), ლ. ალადაშვილი
სათადარიგონი: ოქროპირიძე; ტარტარაშვილი, რ. მახარაძე, ბაბუნაშვილი
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ბექაური (38)
ᲛᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘ: ლ. ფანიშვილი (თბილისი); კ. გბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ნ. ამირეჯიბი

ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘ
1 მაისი
18 საათი
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ
1 500 (ტევადობა 7 500)

ᲝᲓᲘᲨᲘ 1:4 ᲡᲘᲝᲜᲘ

0:1 მოსეშვილი (38), 0:2 გაგუა (41), 0:3 გოგოლაძე (60), 0:4 მოსეშვილი (69), 1:4 ჭედია (88)
ᲝᲓᲘᲨᲘ: ნაყოფია, რ. გაბისონია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, კაკულია, აკობია, იოსავა (ჭედია 72), კუტალია, მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
სათადარიგონი: გოგია; შელია, ცაცუა
ᲡᲘᲝᲜᲘ: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანაძე, ლ. გაგუა (დ. ჯაფარიძე 69), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ხიდაშელი 67), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: მ. სამხარაძე (1), კუტალია (31), აფაქიძე (34), რ. გაბისონია (57)
ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲔᲑᲐ: აფაქიძე (41)
ᲛᲡᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘ: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: მ. ლაცაბიძე

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ
1 მაისი
18 საათი
ᲔᲕᲒᲠᲐᲤᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ
500 (ტევადობა 22 000)

ᲒᲣᲠᲘᲐ 0:2 ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

0:1 ტარიელაშვილი (19), 0:2 ზირაქიშვილი (38)
ᲒᲣᲠᲘᲐ: ნიკურაძე, მაჩიტიძე, ფირცხალაიშვილი, შ. მახარაძე, კ. სვანიძე, ჭიაბრიშვილი, შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე (სულაქიძეიძე 46), ძოძუაშვილი, ბერძენიშვილი
სათადარიგონი: რ. ჩხაიძე; გულორდავა, თ. ჩხაიძე, ენუქიძე
ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ: კუპატაძე, ცოტაძე, აბაზაძე, ვ. გაგუა, ყოლბაია, მ. მაისურაძე (კოხრეიძე 78), ზირაქიშვილი, ხოსროშვილი, ამირიძე, ა. კაკაშვილი (ყუფარაძე 85), ტარიელაშვილი (თვალაბეიშვილი 86)
სათადარიგონი: ჩლაიძე; გ. სულაძე
ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ბერძენიშვილი (30), ხოსროშვილი (60)
ᲛᲡᲐᲯᲘᲔᲑᲘ: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
ᲡᲤᲤ-ᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: გ. ძამუკაშვილი

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ

20 - ᲐᲤᲮᲔᲗᲘᲐ	*დინამო*
15 - ᲝᲜᲜᲐᲜᲘᲫᲔ	*ტორპედო*
14 - Დ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ	*გურია*
ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲫᲔ	*ბათუმი*
13 - ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ	*ლოკომოტივი*
12 - Ე. ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ	*კოლხეთი*
ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲫᲔ	*ტორპედო*
Დ. ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ	*ტორპედო*
11 - ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ	*დინამო*

ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

- ᲑᲐᲮᲕᲐ ᲕᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ — *სიონი*
- ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲫᲔ — *ტორპედო*
- ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲒᲝᲒᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ — *ლოკომოტივი*
- ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲘᲭᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ — *ბათუმი*
- ᲙᲐᲮᲐ ᲙᲕᲔᲢᲔᲜᲐᲫᲔ — *ტორპედო*
- ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ — *ვიტ ჯორჯია*
- ᲐᲠᲩᲘᲚ ᲡᲐᲮᲕᲐᲫᲔ — *დინამო*
- ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲫᲝᲒᲣᲚᲐᲫᲔ — *კოლხეთი*
- ᲒᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ — *ვიტ ჯორჯია*
- ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲐᲜᲩᲮᲘᲢᲐᲫᲔ — *ვიტ ჯორჯია*
- ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ — *თსუ*
- ᲒᲣᲜᲓᲘ ᲡᲘᲝᲜᲘ
- ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ᲡᲔᲠᲒᲝ ᲙᲘᲗᲠᲘᲫᲐᲫᲔ *ვიტ ჯორჯია*

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

№	#	ᲡᲣᲚ თ	Მ	Მ	Წ	Ბ	ს	ქ	ᲨᲘᲜ თ	Მ	Მ	Წ	Ბ	ს	ქ	ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ თ	Მ	Მ	Წ	Ბ	ს	ქ
1 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (1)	1	25	20	5	0	74:12	+62	65	12	10	2	0	47:9	+38	32	13	10	3	0	27:3	+24	33
2 ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ (4)	2	25	17	4	4	60:21	+39	55	13	10	2	1	34:8	+26	32	12	7	2	3	26:13	+13	23
3 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ (6)	3	25	14	10	1	33:12	+21	52	13	8	5	0	17:4	+13	29	12	6	5	1	16:8	+8	23
4 ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ (3)	5	25	12	5	8	51:35	+16	41	13	9	1	3	34:12	+22	28	12	3	4	5	17:23	-6	13
5 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (2)	4	25	10	10	5	34:18	+16	40	13	7	5	1	25:7	+18	26	12	3	5	4	9:11	-2	14
6 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ (7)	6	25	9	9	7	24:22	+2	36	12	5	5	2	9:4	+5	20	13	4	4	5	15:18	-3	16
7 ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ (10)	9	25	11	4	10	30:23	+7	34	13	6	2	5	17:11	+6	20	12	5	2	5	13:12	+1	17
8 ᲘᲑᲔᲠᲘᲐ (Დ)	7	25	9	5	11	37:40	-3	32	13	5	4	4	20:13	+7	19	12	4	1	7	17:27	-10	13
9 ᲓᲘᲚᲐ (9)	8	25	9	5	11	29:40	-11	32	12	6	2	4	17:12	+5	20	13	3	3	7	12:28	-16	12
10 ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ (Დ)	10	25	7	10	8	29:40	-11	31	12	3	6	3	15:20	-5	15	13	4	4	5	14:20	-6	16
11 ᲒᲝᲠᲓᲐ (11)	13	25	5	10	10	21:35	-14	25	12	4	5	3	14:15	-1	17	13	1	5	7	7:20	-13	8
12 ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ (12)	11	25	7	3	15	22:45	-23	24	12	4	1	7	10:16	-6	13	13	3	2	8	12:29	-17	11
13 ᲡᲘᲝᲜᲘ (13)	14	25	6	6	13	24:44	-20	24	12	4	5	3	14:13	+1	17	13	2	1	10	10:31	-21	7
14 ᲗᲡᲣ (8)	12	25	5	9	11	17:28	-11	24	12	3	3	6	12:17	-5	12	13	2	6	5	5:11	-6	12
15 ᲝᲓᲘᲨᲘ (5)	15	25	6	2	17	19:49	-30	20	13	4	1	8	13:23	-10	13	12	2	1	9	6:26	-20	7
16 ᲒᲣᲠᲘᲐ (14)	16	25	3	3	19	23:63	-40	12	13	3	1	9	16:30	-14	10	12	0	2	10	7:34	-27	2

(?) - ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ. # - ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲢᲣᲠᲨᲘ. ! - ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ 3 ᲥᲣᲚᲐ

საქართველოს ჩემპიონატი
26 ტური

ბარი-ბარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურმოკრული დიალოგი

— ჰა, ხომ მიცანი?

— რაღაც არ მახსოვხარ.

— როგორ? პირველ წრეში ხელი რომ გაგიმართე, დაგავიწყდა?

— მერე, რამდენი გადაგიხადე?

— კაპიკი არ მოგიცია. შემპირდი, კონკურენტებს „დაგიწვენო“.

— თუ შეგპირდი, შეგისრულებ კიდეც.

— სეზონი რომ დამთავრდება, ვის რად უნდა შენი დახმარება. ხომ ხედავ, 5 ტურიღა დარჩა.

— შენთვის მოვიცალო კი არა, ნახე, რა დღეში ვარ. თანაც როგორ იძალა ჩაწყობილმა თამაშებმა?

— ეგ, იცი, ვისი ბრალია?

— ვისი?

-- ფედერაციის.

-- რატომ?

— რატომ და თქვას, ბოლოს და ბოლოს, თასის ფინალისტი გადის თუ არა ევროპაზე.

— ასე ამბობენ, ეგ ჩვენ კი არა, უეფამაც არ იცისო.

— ის თუ იცის უეფამ, ორი თვის წინ, ვინ უნდა იმსაჯოს ინტერტოტოზე, დავიჯერო, ეგ აღარ იცის?

— მაგას აჯობებს, ნატოში ვაფრინოთ წერილი.

— ნატოში რაღა გვესაქმება?

— შეგვატყობინონ მაინც, კიდევ გააგრძელებენ იუგოსლავიის დაბომბვას თუ?

— რომ მოგვწერონ, არაო?

— ყველას გვეშველება.

— როგორ?

— როგორ და ინტერტოტოს საგზურს ჩალის ფასი დაეღება. ხომ გახსოვს იუგოსლავიური გუნდები...

— უეფას თასის საგზურს?

— ეგ კვლავ ბურუსითაა მოცული.

— ამბობენ, დღეს ბევრი რამ გაირკვევა, ანაც არაფერიო.

— სად?

— სად და დიდუბეს და წყალტუბოში

— დიდუბეში რა ხდება?

— იქ ხდება, თუ ხდება...

ცენტრალური მატჩი

1998 წელი. 4 დეკემბრის „სარბიელი“. „შირია ამად კარგი“. ამონაწერი

ლოკომოტივი: ვაა, „დინამო“!

დინამო: შენ ვისზე აწიე ხელი...

ლოკომოტივი: გცალია ამ საღამოს!

დინამო: სადაც გინდა, იქ შევხვდეთ.

ლოკომოტივი: კი, ბატონო, ვაკეში.

დინამო: ოღონდ იქ არა და თუ გსურს...

ლოკომოტივი: მაშინ გორში.

დინამო: გორელები რომ გყავს გუნდში, მაგის იმედზე ხარ?

ლოკომოტივი: მახარაძე მყავდეს კარგად და თუ გინდა, მეხელენში გეთამაშები.

დინამო: მეხელენი რა შუაშია?

ლოკომოტივი: გავიგე, ფილიალი გაგიხსნია იქ...

დინამო: თემას ნუ გადაუხვიე, საქმეზე გელაპარაკები.

ლოკომოტივი: ასე რამ გაგაბრაზა, შარშანაც ხომ დაკარგე თასი.

დინამო: სად ფინალი და სად მერვედფინალი...

ლოკომოტივი: კარგი, დაწყნარდი, თბილისელები არა ვართ? მეოთხედფინალში „ბათუმზე“ ვიყრი შენს ჯავრს და ბარი-ბარში ვიქნებით...

საჩოთირო პროგნოზი

— რა გინდა მერე, ხომ გამოაგდეს „ბათუმიც“.

— გინდა თქვა, რომ „დინამოს“ გული მოუცლა?

— რა, არ შეიძლება?

— მეტი საქმე არა აქვს ბოსკამპს ახლა, თბილისელობაზე გადადოს თავი.

— თემურ მახარაძე რას იზამს?

— ხომ იცი მაგისი და „დინამოს“ „თბილი“ ურთიერთობის შესახებ.

— ესე იგი, დანდობა გამორიცხულია?

— ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს.

— კიდევ რა ჩანს?

— რა და 0:0.

— თუ „დინამოს“ მოგება?

— გააჩნია, „ტორპედო“ რას იზამს წყალტუბოში.

— ტელეფონი იქ არ მუშაობს და როგორ გაიგებენ.

— ალბათ მორბენალი სტრიქონით...

დღეს წყალტუბოში

— იმერლები უკეთეს მდგომარეობაში არიან.

— რატომ?

— „დინამო“ — „ლოკომოტივი“ ტელევიზორში იქნება და...

— ჰოდა, მატჩის მსვლელობისას მორიგდებიან?

— აბა, რა.

— „სამგურალს“ რომ სულ არ აინტერესებს თბილისური შეხვედრა?

— სამაგიეროდ, „ტორპედოს“ მესამეზე ჩამოქვეითება ხელს არ აძლევს.

— საიდან მოიტანე ეგ?

— მაშინ ქუთაისელები თასის ფინალში თავს გაიგიჟებენ.

— მეორეზე თუ გავლენ, დათმობენ თასს?

— ყოველ შემთხვევაში, ოდნავ მაინც მოდუნდებიან...

— რა ზღაპრებს ჰყვები. პირდაპირ თქვი, რა გინდა.

— „ტორპედო“ გაიმარჯვებს.

— „სამგურალის“ მოგებას და ფრეს მომცემ?

— რამდენს გადაიხდი?

— აქეთ უნდა მომცე, „ტორპედოზე“ დგახარ.

— ფული ვისაც აქვს, იმან გადიხადოს.

— არ მინდა ეგ სანაძლეო.

— შეგეშინდა?

— ორივე გუნდი ქუთაისელებითაა სავსე. მაგათსას რას გაიგებს კაცი...

ლიხს აქეთ

— მაინც რა უბედურებაა, 7 თამაში აქეთ რომაა.

— სად აქეთ?

— აღმოსავლეთში.

— უბრალო დამთხვევაა.

— როგორც მსაჯების განაწილება, არა?...

— ინტრიგანობას შეეშვი. ფეხბურთზე მელაპარაკე.

— რომელ ფეხბურთზე?

— აი, „შევარდენზე“ და გორში რომ იქნება დღეს.

— ორივეგან სტუმრების მოგებაა მოსალოდნელი.

— დამცინი?

— შენ არა, იმათ.

— ვის იმათ.

— ტოტალიზატორებს?

— რისთვის?

— საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს რომ კოეფიციენტებს არ უწერენ, იმისთვის.

— გიჟები კი არ არიან...

— ახლა არ მითხრა, ბოლნისური შეხვედრის შედეგსაც გამოვიცნობო.

— ის მაინც ვიცი, „ბათუმი“ არ მოიგებს.

— არ თუ ვერ?

— ვერ გაიგე, ინტერტოტო რომ არ უნდათ.

— „ვიტ ჯორჯიას“ ხომ უნდა.

— რუსთავში მაინც ვერ იმარჯვებს.

— ვითომ?

— „გორდას“ ზურგი აქვს — „ფოლადის“ ზურგი.

— ისე, მართალი ხარ. ძნელია ისეთ მოედანზე ბურთის დამორჩილება.

— „მერანის“ გამორჩილება?

— ჰოო, სამტრედიელებს მინიმალური შანსი აქვთ.

— მაინც რამხელა?

— ეგ „იბერიას“ ტყუპ გიგიაძეებზეა დამოკიდებული.

— „არსენალ“ — „კოლხეთზე“ რას იტყვი?

— მაგ თამაშს თავს ვარიდებ.

— ესე იგი, ფრეს ელოდები.

— არამარტო ფრეს.

— აბა, კიდევ რას?

— წყალდიდობას, ექიმებისა და მეხანძრეების დაგვიანებას და ასე შემდეგ.

— რომელი ნოსტრადამუსი შენ ხარ?

— საქართველოს პირველობაზე ყველა ნოსტრადამუსი არაა?...

— მასე ვფიქრობდი მეც, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ამ ბოლო ტურებში ნამეტანი აირ-დაირია ყველაფერი და მიჭირს პროგნოზების გაკეთება.

— მერე მკითხე და არ დაგზარდები.

— აბა, მითხარი, ვის დანიშნავენ მსაჯად 9 მაისს, „ტორპედო“ — „დინამოზე“?

— შეეშვი-მეთქი, სხვის ბოსტანში ქვების სროლას. ფეხბურთზე მკითხე.

— ფეხბურთზე? კი, ბატონო. ის მითხარი მაშინ, ვინ გავა მეორე ადგილზე.

— ამას ვერ გეტყვი. ბიჭებს ეწყინებათ.

— ბიჭები ჯაფერ შუაში, არც შენ იცი.

— რა არ ვიცი?

— პროგნოზების გაკეთება.

— რა ფეხბურთიცაა, იმის პროგნოზებს კი ვაკეთებ და...

— ეგ ზერელე მსჯელობას უფრო ჰგავს.

— კონკრეტულად ერთს გაგიმხელ.

— აბა?

— პირველი ჯგუფიდან არავის გაადგებენ.

— შენ არ მეუბნებოდი, ინტრიგანობას თავი დაანებეო?...

ხვიჩა სანიკიძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

შარშანდელი „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 0:0. თბილისელებს, ბოლო ოთხი მატჩია, ერთმანეთისთვის ბურთი არ გაუტანიათ

თბილისი. „ეროვნული“. 5 მაისი. 18 საათი

დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ქარქაშაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. კაჭახიძე

ფოთი. „ეროვნული“. 5 მაისი. 18 საათი

სამგურალი — ტორპედო

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); თ. ხუჭუა (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

თბილისი. „ისანი“. 5 მაისი. 18 საათი“.

არსენალი — კოლხეთი

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ო. ხეცაძე (ბორჯომი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

გორი. „ცენტრალური“. 5 მაისი. 18 საათი

დილა — გურია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ო. მოლოდინაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

თბილისი. „შევარდენი“. 5 მაისი. 18 საათი

თსუ — ოდიში

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ელოევი (ცხინვალი), მ. ელიკაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 5 მაისი. 18 საათი

სიონი — ბათუმი

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ა. ორდენიძე (ონი), ს. კახიანი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. „სინათლე“. 5 მაისი. 18 საათი

მერანი — იბერია

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

რუსთავი. „ფოლადი“. 5 მაისი. 18 საათი

გორდა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); კ. თბილელი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

REUTERS გლაზგოდან

სელტიკი — რეინჯერსი 0:3. მატჩის არბიტრ ჰიუ დალასს მსაჯობასთან ერთად ფეხბურთელების გაშველებაც უხდებოდა. ამ ეპიზოდში მასპინძლები „რეინჯერსის“ ბომბარდირს როდ უოლესს (მარცხნივ) უპირებენ გალახვას

ორი ცნობა და ერთი საჩივარი

საგენტო „როიტერმა“ ორი ცნობა გაავრცელა. ტესქტი, ძირითადად, ორივეში ერთი და იგივე წერია. განსხვავება მხოლოდ შესავალშია.

შესავალი პირველი (ადრეული ცნობის): „ბოლონიამ და მარსელმა, ბოლონიის სტადიონზე უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრის დროს ამტყდარი ჩხუბის მონაწილე გუნდებმა, რომლებიც უეფას სადისციპლინო კომისიამ ჯამში 130 ათასი დოლარით დააჯარიმა, სასჯელი გაასაჩივრეს“.

შესავალი მეორე (გვიანი ცნობის): „მარსელმა უეფაში შეტანილი უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრის დროს, ბოლონიის სტადიონზე ამტყდარი ჩხუბის გამო დაჯარიმებასთან დაკავშირებული საჩივარი გამოიტანა, „ბოლონიამ“ კი არა“.

შემდეგ, ორივე ცნობის ტექსტი ერთია: „საჩივარს უეფა პარასკევს, ჟენევაში განიხილავს. ორივე გუნდის ფეხბურთელები და ოფიციალური პირნი მონაწილეობდნენ 20 აპრილის არეულობაში, რომელიც 1:1 დამთავრებული შეხვედრის შემდეგ დაიწყო.

უეფამ „მარსელი“ 125 ათასი შვეიცარიული ფრანკით (82 180 დოლარი) დაჯარიმა და დისკვალიფიკაცია მიუსაჯა მის ფეხბურთელებს, კრისტოფ დიუგარის (ხუთი თამაშით) და ამადა ჟამბეის (ოთხი თამაშით). „ბოლონია“ 150 ათასი შვეიცარიული ფრანკით (98 620 დოლარი) დაჯარიმდა და სამ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მიესაჯა.

„მარსელი“ 12 მაისს, მოსკოვში, უეფას თასის ფინალში, „პარმასთან“ ხუთი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშებს. დიუგარისა და ჟამბეის გარდა მას არ ეყოლება იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი, ნახევარმცველი პეტერ ლუქსენი და მცველი უილიამ გალა, რომლებიც ბოლონიაში მეორედ გააფრხილეს.

მომავალი წლის 28 აპრილამდე ფეხბურთიდან მოკვეთეს „მარსელის“ თანამშრომელი სტეფან კურბისიც (მწვრთნელის, როლან კურბისის ვაჟი), რომელმაც ბოლონიელ ფეხბურთელს, ჯამპიერო მაინის თამაშის შემდეგ ხელი გაარტყა, რაც ვიდეოფირებზეა აღბეჭდილი.

თავად მაინი სამი მატჩითაა დისკვალიფიცირებული, ხოლო მისი თანაგუნდელები, ჯანკარლო მაროკი და ამადეო მანგონი ოთხ და ხუთ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ.

„მარსელისა“ და „ბოლონიის“ შეხვედრები 0:0 და 1:1 დასრულდა. ფრანგული გუნდი ფინალში მეტოქის მოედანზე გატანილი გოლის წესმა გაიყვანა.

პაპუნა კედია

ნიკოლა ანელკას რეალური ვარიანტი

— რატომაც არა? ყველაფერია შესაძლებელი. ეს სიტყვები ნიკოლა ანელკამ ესპანურ გაზეთ „მარკას“ ჟურნალისტებთან საუბრისას წარმოთქვა...

მიმდინარე სეზონი ახალგაზრდა ფრანგი ვარსკვლავისთვის ბრწყინვალე გამოდგა, როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში, რომლის ხელმძღვანელობამაც იგი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე განაცხადშიც კი არ შეიყვანა. დღეისთვის ანელკა ლონდონის „არსენალის“ ერთ-ერთი ლიდერი და საუკეთესო მეგოლეა 16 გატანილი ბურთით. ამავდროულად, მან პლანეტის უძლიერესი ნაკრების, საფრანგეთის ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც მყარად მოიკიდა ფეხი. „უემბლიზე“, ინგლისელებთან ამხანაგურ მატჩში კი ყმაწვილმა ფორვარდმა სასწაულები ჩაიდინა — სამი გოლი გაიტანა, აქედან ერთი, ნაღდი — არ ჩაუთვალეს. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ ანელკათი მსოფლიოს ფეხბურთის გიგანტი კლუბები დაინტერესდნენ, მათ შორის, ტურინის „იუვენტუსი“ და უეფას თასის ფინალისტი „მარსელი“.

და აი, ახალი მსურველიც გამოჩნდა. ზემოხსენებული საუბარი სწორედ ამის შემდეგ შედგა. ნიკოლა ანელკათი სერიოზულად დაინტერესდა მადრიდის „რეალი“, მიუხედავად იმისა, რომ მას ინგლისის ჩემპიონთან კონტრაქტი 2003 წლამდე აკავშირებს. დავუბრუნდეთ ფრანგის ინტერვიუს გაზეთ „მარკაში“.

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მადრიდის „რეალი“ ჩემით დაინტერესდა. ეს ხომ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, მდიდარი ისტორიით და ტრადიციებით. მე კარგად ვიცნობ ესპანურ საფეხბურთო ლიგას, იქაურ ხალხს, ატმოსფეროს. ჩემი კარიერისთვის მეტად სასარგებლო იქნება, თუ თამაშს ასეთ პრესტიჟულ ტურნირში გავაგრძელებ — ამბობს ანელკა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ დაასახელა.

საყურადღებოა, რომ ამას წინათ, სანამ ანელკათი „რეალი“ დაინტერესდებოდა, მას ჰკითხეს, თუ ლონდონს დატოვებდა, სად ისურვებდა კარიერის გაგრძელებას. 20 წლის ვარსკვლავის პასუხი ასეთი იყო:

— ესპანეთში. მე მიყვარს ეს ქვეყანა და პრემერა დივიზიონი, იმიტომ, რომ იქ ბევრი გოლი გადის. დიახ, უფრო ესპანეთში, ვიდრე იტალიაში.

ისე, მართლაც, რატომაც არა? ანელკა „რეალს“ ძალიან მოუხდება.

მძიმე, მაგრამ ტკბილი

...**ეხეხვედრის** მსაჯ ჰიუ დალასს ტრიბუნიდან ნასროლი საგანი, სავარაუდოდ, ხურდა ფული მოხვდა თავში, სისხლი წასკდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

...60 ათასი ქომაგით გადაჭედილ სტადიონს მატჩის დასაწყისში ოთხი ხულიგანი გამოეყო და მინდორზე გავარდა. საქმეში პოლიცია ჩაერია, სიტუაცია განიმუხტა.

...დალასმა ცხრა ფეხბურთელი გააფრთხილა და სამი გააძევა. მინდორზე ხშირი იყო უხეშობა, ჩხუბი. მსაჯის ყოველი გადაწყვეტილების შემდეგ ზოგიერთი გულშემატკივარი კვლავ ცდილობდა მწვანე ბალახზე გავარდნას და „სამართლიანობის“ აღდგენას...

ღიახ, კვირას, 2 მაისს, გლაზგოს „პარკჰედზე“ ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული. ქვეყნის ყველაზე დიდი, ყველაზე დაუნდობელი მატჩი მიმდინარეობდა, დედაქალაქური დერბი, „სელტიკი“ — „რეინჯერსი“. ოღონდ ეს არ იყო უბრალო დერბი, რადგან „რეინჯერსი“ გამარჯვების შემთხვევაში მიუწვდომელი, ანუ შოტლანდიის ჩემპიონი ხდებოდა. ეს კი მის მართლაც მოსისხლე მტერს, „სელტიკს“ გულზე ნაღდად არ ეხატებოდა.

„რეინჯერსმა“ 3:0 მოიგო. „სელტიკს“ მისსავე სარბიელზე დაასხა თავსლაფი, მტრის ბანაკში იზეიმა ასე ნანატრი გამარჯვება.

— ძალიან მიხარია, რომ შოტლანდიაში მუშაობის პირველივე წელს ტრიუმფატორი გავხდი — იტყვის დიდი ბრძოლის დასრულებისთანავე „რეინჯერსის“ ჰოლანდიელი თავკაცი, ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, დიკ ადვოკაატი.

ქვეყნის ახალმა ჩემპიონმა მეასედ მოუგო „სელტიკს“, თანაც ასეთი დიდი ანგარიშით ბოლო 39 წელიწადში პირველად და სულ 48-ედ, ბოლო 11 სეზონში კი მე-10-ედ მოიპოვა უძლიერესის ტიტული.

— საშინლად მრცხვენია ჩვენი გულშემატკივრების საქციელის გამო, ყველას ბოდიშს ვუხდი. მიმდინარე სეზონში „რეინჯერსი“ აშკარად ჩვენზე ძლიერი იყო — ეს კი იოჟეფ ვენგლოშის, „სელტიკის“ სლოვაკი დამრიგებლის მატჩისშემდგომი სიტყვებია.

ამ სეზონში „რეინჯერსი“ მართლაც დიდებულად თამაშობდა. ამას აქვს თავის მიზეზები — გარდა იმისა, რომ სეზონის წინ კლუბს გამოცდილი ადვოკაატი ჩაუდგა სათავეში, გლაზგოელთა ხელმძღვანელობამ გუნდის მოსაღონიერებლად მთელი 40 მილიონი გირვანქა ანუ 64,5 მილიონი დოლარი გამოყო. ამიტომ „რეინჯერსს“, უბრალოდ, უფლება არ ჰქონდა, პოზიციები დაეთმო.

მაშ ასე, შარშან დაკარგული ჩემპიონობა „რეინჯერსმა“ წლეულს ღირსეულად დაიბრუნა. შოტლანდიის ყველაზე ტიტულიან კლუბს შეუძლია, მალე უფრო გაიმდიდროს ისტორია. 29 მაისს, გლაზგოურ „ემპდენ პარკზე“, ადვოკაატის ბიჭები კიდევ ერთხელ შეხვდებიან „სელტიკს“, რათა ქვეყნის თასის მფლობელის ვინაობა გაარკვიონ.

ნოდარ კასრაძე

შოტლანდიის ჩემპიონატის გამარჯვებულები

1891	დამბერტონმა და რეინჯერსმა ტიტული გაიყვეს	1915	სელტიკი	1948	ჰიბერნიანი	1974	სელტიკი
		1916	სელტიკი	1949	რეინჯერსი	1975	რეინჯერსი
		1917	სელტიკი	1950	რეინჯერსი	1976	რეინჯერსი
1892	დამბერტონი	1918	რეინჯერსი	1951	ჰიბერნიანი	1977	სელტიკი
1893	სელტიკი	1919	სელტიკი	1952	ჰიბერნიანი	1978	რეინჯერსი
1894	სელტიკი	1920	რეინჯერსი	1953	რეინჯერსი	1979	სელტიკი
1895	ჰარტსი	1921	რეინჯერსი	1954	სელტიკი	1980	აბერდინი
1896	სელტიკი	1922	სელტიკი	1955	აბერდინი	1981	სელტიკი
1897	ჰარტსი	1923	რეინჯერსი	1956	რეინჯერსი	1982	სელტიკი
1898	სელტიკი	1924	რეინჯერსი	1957	რეინჯერსი	1983	დანდი იუნაიტედი
1899	რეინჯერსი	1925	რეინჯერსი	1958	ჰარტსი	1984	აბერდინი
1900	რეინჯერსი	1926	სელტიკი	1959	რეინჯერსი	1985	აბერდინი
1901	რეინჯერსი	1927	რეინჯერსი	1960	ჰარტსი	1986	სელტიკი
1902	რეინჯერსი	1928	რეინჯერსი	1961	რეინჯერსი	1987	რეინჯერსი
1903	ჰიბერნიანი	1929	რეინჯერსი	1962	დანდი	1988	სელტიკი
1904	სირდ ლანარკი	1930	რეინჯერსი	1963	რეინჯერსი	1989	რეინჯერსი
1905	სელტიკი	1931	რეინჯერსი	1964	რეინჯერსი	1990	რეინჯერსი
1906	სელტიკი	1932	მოზერველი	1965	კილმარნოკი	1991	რეინჯერსი
1907	სელტიკი	1933	რეინჯერსი	1966	სელტიკი	1992	რეინჯერსი
1908	სელტიკი	1934	რეინჯერსი	1967	სელტიკი	1993	რეინჯერსი
1909	სელტიკი	1935	რეინჯერსი	1968	სელტიკი	1994	რეინჯერსი
1910	სელტიკი	1936	სელტიკი	1969	სელტიკი	1995	რეინჯერსი
1911	რეინჯერსი	1937	რეინჯერსი	1970	სელტიკი	1996	რეინჯერსი
1912	რეინჯერსი	1938	სელტიკი	1971	სელტიკი	1997	რეინჯერსი
1913	რეინჯერსი	1939	რეინჯერსი	1972	სელტიკი	1998	სელტიკი
1914	სელტიკი	1947	რეინჯერსი	1973	სელტიკი	1999	რეინჯერსი

შოტლანდიის ჩემპიონის ტიტულს შემდეგი კლუბები ფლობდნენ: რეინჯერსი — 48-ჯერ, სელტიკი — 36, აბერდინი — 4, ჰარტსი — 4, ჰიბერნიანი — 4, დამბერტონი — 2, დანდი — 1, დანდი იუნაიტედი — 1, კილმარნოკი — 1, მოზერველი — 1, სირდ ლანარკი — 1.

იუჰანსონის ბოლო ვადა

უეფას შვედმა პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა გუშინ ჟურნალ „კიკერს“ განუცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ ამ თანამდებობისთვის აღარ იბრძოლებს.

— შემდეგ არჩევნებში, რომელიც 2002 წელს გაიმართება, ჩემს კანდიდატურას აღარ წამოვაყენებ. ამის ბევრი მიზეზი არსებობს, პირველ ყოვლისა, ასაკი — უთხრა გერმანელ ჟურნალისტებს ევროპული ფეხბურთის 69 წლის მმართველმა.

იუჰანსონი უეფას თავკაცად 1990 წელს დაინიშნა. მაშინ მან თქვა, ამ პოსტზე დიდხანს ვაპირებ დარჩენას, ეს სამუშაო ძალიან მომწონს და ჯანმრთელობაც ხელს მიწყობსო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაირა. შარშან, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, იგი ფიფას პრეზიდენტობისთვის იბრძოდა, მაგრამ შვეიცარიელმა იოზეფ ბლატერმა აჯობა. მაშინ იუჰანსონმა თავის მარცხს „საშინლად გულდასაწყვეტი“ უწოდა.

უეფას პრეზიდენტმა გუშინ თავისი ორგანიზაციისა და ფიფას შესაძლო გამიჯვნის შესახებაც ისაუბრა. კერძოდ, თქვა:

— ფიფას და უეფას ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. ეს ძალიან სულელური, ინფანტილური იდეაა და მე მისი განხორციელების სრული წინააღმდეგი ვარ.



ლენარტ იუჰანსონი (მარჯვნივ) მეგობრებთან ერთად ბურკინა ფასოში

გიჟური თამაში ანუ მორატი გიჟი არ ყოფილა

რომა 4:5 ინტერი

0:1 რონალდო (17), 0:2 სამორანო (23), 1:2 ტოტი (25პ), 1:3 სამორანო (34), 2:3 პაოლო სერჯიო (47), 3:3 დელვეკიო (49), 3:4 რონალდო (56), 4:4 დი ფრანჩესკო (78), 4:5 სიმეონე (87)

რომა: კონსელი, კუარდინი, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ალეინიჩევი (ტომაზი 32), დი ბიაჯო (ტომიჩი 84), დი ფრანჩესკო, პაოლო სერჯიო (გაუტიერი 79), დელვეკიო, ტოტი

ინტერი: პალიუკა (ფრეი 63), სამიჩი, ბერგომი, კოლონეზე, სილვესტრი, ძანეტი, სიმეონე, კოე, ბაჯო, სამორანო (ჯორკაეფი 79), რონალდო

გაფრთხილება: ძაგო, ძანეტი, კოე, კოლონეზე

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა

რომის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ ცხრაგოლიან შეხვედრაში ბოლო სტუმარი გუნდის, მილანის „ინტერის“ არგენტინელმა ნახევარმცველმა დიეგო სიმეონემ საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე გაიტანა. „რომა“ დამარცხდა. სერია A-ს მეოთხე ადგილის მაძიებელმა ამ სეზონში შინ პირველად წააგო და ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე „პარმას“ ერთგვარი ძღვენი მიართვა: პარმელები რომაელთა საშინაო მარცხის წყალობით მდევართა ჯგუფთან, რომელიც „რომას“ გარდა „იუვენტუსისა“ და „უდინეზესგან“ შედგება, ოთხქულიან მეტობას ინარჩუნებენ. მოგეხსენებათ იტალიური ლიგიდან პირველ-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად ჩაებმებიან მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში.

„ინტერი“ გამხნევებული ჩანდა. მილანელთა მხნეობა, ალბათ, ინგლისელი სპეციალისტის, როი ჰოჯსონის სეზონის ბოლომდე გუნდში დაბრუნებით უნდა აიხსნას და კიდევ იმით, რომ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი, რონალდო, ძველებურად ათამაშდა. ბოლო მოსაზრების დადასტურება ძნელი არაა: მარტო შესვენებამდე მსოფლიოს 1996 და 1997 წლების საუკეთესო ფეხბურთელმა ერთი გოლი თავად გაიტანა, ხოლო ორი ჩილელ თანაგუნდელს, ივან სამორანოს გაატანინა.

მაგრამ, შესვენების შემდეგ თამაში განახლდა და რომაელების, პაულო სერჯიოსა და მარკო დელ ვეკიოს მიერ ორწუთიან ინტერვალში გატანილმა ორმა გოლმა საწყისი ბალანსი აღადგინა.

ამის შემდეგ „ინტერის“ სასარგებლოდ მდგომარეობა ისევ სამორანოსა და რონალდოს დუეტმა შეცვალა. ჩილელმა ბრაზილიელს ასისტენტობა გაუწია და მასპინძლებს კვლავ დასაწყვეტად გაუხდათ საქმე დაეწიენ კიდეც, თავი ეუსებიო დი ფრანჩესკომ გამოიჩინა, მაგრამ ეს გახლდათ თამაში, რომელშიც გოლებს ბოლო არ უჩანდა: 87-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც რობერტო ბაჯომ კუთხური ჩაწოდა, ხოლო სიმეონემ გამარჯვების გოლი შეაგდო.

დრამატულ შეხვედრაში მოპოვებულმა სამმა ქულამ მილანელი „შავლურჯები“ მეცხრე ადგილიდან მერვეზე აიყვანა, ქულებით „ბოლონიასთან“ გაატოლა და უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლაში ჩართო — სწორედ ეს სთხოვა კლუბის პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ, ჰოჯსონს.

ახლა, ბოლო ხუთ ტურში პირველი გამარჯვებით, „ინტერის“ პრეზიდენტი ფრთაშესხმულია. გუნდში ჰოჯსონის დაბრუნება რომ გადაწყვიტა გიჟი უწოდეს, დაბრუნებას თუ უპირებდი, ორი წლის წინ რაღად ხსნიდიო. იქნებ მორატიმ დაამტკიცოს, რომ არც ისეთი გიჟია.

პაპუნა კედია

რომა — ინტერი 4:5. შეცვლაზე შესულ რომაელ ტომაზის მილანელმა კოემ კინაღამ პანღური უთავაზა

ფეხბურთის რუკასთან

შვედეთის ჩემპიონატის მეოთხე ტურის ექვსი შეხვედრა კვირას და ორშაბათს გაიმართა: დურგარდენი — ტრელებორგი 2:2, ორგრიტე — ერებრუ 1:0, ნორჩეპინგი — ჰელსინგბორგი 1:0, გიოტებორგი — ელფსბორგი 2:0, კალმარი — ფროლუნდა 3:1, ჰალმშტადი — მალმიო 1:0. ჩემპიონატს ოთხი მატჩიდან ათი ქულით „ორგრიტე“ ლიდერობს, მეორე ადგილზე მყოფ „ფროლუნდას“ ოთხი თამაშიდან ცხრა ქულა აქვს, მესამეზე კი სამი მატჩიდან ექვსი ქულით „ელფსბორგია“.

არგენტინაში დღესდღეობით მეორე ჩემპიონატი — კლაუსურა მიმდინარეობს. ამ შაბათ-კვირას პირველობის მორიგი, მეთერთმეტე ტური გაიმართა: ველეს სარსფილდი — ბოკა ხუნიორსი 0:3, რივერ პლეიტი — ხიმნასია ხუხუი &0, როსარიო სენტრალი — ინდეპენდიენტე 0:2, პლატენსე — ურაკანი 2:1, კოლონი — ხიმნასია ლა პლატა 2:2, ტალერესი — ლანუსი 3:0, ესტუდიანტესი — ფერო კარილი 1:2, სან ლორენსო — უნიონი 4:1. ჩემპიონატს 29 ქულით „ბოკა ხუნიორსი“ ლიდერობს. მეორე — მესამე ადგილებს 24-24 ქულით „რივერ პლეიტი“ და „სან ლორენსო“ იყოფენ, თუმცა ეს უკანასკნელი ბურთების უარესი სხვაობის გამო მესამეზეა. შეგახსენებთ, რომ ერთი სეზონის მანძილზე არგენტინაში ორი პირველობა იმართება, სადაც გუნდები ერთმანეთს ერთხელ ხვდებიან. პირველ ჩემპიონატს აპერტურა ეწოდება, მეორეს კი კლაუსურა. ერთ სეზონში არგენტინაში ორი ჩემპიონი ვლინდება, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ერთ კლუბს ორივე პირველობა მოუგია.

ჩეხეთის ჩემპიონატის 25-ე ტურის თამაშები კვირას გაიმართა: ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ოლომოუცი 2:0, ბობი ბრნო — იაბლონეცი 3:0, ჩმელი — ვიქტორია (პლზენი) 1:1, ტეპლიცე — კარვინა 3:0, სლოვანი — ოპავა 1:0, ბანიკი — სპარტა 2:0, სლავია — დრნოვიცე 4:0, დუკლა — ჰრადეც კრალოვე 0:0. 50 ქულით ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს პრაღის „სპარტა“. მეორეზე პრაღის კიდევ ერთი კლუბი „სლავია“. რომელსაც 45 ქულა აქვს. მესამეზე 43 ქულით „ტეპლიცეა“.

უნგრეთის ჩემპიონატის 27-ე ტურის ერთი თამაში კვირას ჩატარდა: პირველობის ერთპიროვნული ლიდერი ბუდაპეშტის მტკ „კერულეტს“ ესტუმრა და 5:1 მოიგო. ჩემპიონატს 68 ქულით, როგორც მოგახსენეთ, მტკ ლიდერობს. 54 ქულით მეორეზეა „ფერენცვაროში“, ხოლო მესამეზე მყოფ „უპეშტს“ 51 ქულა აქვს.

დანიის ჩემპიონატს 25-ე ტურის შეხვედრაში, გასული კვირის მიწურულს რომ გაიმართა, ასეთი შედეგები დაფიქსირდა: ორჰუსი — ლუნგბიუ 1:1, B93 — ვეილე 0:2, ერფოლგე — სილკებორგი 1:1, ვიბორგი — ბრონდბიუ 2:0, ფრემადი — AB 1:3, ოლბორგი — კოპენჰაგენი 4:3. 50 ქულით პირველია კოპენჰაგენის AB. „ოლბორგი“ ლიდერს ქულით ჩამორჩება. „ბრონდბიუს“, რომელიც მესამეა, 47 ქულა აქვს.

რუმინეთის ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები ასე დასრულდა: უნივერსიტატია (კლუჟი) — ნაციონალი 1:4, ასტრა — ფარული 4:0, სტიაუა — ჩაპლაული 3:2, ონესტი — დინამო 1:4, რაპიდი — გლორია 5:0, ბაკეუ — პეტროლული 3:1, არჯეში — ფორესტა 1:1, რეფინტა — ოცელული 2:3, უნივერსიტატია (კრაიოვა) — ოლიმპია 5:1. პირველობის ლიდერ ბუქარესტის „დინამოს“ 71 ქულა აქვს. მეორე-მესამე ადგილებზე ასევე ბუქარესტული კლუბები არიან: „რაპიდმა“ 68 ქულა მოაგროვა, „სტიაუამ“ — 54.

ბულგარეთის ჩემპიონატის 25-ე ტურის თამაშები შაბათ-კვირას გაიმართა: მინიორი — დობრუჯა 4:2, შუმენი — ლევსკი (კისტენდილი) 3:3, ლოკომოტივი (სოფია) — მეტალურგი 1:0, ბოტევი — სეპტემვრი 3:1, ლიტექსი — სპარტაკი 3:2, ცსკა — ლოკომოტივი (პლოვდივი) 6:0, პირინი — ლევსკი (სოფია) 0:1, ნეფტოხიმიკი — სლავია 2:0. 63 ქულით ჯერჯერობით პირველ ადგილზე ლოვეშის „ლიტექსია“. სოფიის „ლევსკი“ 61 ქულით მეორეზეა. კისტენდილის „ლევსკი“ პირველ ორ კლუბს გვარიანად ჩამორჩება და 45 ქულით მესამეზეა.

სლოვაკეთის ჩემპიონატის 26-ე ტურის შედეგები ასეთია: ზილინა — ტრენჩინი 4:0, დუბნიცა — სლოვანი 0:1, არტმედია — ბანიკი 0:0, ტაურისი — ბარდეხოვი 2:0, რუზომბეროკი — დუკლა 2:0, ნიტრა — სპარტაკი 0:3, ინტერი — ჰუმენი 1:2, ტატრანი — კოშიცე 0:3. პირველობას ორი ბრატისლავური კლუბი ლიდერობს: „სლოვანს“ 63 ქულა აქვს, „ინტერს“ კი 5-ით ნაკლები. ტრნავის „სპარტაკმა“, რომელიც ჯერჯერობით მესამეა, 55 ქულა მოაგროვა.

ესპანელმა მეკარემ ფრანსისკო მოლინამ, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობს, განაცხადა, სხვა კლუბის წინადადებას სიამოვნებით განვიხილავო. „მუდამ ვამბობდი, რომ „ატლეტიკოში“ თამაში მსიამოვნებდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვაგან წასვლა აზრადაც არ მომსვლია. თუ ვინმემ მისაღები წინადადებით მომმართა, გადავალ“ — განაცხადა მოლინამ, რომელიც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ქვეყნის ნაკრებშიც გახლდათ მიწვეული. ესპანურ პრესაში დაირხა ხმები, რომ 28 წლის მეკარით ინგლისის „ლივერპულია“ დაინტერესებული. ცნობისთვის: მადრიდის „ატლეტიკო“ ახალი სეზონის წინ „ესპანიოლში“ მოთამაშე მეკარის, ტონი ხიმენესის შეძენას აპირებს და მოლინასაც ამიტომ ელევა ასე ადვილად. მოლინას სანაცვლოდ „ატლეტიკო“ 6,4 მილიონ დოლარს ითხოვს.

ნორვეგიელმა რონი იონსენმა, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ თამაშობს, შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვოს. 29 წლის ფეხბურთელს ორივე მუხლი სტკივა, ამასთანავე მარჯვენა კოჭსაც შეუწუხებია. მანჩესტერის კლუბის ექიმები ამ დღეებში იონსენს გასინჯავენ და გადაწყვეტენ, გაუკეთონ თუ არა ოპერაცია. ალექს ფერგიუსონმა, კლუბის თავკაცმა, განაცხადა, რომ იონსენს თავის ერთ-ერთ საუკეთესო შენაძენად თვლის და მისი დიდი ხნით დაკარგვას ვერ შეეგუება. შოტლანდიელი მწვრთნელის თქმით, რონის, თუ ოპერაცია არ იქნება საჭირო, ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე დაასვენებს. შეგახსენებთ, რომ 28 აპრილს იონსენს თბილისშიც უნდა ეთამაშა ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ ზემოთქმული მიზეზის გამო გუნდს გამოაკლდა.

სარგებელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

სუპერგა 50 წლის შემდეგ

ნახევარი საუკუნის წინ დიდი „ტორინო“ დაიღუპა

...მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გასულია. მთელი 50 წელიწადი. ეს ეგებ დიდი დროა, ეგებ ცოტა, თუმცა ვისთვის როგორ. როცა ცხოვრება გიხარია, გეჩვენება, რომ დრო სწრაფად გადის და გინდა, ბედნიერების წამი წელიწადად იქცეს. მართლაც, უკან რომ გავიხედოთ, თითქოს არც ისე დიდი ხანი გასულა, მიუხედავად იმისა, რომ ტრაგედიას ვიხსენებთ, არადა, ეს შემთხვევა ხუთ ათეულ წელიწადს ითვლის. თაობები შეიცვალნენ, თუმცა ის უბედურება, ნახევარი საუკუნის წინ რომ დატრიალდა, იტალიელ ქომაგებს ახლაც ახსოვთ. ახსოვთ გუშინდელ დღესავით და ახსოვთ იმიტომ, რომ ავიაკატასტროფამ მსოფლიოს იმხანად ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „ტორინო“ შეიწირა.

1949 წლის 4 მაისს იტალიის ჩემპიონატის ლიდერი „ტორინო“ ქალაქ ტურინის მახლობლად მდებარე სუპერგას მთას შეასკდა. ყველაფერი წამებში დასრულდა, თვალის დახამხამებაში ჩაქრა იმ ხალხის სიცოცხლე, ვინც იტალიური ფეხბურთის ისტორიას ოქროს ასოებით წერდა.

1949 წლის 4 მაისს თვითმფრინავი, რომელსაც „ტორინო“ პორტუგალიიდან ტურინში უნდა ჩაეყვანა, იტალიის მიწაზე ვერ დაეშვა. ტურინის მშვენება სუპერგა 31 ადამიანისთვის უკანასკნელი, დაუძლეველი წინაღობა აღმოჩნდა — 18 ფეხბურთელი, კლუბის ხუთი წარმომადგენელი, სამი ჟურნალისტი და ეკიპაჟის ხუთი წევრი ფერფლად იქცა. დაღუპულთაგან უმეტესობა ვერც კი ამოიცნეს.

ეს იყო ზუსტად 50 წლის წინ. დღეს დღეობით იმ დიადი „ტორინოს“ წევრთაგან აღარავინაა ცოცხალი. აღარავინ, ერთადერთი იღბლიანის, საურო ტომას გარდა. იმ ავბედით დღეს იგი თვითმფრინავში არ იმყოფებოდა. ტრავმირებული ტომა „ტორინოს“ პორტუგალიაში ამხანაგურ მატჩზე არ წაყოლია. მაშინ, ალბათ, არც არავინ უწყოდა, რომ ლისაბონში „ბენფიკასთან“ მატჩი უკანასკნელი იქნებოდა „ილ გრანდე ტორინოსთვის“.

...მაშინდელ საბჭოთა კავშირში ხალხი ფეხბურთს არანაკლებ ქომაგობდა, ვიდრე ახლა, პოსტსაბჭოთა სივრცეში. მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა რჩებოდა საბჭოთა გულშემატკივრის თვალსაწიერის მიღმა და მერე წლების შემდეგ ხდებოდა ცნობილი. ამიტომ დღეს „ტორინოს“ ტრაგედიას, ძალიან რომ გვინდოდეს, ვერ გავიხსენებთ და აჯობებს, იტალიელს, „ილ გრანდე ტორინოს“ ერთ-ერთ ლიდერ საურო ტომას მოვუსმინოთ:

— დიდი „ტორინო“ იყო, რომელიც აღარ განმეორებულა. მთელი ცხოვრება „ტორინოს“ გულშემატკივარი ვარ და ასეთად მოკვდები. ეს კლუბი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. „ტორინო“ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

იმ წლების „ტორინო“ მართლაც დიდი კლუბი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი და საუკეთესო გაგებით. გუნდი გუნდად ვარგოდა, ფეხბურთელებიც შესანიშნავი ჰყავდა. 40-იანი წლების „ტორინო“ უძლეველი იყო. იდგა ცალკე, სხვებისთვის მიუწვდომელ მწვერვალზე და მეტოქეთ ამყად დაჰყურებდა. ტურინელებმა ზედიზედ მოიგეს ოთხი ჩემპიონატი, იმ ავადსახსენებელ 1949 წელს კი მეხუთე „სკუდეტოსკენ“ მიისწრაფოდნენ. 1947-48 წლების სეზონში გუნდმა 125 გოლი გაიტანა, მეორე ადგილზე გასულ „ინტერს“ 16 ქულით გაუსწრო, ერთი მატჩი 10:0 მოიგო...

ნამდვილად დიდი კლუბი იყო „ტორინო“.

და სწორედ დიდების ზენიტში მყოფი კლუბი დაიღუპა.

— ტრაგედიამდე ორი დღის წინ გადაწყდა, რომ ლისაბონში ვერ გავფრინდებოდი. გული დამწყდა. გულდაწყვეტილი ვიყავი ტრაგედიის შემდეგაც. უსამართლოდ მომაჩნდა, რომ ჩემი მეგობრები დაიღუპნენ, მე კი გადავრჩი. გუშინდელივით მახსოვს, იმ დღეს სტადიონიდან შინ ვბრუნდებოდი. სახლთან ბევრი ხალხი შევნიშნე. ყველა დამწუხრებულიყო. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მერე კი ერთ-ერთმა მათგანმა ხელი მომზვია, გვერდზე გამიხმო და ყველაფერი მითხრა. უმალ სუპერგას მთისკენ წავედით. იქ „ტორინოს“ პრეზიდენტი შემხვდა და ზემოთ აღარ გამიშვა. არ უნდოდა მენახა, რა დამართათ ჩემს მეგობრებს...

4 მაისს ცუდი ამინდი იყო. წვიმდა, ერთი ხანობა წამოთოვა კიდეც. თვითმფრინავმა ღრუბლების მარწუხებს ოავი რომ დააღწია, გზა მოჭრილი ჰქონდა — წინ სუპერგა აღმართულიყო. ყველაფერი ელვისებურად დასრულდა. „ტორინოს“ ინგლისელი მწვრთნელი ლესლი ლაივისლი, მარჯვენა გარემარბი ენძო ლოიკი, თავდამსხმელი გუგლიელმო გაბეტო, მარჯვენა მცველი ალდო ბალერინი, მეკარე ვალერი ბაჩიგალუპო, იმ წლების იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი ვალენტინო მაცოლა და კიდევ 25 ადამიანი უმალ დაიღუპა.

მეორე დღეს მთელი იტალია გლოვობდა. უცნაურია, არა? იქ, სადაც ერთი კლუბის ქომაგი მეორე გუნდს დასანახავად ვერ იტანს, მთელი ერი დამწუხრდა ერთი „ტორინოს“ დაღუპვის გამო.

„ტორინო“ დიახაც რომ ერთი იყო, მაგრამ იყო არა კლუბის გულშემატკივრებისთვის, არამედ მთელი იტალიისთვის. იმ წლების ქვეყნის ეროვნულ გუნდში ძირითადად სწორედ „ტორინოს“ ფეხბურთელები იყვნენ თავმოყრილნი. როცა იტალიის ნაკრები თამაშობს, აპენინელები ერთიანდებიან და „სკუადრა აძურას“ თანაბრად, მთელი სულითა და გულით უჭერენ მხარს. რადგან 1949 წლის 4 მაისს იტალიას „ტორინო“ და მასთან ერთად, ფაქტობრივად, იტალიის ნაკრები გამოეცალა, სწორედ ამან გააერთიანა ქომაგები. ესეც არ იყოს, ხალხი დაიღუპა, ასეთ დროს კი გულშემატკივრების შეული უკვე მეორე კი არა, მეათეხარისხოვანია.

იმ წლების იტალიის ნაკრები მართლაც რომ „ტორინო“ იყო. ტრაგედიამდე ერთი კვირით ადრე „სკუადრა აძურამ“ მადრიდში ესპანეთს ამხანაგურ მატჩში 3:1 სძლია. ესპანელების წინააღმდეგ ექვსმა ტორინელმა ითამაშა. 1947 წლის 11 მაისს, ტურინში იტალიამ უნგრეთს ამხანაგური მატჩი 3:2 მოუგო. სამივე გოლი „ტორინოს“ ფეხბურთელებმა — გუგლიელმო გაბეტომ (ორი) და ენძიო ლოიკმა გაიტანეს. და საერთოდ, იმ შეხვედრაში „ტორინოს“ ათმა (!) ფეხბურთელმა ითამაშა — ერთადერთი მეკარე ლუჩიდიო სენტიმენტი გახლდათ „იუვენტუსიდან“.

სუპერგას ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ იტალიის ნაკრები მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატზე სათამაშოდ, ოკეანისგადა ბრაზილიაში გემით გაემგზავრა...

— „ტორინოს“ დაღუპვამ დამშაფრა. კარგა ხანი დამჭირდა მომხდარის გასაცნობიერებლად. ეს რომ მოხდა, ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი მატჩი იყო დარჩენილი. ჩვენ, მდევარ „ინტერს“ ოთხი ქულით ვუსწრებდით და მილანელებს შეეძლოთ სკუდეტოს მოგება, მაგრამ ჩემპიონობა ჩვენ დაგვრჩა. თუმცა ეს მაშინ არავის აინტერესებდა...

ტრაგედიიდან ორი დღის შემდეგ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ჩემპიონის ტიტული პირველობის დასრულებამდე „ტორინოს“ მიენიჭა. უპრეცედენტო შემთხვევის წინააღმდეგ არავინ წასულა. ჩემპიონატში დარჩენილი ოთხი მატჩი „ტორინომ“ ახალგაზრდული შემადგენლობით ჩაატარა, თუმცა ყველა მოიგო — მეტოქეებმა „ტორინოს“ თავიანთი ახალგაზრდული გუნდები შეახვედრეს. საბოლოო ჯამში „ტორინო“ იტალიის ჩემპიონი გახდა და მილანის „ინტერს“ ხუთი ქულით აჯობა. წარმატება ტურინში არც ალუბნშავთ. ძალიან მძიმე იყო დანაკლისი.

ტკივილი კარგა ხანს არ განელებულა. დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად იტალიის რამდენიმე ქალაქის სტადიონს „ილ გრანდე ტორინოს“ ფეხბურთელების სახელები ეწოდა. ბრეშაში მთავარ საფეხბურთო სარბიელს ჩეპი რიგამონტის სახელი ჰქვია, ვარეზეში ფრანკო ოსოლას, ვიჩენცაში კარლო მენტის, მანტოვაში დანილო მარტელის...

— 5 მაისს ავალ სუპერგაზე ავალ ორმოცდამეთერ და ღმერთს კიდევ ერთხელ შევთხოვ მიცვალებულთა სულების შენდობას. 5 მაისს სუპერგას ეკლესიაში უამრავი სანთელი ინთება ხოლმე და ეს გულს მიხარებს. ხალხს ახსოვს ის „ტორინო“ და ეს ძალას მმატებს.

...უეჭველია, საურო ტომა სუპერგას მთაზეც ავა და პატარა ეკლესიაში ნახევარი საუკუნის წინ დაღუპულ მეგობრებსაც შეაწვევს სანთელს.

მის ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა.

ლაშა გოდუაძე

IL GRANDE TORINO — იტალიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი

კვიპროსი

უკანასკნელი ტური

ევაგორასი — ანორთოსისი 0:4, ომონია — ეთნიკოსი 4:0, აპოლონი — აელ 3:2, აეკ — ოლიმპიაკოსი 4:2, ენოსისი — აპოელი 3:5, ნეა სალამინა — არისი 2:3, დოხა — ალკი 3:1.

ანორთოსისი	26	21	4	1	95:28	67
ომონია	26	21	4	1	81:25	67
აპოელი	26	19	2	5	70:29	59
აეკ	26	14	3	9	63:45	45
აელ	26	13	5	8	55:39	44
ეთნიკოსი	26	12	6	8	49:43	42
აპოლონი	26	13	2	11	51:45	41
ენოსისი	26	8	8	10	55:64	32
ოლიმპიაკოსი	26	8	5	13	40:49	29
ნეა სალამინა	26	8	4	14	46:53	28
ალკი	26	7	4	15	37:70	25
ევაგორასი	26	6	4	16	30:66	22
დოხა	26	2	3	21	27:79	9
არისი	26	3	0	23	32:96	9

შენიშვნა: ფამაგუსტას „ანორთოსისგან“ ჩემპიონატი ბუნებრივად უფრო სხვებზე მიიგო. ეს მოხდა ზედიზედ მესამე წარმატება გახლოთ ქვეყნის პირველობაზე. თუ ამბავი და 8 მაისს „ანორთოსისმა“ თასის ფინალში ნიკოზიის „აპოელი“ დაამარცხა, მაშინ დუბლსაც შესწვდება. ჩვენის მხრივ შეგახსენებთ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში „ანორთოსისში“ საქართველოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი თემურ ქეცბაია თამაშობდა.

კვიპროსის პირველი ლიგა დასტოკეს ფაფოსის „ეკეგორასმა“, კათაკოფიას „დოხამ“ და ლიმასოლის „არისმა“. მათ ნაცვლად მომავალ სეზონში მეორე ლიგის სამი საუკეთესო კლუბი დერინიას „ანაგენისისი“, აშიას „ეთნიკოსი“ და ფაფოსის „აპოპი“ იასპარეზებენ.

კვიპროსის ჩემპიონატის გამარჯვებულები

1935	ტრასტი	1968	აელ
1936	აპოელი	1969	ოლიმპიაკოსი
1937	აპოელი	1970	ეპა
1938	აელ	1971	ოლიმპიაკოსი
1939	აპოელი	1972	ომონია
1940	აპოელი	1973	აპოელი
1941	აელ	1974	ომონია
1942	—	1975	ომონია
1943	—	1976	ომონია
1944	—	1977	ომონია
1945	აპოელი	1978	ომონია
1946	ეპა	1979	ომონია
1947	აპოელი	1980	აპოელი
1948	აპოელი	1981	ომონია
1949	აპოელი	1982	ომონია
1950	ანორთოსისი	1983	ომონია
1951	LTSK	1984	ომონია
1952	აპოელი	1985	ომონია
1953	აელ	1986	აპოელი
1954	პეზოპორიკოსი	1987	ომონია
1955	აელ	1988	პეზოპორიკოსი
1956	აელ	1989	ომონია
1957	ანორთოსისი	1990	აპოელი
1958	ანორთოსისი	1991	აპოლონი
1959	—	1992	აპოელი
1960	ანორთოსისი	1993	ომონია
1961	ომონია	1994	აპოლონი
1962	ანორთოსისი	1995	ომონია
1963	ანორთოსისი	1996	აპოელი
1964	—	1997	ანორთოსისი
1965	აპოელი	1998	ანორთოსისი
1966	ომონია	1999	ანორთოსისი
1967	ოლიმპიაკოსი		

პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი. II წრე

III ჯგუფი

პორტუგეზა 1:0 პალმეირასი
სან პაულუ 3:2 რიო ბრანკო
მატონენსე 4:3 ლიმეირა

IV ჯგუფი

კორინთიანსი 1:4 მოგი მირიმი
გუარანი 0:1 სანტოსი
ბარბარენსე 1:0 სანტისტა

III ჯგუფი

სან პაულუ	11	9	2	0	33:12	29
პორტუგეზა	11	7	1	3	19:17	22
პალმეირასი	11	5	5	1	18:11	20
მატონენსე	11	5	2	4	23:20	17
რიო ბრანკო	11	4	1	6	27:23	13
ლიმეირა	11	3	3	5	18:24	12

IV ჯგუფი

სანტოსი	11	7	2	2	25:13	23
ბარბარენსე	11	5	1	5	19:14	16
კორინთიანსი	11	4	1	6	19:24	13
მოგი მირიმი	11	3	2	6	12:24	11
გუარანი	11	2	2	7	13:23	8
სანტისტა	11	0	2	9	7:25	2

ჯგუფში საუკეთესო ორი გუნდი ნახევარფინალში გადის. გუნდები თითოჯერ ხვდებიან სხვა ჯგუფის წარმომადგენელს, ხოლო ორჯერ — საკუთარი ჯგუფის.

კარიოკას (რიო დე ჟანეიროს შტატი) ჩემპიონატი. II წრე

ვასკუ და გამა 5:0 იტაპერუნა
მადურეირა 3:2 ფლუმინენსე
ფლამენგო 3:0 ბანგუ
ფრიბურგენსე 1:0 ბოტაფოგო
ამერიკანო 3:1 ოლარია

ვასკუ და გამა	2	2	0	0	6:0	6
ფლამენგო	2	2	0	0	4:0	6
ამერიკანო	2	2	0	0	6:3	6
ფრიბურგენსე	2	1	1	0	2:1	4
მადურეირა	2	0	2	0	3:3	2
ფლუმინენსე	2	0	1	1	5:6	1
ბოტაფოგო	2	0	1	1	1:2	1
იტაპერუნა	2	0	1	1	1:6	1
ოლარია	2	0	0	2	1:4	0
ბანგუ	2	0	0	2	0:4	0

პირველ ეტაპზე იმარჯვა ფლამენგომ. ფინალში მას მეორე წრის გამარჯვებული შეხვდება, ხოლო თუ ფლამენგო მეორე წრეშიც პირველი იქნება, მაშინ ავტომატურად გახდება ჩემპიონი.

ჯილდოა საჭირო, ჯილდო

„ფიორენტინასა“ და „პარმასთვის“ იტალიის თასის დღევანდელი ფინალური დაპირისპირება (საპასუხო მატჩი. პირველი პარმაში 1:1 დასრულდა) გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ბოლოს და ბოლოს ჯილდოა საჭირო.

„ფიორენტინა“ მიმდინარე სეზონის უმეტესი ნაწილის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ...

„ამ გუნდს რაღაც უცნაური პრობლემები აქვს და ისინი დიდი წარმატებების მიღწევაში უშლის ხელს“ — აღიარა ფლორენციელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ — „ნეტავ თუ შევძლებ მათ დაძლევას, ნეტავ თუ შევძლებთ მათ დაძლევას, ნეტავ ვინმე თუ შეძლებს მათ დაძლევას.“

ახლა „პარმას“ ამბავიც ვიკითხოთ. კლუბი, რომელმაც გასულ ზაფხულს ახალი ფეხბურთელების ყიდვაში 60 მილიონი დოლარი დახარჯა და ბედმა „იუვენტუსისა“ და „ინტერის“ ცუდი სეზონიც გადმოუგდო, მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის იბრძვის. არადა, ფავორიტიაო...

სარგებლის არქივიდან



„ნაფინალევს. ბარსელონას კაპიტანი ხოსე რამონ ალესანკო

 თასების მფლობელთა თასი
XXIX გათამაშება 1988-89 წლები
ბარსელონა
ბარსელონა, ესპანეთი
ლიდერი ეყლიანაძვილი
Cup Winners' Cup
სრული ისტორია

ისევ ბარსა, ისევ კრუიფი

ევროთასებზე ერთი ქვეყნის გუნდების შეხვედრას ყოველთვის განსაკუთრებული ხიბლი აქვს. პრიზის მფლობელი „მეხელენი“ მერვედფინალში ბელგიის თასისა და თასების თასის ორგზის მფლობელს ბრიუსელის „ანდერლეხტს“ შეხვდა და ინტრიგაც თავისთავად წარმოიშვა.

ამ დროისთვის „მეხელენი“ ბელგიის ჩემპიონატს ლიდერობდა, „ანდერლეხტი“ კი მას სამი ქულით ჩამორჩებოდა. ბრიუსელელთა მწვრთნელი რაიმონდ გუტალსი ამტკიცებდა, რომ უკეთეს მეტოქეს ვერც ინატრებდა და რომ მან მოწინააღმდეგის მწვრთნელ აად დე მოსზე კარგად იცოდა „მეხელენის“ ავანჩავანი. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, დე მოსს თავის კოლეგაზე უკეთ სცოდნია „ანდერლეხტი“. გამარჯვების წყურვილი იმდენად დიდი იყო, რომ თასის მფლობელთა მეკარე მიშელ პრიუდომი ცხვირგატეხილი დადგა კარში და ჩინებულადაც ითამაშა. მეხელენში მატჩის ბედი დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ვილმოტსის გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა. მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, სტუმრებმა კი მთელი შეხვედრა კაცნაკლულებმა ითამაშეს — უკვე მეორე წუთზე მსაჯმა უხეში თამაშისთვის ბრიუსელელი კეში გააძევა.

ბრიუსელში სტუმრებმა კიდევ უკეთ ითამაშეს და ორი მშრალი ბურთი გაუტანეს „ანდერლეხტს“. მე-17 წუთზე ერვინ კუმანმა დაწინაურა თავისიანები, 46-ზე კი ოჰანამ მეორეც შეაგდო. ნამატჩევს დე მოსი ამაყად იდგა: „ჩვენ ორი რამ დავამტკიცეთ. ერთი ის, რომ დღეს „ანდერლეხტზე“ ძლიერები ვართ, მეორე — თასების თასი შემთხვევით არ მოგვიპოვებია“. იმ სეზონში „მეხელენს“ მართლაც ჰქონდა „ანდერლეხტთან“ უპირატესობა. ევროთასი არ აკმარა და გაზაფხულზე ქვეყნის ჩემპიონიც გახდა ორმოცწლიანი შესვენების შემდეგ. აი, თასების თასზე კი ნახევარფინალში წაიფორხილა იტალიურ „სამპდორიასთან“, ვიალის, მანჩინისა და ტონინიო სერეზოს გუნდთან.

შინ „მეხელენი“ 2:0-ს უგებდა იტალიელებს, მაგრამ მატჩის მიწურულს, ვიალის გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და „სამპას“ შანსები გაზარდა. საპასუხო შეხვედრის პირველ ტაიმში ბელგიელები კარგად იცავდნენ თავს. 71-ე წუთამდე ტაბლოზე 0:0 ენთო. სწორედ ამ დროს „სამპდორიის“ 34 წლის ბრაზილიელმა ტონინიო სერეზომ შეაგდო და მასპინძლებმაც გაილაღეს. დოსენამ და სალსანომ კიდევ ორი გაუტანეს მეკარე პრიუდომს და თასის მფლობელები ტურნირს ჩამოაცილეს.

იოჰან კრუიფის „ბარსელონამ“ საკმაოდ რთული გზა გაიარა ფინალამდე. თუ პირველ წრეს არ ჩავთვლით, მერვედფინალში კატალონიელებმა მხოლოდ მატჩისშემდგომი პენალტების წყალობით მოუგეს პოლონურ „ლეხს“, მეოთხედფინალის ორივე მატჩში კი ინგლისელი გარი ლინეკერის ერთადერთი გოლი იკმარეს დანიურ „ორჰუსთან“.

ნახევარფინალში „ბარსას“ საკმაოდ ძლიერი და პატივმოყვარე სოფიის „სრედეცი“ შეხვდა. კოსტადინოვი, პენევი და სტოიჩკოვი ამ დროისთვის უკვე საკმაოდ ამბიციურები იყვნენ და ეს „ბარსელონასთანაც“ დაამტკიცეს. „ბულგარელებს ერთი სახიფათო თამაბებთან შედარებით არაფერია. „ბარსას“ შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი ვარსკვლავის ყიდვა და ამის ხარჯზე ყოველ სეზონში შემადგენლობის ცვლა. მაგრამ ჩვენც გვაქვს ღირსება და ეს პირველ ყოვლისა, კარგად ორგანიზებული გუნდური თამაშია“ — ამბობდა ბოშკოვი.

კრუიფს თავისი საფიქრალი ჰქონდა. „სამპდორია“ კონტრშეტევებზე ითამაშებს და განსაკუთრებით სახიფათო მათი ჩინებული ფორვარდი ვიალი იქნება. თუმცა, ტურნირში არც ერთი მატჩი არ წაგვიგია და ვფიქრობ, „სამპდორიასაც“ გავუმკლავდებით. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ არც „მილანია“ და არც „ინტერი“.

იტალიური კლუბისთვის ეს ევროთასის პირველი ფინალი იყო: „ბარსას“ თასთა თასი უკვე ორჯერ ჰქონდა მოგებული და წარმატების შემთხვევაში სარეკორდო მესამე თასსაც წაიღებდა კატალონიაში.

უკვე მე-4 წუთზე ლინეკერის დაწყებული კომბინაცია სალინასმა გოლით დაასრულა.

მეოთხე გოლი კი შეტევაზე შესულებმა შექმნეს. სოლერმა გრძელი გარღვევა განახორციელა. ლოპეს რეკარტეს დაუგორა და ამასაც მეკარე პალიუკას მოტყუება და გატანა აღარ გასჭირვებია.

იტალიელი ჟურნალისტების აზრით, „ბარსელონამ“ აშკარად ავჯობა მოწინააღმდეგეს და ღირსეულად გაიმარჯვა. გარი ლინეკერი, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე, ცოტა უჩვეულო სამუშაოს, უკან დახეული ფორვარდის ფუნქციას ასრულებდა, თანაც მას წუთით არ მოშორებია ფაუსტო პარი. სამაგიეროდ, ლიდერის ფუნქცია რობერტო ფერნანდეს ბონილიომ იკისრა. ის საუკეთესო იყო მინდორზე.

რაც შეეხება ვიალის, გამიზეზებულმა ტრავმამ მას მთელი ძალით თამაშის საშუალება არ მისცა, თუმცა რამდენჯერმე მეტად სახიფათოდ შეუტია სუბისარეტას კარს.

სხვათა შორის, იმ წელს ჩემპიონთა თასი „მილანმა“ მოიპოვა, უეფასი — „ნაპოლიმ“. სრული იტალიური ტრიუმფის მოლოდინი მხოლოდ „სამპდორიამ“ ვერ გაამართლა, მაგრამ მომდევნო წელს იტალიელებმა მაინც მოიგეს სამივე თასი და მათ შორის „სამპდორიაც“ იყო. 1990 წლის თასთა თასის ფინალში გენუელებმა ბელგიურ „ანდერლეხტს“ სძლიეს.

„ბარსამ“ მესამედ მოიგო თასების თასი და ამ მაჩვენებლით ტურნირის საუკეთესო გუნდი გახდა. იოჰან კრუიფისთვის კი ეს მეორე თასების თასი გახლდათ ბოლო ორ წელიწადში. 1987-ში ეს პრიზი მან „აიაქსს“ მოაგებინა.

სარგებლის არქივიდან

ბარსა ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან დგანან: სუბისარეტა, სალინასი, ლინეკერი, რობერტო, ალოიზიო, ეუსებიო, ალესანკო; სხედან: ადმინისტრატორი კარბელა, ამორი, ურბანო, ბეგირისტაინი, მილია, მასაჟისტი მური

წინასწარი წრე ბეკეშჩაბა (უნგრეთი) — ბრიუნე (ნორვეგია) 3:0, 1:2

პირველი წრე

ფლორიანა (მალტა) — **დანდი იუნაიტედი** (შოტლანდია) 0:0, 0:1; გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია) — **აინტრახტი** (ფრანკფურტი, გფრ) 0:0 (ბაზელი), 0:1; ომონია (კვიპროსი) — **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 0:1, 0:2; ნორჩიოპინგი (შვედეთი) — **სამპდორია** (გენუა, იტალია) 2:1, 0:2 (ტრენინ); ბორაცი (ოუფოსლავია) — **მეტალისტი** (ხარკოვი, სსრკ) 2:0, 0:4; დერი სიტი (ირლანდია) — **ჯარდიფ სიტი** (უელსი) 0:0, 0:4; ფლამურტარი (ალბანეთი) — **ლუსი** (პოლონეთი) 2:3, 0:1; ფრამი (ისლანდია) — **ბარსელონა** (ესპანეთი) 0:2, 0:5; გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — **ორჰუსი** (დანია) 1:4, 1:3; **ჯარლ ცაისი** (გდრ) — **კრემსი** (ავსტრია) 5:0, 0:1; ინტერი (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — **სრედეცი** (ბულგარეთი) 2:3, 0:5; **მეხელენი** (ბელგიი) — ავენირი (ლუქსემბურგი) 5:0, 3:1; მეცი (საფრანგეთი) — **ანდერლეხტი** (ბელგიი) 1:3, 0:2; **სპარტაკსუფრი** (თურქეთი) — ბეგეშაბა 2:0, 0:1; **როდა** (ჰოლანდია) — გიმარაეში (პორტუგალია) 2:0, 0:1; **დინამო** (ბუქარესტი, რუმინეთი) — კუსუსი (ფინეთი) 3:0, 3:0

მერვედფინალი

კარლ ცაისი — **სამპდორია** 1:1, 1:3; **ბარსელონა** — **ლეხი** 1:1, 1:1 პენ. 5:4; **კარდიფ სიტი** — **ორჰუსი** 1:2, 0:4; **სრედეცი** — **პანათინაიკოსი** 2:0, 1:0; **დანდი იუნაიტედი** — **დინამო** 0:1, 1:1; **აინტრახტი** — **საქარიასფორი** 3:1, 3:0; **მეხელენი** — **ანდერლეხტი** 1:0, 2:0; **როდა** — **მეტალისტი** 1:0, 0:0

მეოთხედფინალი

ორჰუსი — **ბარსელონა** 0:1 (*ლინეკერი*), 0:0
დინამო — **სამპდორია** 1:1 (*ყაიშოვანი; ვიალი*), 0:0
სრედეცი — **როდა** 2:1 (*სტოიჩკოვი, კოსტადინოვი; ბური*), 1:2 (*სტოიჩკოვი; ჰაანი, ვან დერ ლუგრი*) პენ. 4:3
აინტრახტი — **მეხელენი** 0:0, 0:1 (*ვილმოტსი*)

ნახევარფინალი

მეხელენი — **სამპდორია** 2:1 (*ოპანა, დეფეერმა; ვიალი*), 0:3 (*სერეზო, დოსენა, სალსანი*)
ბარსელონა — **სრედეცი** 4:2 (*ლინეკერი, ამორი, ბაკერო, სალინასი; სტოიჩკოვი 2*), 2:1 (*ლინეკერი, ამორი; სტოიჩკოვი*)



ფინალი. ბერნი. 10 მაისი. 47 000 მაყურებელი
ბარსელონა 2:0 სამპდორია
1:0 სალინასი (4), 2:0 ლოპეს რეკარტე (80)

ბარსელონა: სუბისარეტა, ალოიზიო, ალესანკო, მილია (სოლერი 61), ურბანო, ამორი, ლინეკერი, ეუსებიო, სალინასი, რობერტო, ბეგირისტაინი (ლოპეს რეკარტე 74)
სამპდორია: პალიუკა, მანინი (ს. პელეგრინი 27), სალსანო, პარი, ლანა, ლ. პელეგრინი (ბონომი 54), ვიქტორი, სერეზო, ვიალი, მანჩინი, დოსენა
მსაჯი: კურტნი (ინგლისი)

მანქანის 60 წამში გამტაცებლები

ინგლისური ფილმი „ელიზაბეტი“ ცოტა ხნის წინ ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოზე, ოსკარზე იყო წარდგენილი. მკითხველო, თუ შეძლებ, გული ნუ გაგისკდება: „სარბიელს“ პროფილი არ უცვლია — ეს წერილი ფეხბურთელებს ეხება.

ფეხბურთელებს ელიზაბეტ დედოფლის ბიოგრაფიასთან კი ის კავშირი აქვთ, რომ ხსენებულ ფილმში ერთ-ერთ როლს ერიკ კანტონა ასრულებს. გახსენდებათ ასეთი კაცი? თუ არა (კინოს მოყვარულებს ცხადია მისი წარდგენა აღარ სჭირდებათ), შეგახსენებთ, რომ ერიკ კანტონა ახალგაზრდობის წლებში ფრანგი თავდამსხმელი გახლდათ, რომელიც კარგა ხანს ინგლისურ კლუბებში მოღვაწეობდა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ სულაც ლეგენდარულობას შეეთამაშა.

ფილმში „ელიზაბეტი“ კანტონა თავს ისე გრძნობს, როგორც „ოლდ ტრეფორდზე“ და თუკი ფეხბურთელობისას მეტოქეთა კარებს ანგრევდა, მსახიობობისას, „სარბიელის“ მესვეტეს შინაურული თქმისა არ იყოს, კადრების ნგრევაზეა გადასული.

ნიკოლას კეიჯი

მოკლედ, აუცილებლად ნახეთ „ელიზაბეტი“, იკითხეთ სვეტი სარბიელში და... უეჭველად, ყოველ მიზეზს გარეშე ჩაუჯექით ამერიკულ განგსტერულ ტრილერს „GONE IN 60 SECONDS“, რომელიც მართალია მსოფლიო ეკრანებზე გაისად გამოვა, მაგრამ ქართულმა ტელეარხებმა შეიძლება გადაღებამდეც აჩვენონ, ასე, რომ ყურადღებით!

ყურადღებით, რადგან ამ ტრილერში, ქართულად, ალბათ 60 წამში გატაცებულს რომ ნიშნავს (თუმცა სანამ სახელწოდებას რუსები რა გადათარგმნიან ქართველები, როგორც წესი და რიგია, ვერაფერს ვიტყვით), ვინი ჯოუნზი თამაშობს.

ვინი ჯოუნზი

ვისაც ვინი ჯოუნზის ვინაობაც არ ახსოვს, მიხეილ ყაველაშვილს ჰკითხოს და ის გაახსენებს, რომ საუბარია ფეხბურთელზე, რომელმაც 1995 წელს, უელსისა და საქართველოს ნაკრებთა შეხვედრაში მას წიხლი ჩაარტყა, რისთვისაც მოედნიდან გაძევეს. სწორედ ეს ვინი ჯოუნზი მივიდა მარტში თავისი ბოლო კლუბის, ლონდონური „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ოფისში, ხელი ბოლო უწყისზე მოუწერა და...

„სიხარულით ცას ვეწიე. ორშაბათს დამირეკეს ჩამოდი, კინოში უნდა გადაგიღოთო, სამშაბათს იქ ვიყავი, ოთხშაბათს კი კონტრაქტი დავდე. არც მივაჭრია“ — ამბობს პრემიერლიგაში ყველაზე ხშირი გაფრთხილება-გაძევებით ცნობილი, ბედნიერი მცველი, რომელიც ჰოლივუდის 104 მილიონ დოლარიან ფილმში დიდი „მიმწოლი“ კრისის როლს ასრულებს და ამ საქმეში 640 ათასს იღებს.

ახლა, ვინი და მისი მეუღლე ტინა ექვსი თვით ლოს ანჯელესში დასახლდებიან, პროდიუსერი ჯერი ბრუკჰეიმერი კი საქმეს შეუდგება, რათა მერე ჩვენ ვნახოთ, როგორ იტაცებენ პროფესიონალი ქურდები მანქანებს სულ რაღაც 60 წამში.

ჯოუნზის გმირი იდუმალი წარსულის მქონე განგსტერი სფინქსია და რამე. ვინიმ გაზეთ „მირორს“ უთხრა, ბოლოს მოზრდილი ტექსტიც კი მაქვს სათქმელიო.

ვინის გარდა ფილმში ნიკოლას კეიჯიც თამაშობს. ის ბანდის უფროსია.

ცნობისათვის, პროდიუსერი ჯერი ბრუკჰეიმერი ის კაცი გახლავთ, TOP GUN (რუსებმა გვითარგმნეს, როგორც „ასი“. აი, ტომ კრუზი რომ თამაშობს) რომ გადაიღო. „60 წამში გამტაცებლები,`ეგრეთწოდებული რიმექია. ასეთი ფილმი 1974 წელს უკვე არსებობდა.

მიხეილ სურგულაძე

ფერგიუსონი არ მიდის

ჩემპიონთა თასის ფინალისტმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ განაცხადა, რომ მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი, თანახმაა კლუბთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს, რაც იმას ნიშნავს, რომ შოტლანდიელის დიდი მანჩესტერული ეპოქა 2002 წლამდე გაგრძელდება.

„კმაყოფილი ვარ, რომ ყველაფერი მოგვარდა და 60 წლამდე სამსახურის საქმე გარკვეული მაქვს“ — განაცხადა ფერგიუსონმა — „მე გამარჯვების წყურვილი არ გამნელებია და არც გამინელდება. ასე, რომ ქომაგებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, უახლოესი სამი წელიწადი ისეთივე ელით, როგორიც გასული 13 ჰქონდათ“.

ფერგიუსონისა და „იუნაიტედის“ ახალი ხელშეკრულება 1 ივნისს ამოქმედდება. მოგეხსენებათ სულ ცოტა ხნის წინ კლუბს ტელეკომპანია BSKYB-სთან შერწყმა ჩაშალა, დიდი შემოსავალი დაკარგა და ამიტომაც საგანგებო ინტერესს მწვრთნელის ახალი კონტრაქტის ფინანსური მხარე იწვევდა, მაგრამ მასზე არაფერი თქმულა. ერთადერთი, რაც ქარაგმად გამჟღავნდა ეს იყო: ხელშეკრულებაში ფერგიუსონის დამსახურება სრულიადაა გათვალისწინებულიო, ჭორად კი წელიწადში 2,42 მილიონი დოლარი ითქვა.

შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონი „იუნაიტედში“ 1986 წლის ნოემბერში, შოტლანდიური „აბერდინიდან“ მივიდა და სამჯერ მოაპოვებინა გუნდს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ამდენჯერვე ფეხბურთის ასოციაციის თასი, ერთხელ ლიგის თასი და ერთხელაც ევროპის თასების თასი.

ალექს ფერგიუსონი

„მანჩესტერში“ ფერგიუსონს ყოველმხრივი ხელშეწყობა აქვს.

„თუ ამ ზაფხულს ალექსს ახალი ფეხბურთელების შეძენა მოუნდება, რამდენსაც ისურვებს, იმდენ ფულს მიიღებს“ — ამბობს კლუბის თავმჯდომარე მარტინ ედუარდსი.

რამდენადაც ცნობილია ამ თვის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედს“ დიდი მეკარე, პიტერ შმაიხელი ტოვებს და ამიტომ, სავარაუდოა, რომ ფერგიუსონის ძირითადი საზრუნავი გოლკიპერის შეძენა იქნება.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.
XXX ტური

5.05	ჰერტა — ვოლფსბურგი	1,5	3,3	6,0
	ნიურნბერგი — ლევერკუზენი	2,4	3,0	2,5
	შალკე — დორტმუნდი	3,2	2,9	2,1
	ბოხუმი — დუისბურგი	1,9	3,0	3,5
	მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი	2,0	2,9	3,4

საფრანგეთის ჩემპიონატი.
XXXII ტური

5.05	ნანტი — რენი	2,1	3,0	3,1
	მონაკო — სტრასბური	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ნანსი — ლორიანი	1,7	3,0	4,7
	ოსერი — ლე ავრი	1,8	2,9	4,2
	ლიონი — ბასტია	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	სოშო — ტულუზი	1,8	2,9	4,2

ბელგიის ჩემპიონატი.
XXXII ტური

5.05	ლოკერენი — ოსტენდე	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ჰარელბეკი — სტანდარდი	3,4	2,9	2,0
	ანდერლეხტი — გენტი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ლომელი — გენკი	5,0	3,2	1,6
	ეკერენი — შარლერუა	1,7	3,3	4,0
	ბრიუგე — ბევერენი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	ვესტერლო — მუსკრონი	4,4	3,1	1,7
	ლიერსი — აალსტი	1,5	3,5	5,3

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.

5.05	ჩელსი — ლიდსი	1,7	3,0	4,7
	ლესტერი — დერბი	2,0	2,8	3,5
	ლივერპული — მანჩესტერი	4,0	3,0	1,8
	ტოტენჰემი — არსენალი	4,0	3,0	1,8

რუსეთის ჩემპიონატი

5.05	როსტსელმაში — ჩერნომორეცი	1,6	3,0	5,6
	სპარტაკი — სატურნი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

შვედეთის თასის ნახევარფინალი

5.05	მალმიო — გიოტებორგი	2,6	2,9	2,4

იტალიის თასის ფინალი.
მეორე მატჩი

5.05	ფიორენტინა — პარმა	2,0	2,8	3,5

თურქეთის თასის ფინალი.
მეორე მატჩი

5.05	ბეშიქთაში — გალათასარაი	2,5	2,9	2,5

პორტუგალიის თასის ნახევარფინალი

5.05	ესპოსენდე — კამპომაიორენსე	3,6	2,9	1,9
	ბეირა მარი — სეტუბალი	2,3	2,9	2,8

ავსტრიის თასი

5.05	რაპიდი — ლინცერი	1,3	4,0	7,5

შვეიცარიის თასის მეოთხედფინალი

5.05	დელემონტი — ლოზანა	4,0	3,0	1,8
	ლუცერნი — გრასჰოპერი	4,0	3,0	1,8
	რედ სტარი — ლუგანო	4,0	3,0	1,8
	სიონი — სერვეტი	4,0	3,0	1,8

ამხანაგური მატჩი

5.05	ესპანეთი — ხორვატია	1,7	2,9	5,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი 30 ტური

საუკეთესო მოთამაშე

რეზო ჩხეიძე
•სტუ•



ფოტო დოლორეზა ავალიანისა

ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე, ისრაელიდან დაბრუნებული რეზო ჩხეიძის სახით, კარგი შევსება მიიღო სტუ-მ. მესამე წრეში ამ გუნდის 109:87 დამმარცხებელი თსუ ამჯერადაც ახლოს იყო გამარჯვებასთან, პირველი ტაიმი 53:48 მოიგო მაგრამ ოსტატური თამაშით თსუ-ს ოცნებებს ცივი წყალი გადაასხა რეზო ჩხეიძემ.

იგი დაცვაში და თავდასხმაშიც საუკეთესო იყო. „ჩხიროს“ მეურვეობის გამო, მეორე ტაიმში თსუ-ს ლიდერ ლევან ქარაბაკს პრობლემები შეექმნა, ხოლო თავად ჩხეიძე 33 ქულით ტურის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო.

— სტუ-ს პირველ ტაიმში დამარცხებას რით ახსნით?

— ძალზე ცუდად ვითამაშეთ დაცვაში. მეტოქე ზონას გვეთამაშებოდა და საკმაოდ გონივრულად.

— შესვენების შემდეგ რა კორექტივები შეიტანეთ თამაშში და სტუ-ს წარმატება ძირითადად რამ განაპირობა?

— საბედნიეროდ, ზონური დაცვა გავარღვიეთ. დაცვაში მეტი ყურადღება გამოვიჩინეთ და თავდასხმაშიც რამდენჯერმე ადვილი ბურთი ჩავაგდეთ. მთლიანობაში დავჯაბნეთ მეტოქე და მესამე წრეში დამარცხებისთვის დამსახურებული რევანში ავიღეთ.

— პირველ ტაიმში თსუ-ს წარმატება გუნდის ლიდერის ლევან ქარაბაკის ოსტატურმა თამაშმა განაპირობა. მეორეში კი მას თქვენ მეურვეობდით...

— ფაქტი იყო, რომ თუ ქარაბაკს ნაწილობრივ მაინც დავიჭერდი, თამაშის მოგება აღარ უნდა გაგვძნელებოდა. ლევანი ჩემი უახლოესი მეგობარია. მინდა სიხარულითა და სიამოვნებით აღვნიშნო, რომ მუხლის ორი ურთულესი ოპერაციის შემდეგ იგი თანდათან შედის ფორმაში.

— სტუ ძირითადად ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდია, რომელსაც არ ჰყავს ისეთი კალათბურთელი, რომელიც კრიტიკულ მომენტში ლიდერის ფუნქციებს იტვირთებს. ამჯერად თქვენ ლიდერობას თავი კარგად გაართვით. „ჩხიროს“ მომავალშიც სტუ-ს ლიდერად ვიხილავთ?

— ისრაელში ძალიან კარგი სეზონი მქონდა და ბოსმანის კანონით მოთამაშე კალათბურთელთა შორის მეორე ლიგის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს. სტუ-შიც ვეცდები, რომ კარგად ვითამაშო. რვა დღეა, გუნდში ვიმყოფები და კალათბურთელებთან შეთამაშება არ გამჭირვებია, რადგან ბევრი მათგანი ჩემი ყოფილი თანაგუნდელი და მეგობარია.

— „დინამოში“ მაისურაძის ულიცენზიოდ დაბრუნების შემდეგ არა მგონია, თქვენ ლიცენზიის გარეშე აეყვანეთ სტუ-ს.

— ისრაელის მეორე ლიგაში მოასპარეზე „ჰაპოელ ცვატისთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა მიმდინარე წლის 4 აპრილს. ჩემი ყოფილი გუნდიდან განთავისუფლების ფურცელი ამჟამად კალათბურთის ფედერაციაში დევს. ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე, კონტრაქტიც მეოთხე წრის დაწყებამდე დავდე სტუ-თან.

— თუ ისრაელში ლიგის საუკეთესო კალათბურთელად დაგალახელეს, ასე იოლად შეგლივნენ?

— ვინ თქვა, რომ შემელივნენ. ჩემით დაინტერესებულია ისრაელის პირველ და მეორე ლიგაში მოასპარეზე რამდენიმე გუნდი. ჩემი აგენტი საზაფხულო არდადეგების დროს განიხილავს გუნდების წინადადებებს და მათ შორის საუკეთესოსთან დავიწყებ მოლაპარაკებას.

— „ჰაპოელ ცვატიში“ დარჩენა არ შემოგთავაზეს?

— როგორ არა, მაგრამ კონტრაქტი დამთავრებული მაქვს და თუ უკეთესი პირობები შემომთავაზეს, იქვე ვითამაშებ.

— თუ ადრე მხოლოდ დაცვაში თამაშით იყავით დაკავებული, ამჯერად თავდასხმაშიც თამაშობთ და საკმაოდ შედეგიანადაც. მიზეზს ვერ გვეტყვით?

— ისრაელში მოთამაშისგან პირველ რიგში შედეგიანობას ითხოვენ. ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაცვაში ცუდად ითამაშო. შედეგიანობაც პროცენტებში განისაზღვრება. 10-დან თუ 6-ზე ნაკლები ჩაგდე, უარყოფითი შედეგია.

— როგორი შედეგი გქონდათ ისრაელში?

— თითოეულ შეხვედრაში საშუალოდ 20-21 ქულა, დაახლოებით 30 შესაძლებელიდან.

— მეორე სეზონია, როგორც ექს-ლეგიონერი, თამაშს იწყებთ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში და სწორედ იმ გუნდში, რომელსაც თამაზ ოქრუაშვილი წვრთნის. შარშან ეს იყო სდასუ, წელს — სტუ. ბატონი თამაზი არის თქვენს მიმართ სიმპათიურად განწყობილი თუ თქვენ — მის მიმართ?

— საქართველოში ყველა მწვრთნელთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ბატონი თამაზი კი მათგან იმით გამოირჩევა, რომ ბავშვობაში კალათბურთს მან მაზიარა. წლეულს, ეროვნული ნაკრების თბილისში იტალიელებთან მატჩის დროს, ბატონი თამაზი დამიკავშირდა და მთხოვა, რომ თუ საქართველოში თამაშს გადავწყვეტდი, მასთან მეთამაშა. ასე რომ, ჩვენ დიდი ხნით ადრე ვიყავით შეთანხმებულები.

— დღემდე განვლილი საკალათბურთო კარიერის შესახებ რას გვეტყვით?

— მართალია, 1973 წელს ვარ დაბადებული, მაგრამ „მართვეს“ პირველი თაობის, 1969-70 წელს დაბადებულ კალათბურთელებთან დავიწყე ვარჯიში. 1988 წლიდან ჩავირიცხე „დინამოში“ და გამოვდიოდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ სახელით გავხდი საქართველოს ჩემპიონი. შემდეგ გამოვდიოდი „კაქტუსში“ და „ვითაში“. გასულ წელს კი, პლეი ოფში ვეხმარებოდი სდასუ-ს. უცხოური გუნდებიდან ჯერჯერობით ნათამაშები მაქვს მარტო „ჰაპოელ ცვატიში“.

— თქვენს საუკეთესო მატჩს თუ გაიხსენებთ?

— ბოსნიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ მატჩი თბილისში, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა.

როლანდ ლაგუჩიძე

საქართველოს ჩემპიონატი 27 ტური

ანონსი

5 მაისი. ეკრის ბაღი. 14 საათი

სტუ — დინამო

ეს შეხვედრა ქართველი კადეტების საკვიპროსო მზადება-ვოიაჟმა შეიწირა. მაშინ სხვა მატჩებიც გადაიდო, თუმცა, სტუ — „დინამოს“ დაპირისპირებისგან განსხვავებით, დანარჩენი თამაშების გამართვის თარიღები ფედერაციას ჯერ არ დაუსახელებია.

მატჩის პრინციპულობაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი ამ გუნდების წინა პაექრობები გავიხსენოთ. პირველ წრეში სტუ-მ იძალა, მეორეში კი „დინამომ“ ღირსეული რევანში აიღო და ურთიერთშეხვედრებში წონასწორობაც აღადგინა 1:1. შესაძლოა, ყოველივეზე ყურადღებაც არ გაგვემახვილებინა, რომ არა ერთი გარემოება. საქმე ისაა, რომ მაშინ „დინამოში“ ულიცენზიო ირაკლი მაისურაძემ ითამაშა. სტუ-ს თავკაცობამაც ფედერაციაში იჩივლა, აქაოდა მაისურაძის თამაში არ ერგებოდაო და შედეგის გაუქმება მოითხოვა. ფედერაციამ „სარბიელს“ არაერთხელ დაუდასტურა, რომ სიმართლე სტუდენტობის მხარეს იყო, თუმცა აღმასკომს მტყუან-მართალი დღემდე ვერ გაურკვევია. და ისიც ფაქტია, რომ გათამაშების ცხრილი კვლავაც ისე გამოიყურება, როგორც დინამოელებს სურთ.

დღეს ასეა: „დინამო“ მხოლოდ ქულით უსწრებს სტუ-ს, თუმცა ამ უკანასკნელს თამაშით ნაკლები აქვს გამართული და ორივეს წაგების შემთხვევაშიც კი პოტენციურ მესამეადგილოსნად ითვლება. და თუ სტუდენტებმა დღეს იმარჯვეს, ფაქტობრივად, გაინაღდებენ კიდეც პლეი ოფის საგზურს. მაშ, „დინამო“?... მას მხოლოდ მოგება სჭირდება და მეტი არაფერი.

გიორგი გიკაშვილი

კადეტებს ფინალური გაჭრიბი

ევროპის კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული 12 გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა. საქართველოს ნაკრები, რომელმაც ფინალში თამაშის უფლება ახლახან კვიპროსში მოიპოვა, B ჯგუფში მოხვდა. ტურნირი 15 ივლისს იწყება და ამ დღეს ჩვენები რუსეთს შეხვდებიან. დანარჩენ მატჩთა გრაფიკი ასეთია: იუგოსლავია (16 ივლისს), თურქეთი (17 ივლისს), საბერძნეთი (19 ივლისი) და სლოვენია (20 ივლისი).

A ჯგუფში მოხვდნენ: ხორვატია, საფრანგეთი, მაკედონია, ლატვია, პოლონეთი და ესპანეთი. შეგახსენებთ, რომ ტურნირი სლოვენიაში გაიმართება. თითოეული ჯგუფიდან ოთხოთხი გუნდი გადის მეოთხედფინალში, საიდანაც ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

რეგულარული ჩემპიონატი

NBA მშვიდობით, პლეი ოფო!

3 მაისი

დენვერი 104:112 საკრამენტო

დენვერი: ვან ექსელი (20), ბილაფსი (26), სტისი (5), მაკდაიესი (18), ფორტსონი (21 ქულა, 18 მოხსნა); ვაშინგტონი (6), ერერა (4), ვილიამსი (3), ტეილორი (3), ალექსანდერი

საკრამენტო: ვილიამსი (11 ქულა, 9 პასი), აბდულ-ვაჰადი (4), ვილიამსონი (10), პოლარდი (16 ქულა, 10 მოხსნა), დივაცი (25 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება); სტოიაკოვიჩი (17), ფანდერბრუკი (13), მაქსველი (10), ბერი (6)

„საკრამენტო კინგზის“ ლიდერმა და ლიგის უმძლავრესმა მომხსნელმა, კრის ვებერმა რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა ზურგის ტრავმის გამო. ორიოდე დღის წინ გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფინიქსთან შეხვედრაში (ის მატჩი საკრამენტომ 111:110 მოიგო) ისევ გაიმიზეზა და ნატკენმა ბეჭმა დენვერთან მნიშვნელოვანი მატჩი გამოატოვებინა. ლიდერის არყოფნას კალიფორნიელებისთვის ხელი არ შეუშლია. ლიდერის მისია ჩაგრული იუგოსლავიის სამაყო შვილმა ვლადე დივაცმა ითავა და მშვენივრად წარეტვა საქმეს. არანაკლებ კარგი იყო ასევე იუგოსლავიელი პრედრაგ სტოიაკოვიჩიც, რომელმაც თავისი მონაგარი 17 ქულიდან ათი მეორე მეოთხედში ჩაუგდო კოლორადოელებს და ეს თორმეტწუთეული 32:23 მოაგებინა თავისიანებს. საკრამენტო პირველი ნახევრის შემდეგ 14 ქულით დაწინაურდა, რამაც მატჩის ბედიც გადაწყვიტა და ამ მოგებით საკრამენტომ პლეი ოფში ამოყო თავი, თან მინესოტასაც გადაუსწრო — დასავლეთში მეშვიდე ადგილზე მოკალათდა. საკრამენტომ პლეი ოფში მოხვედრით იქიდან სიეტლი გამოაპანღურა. ასე რომ, რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ ჩვენებური სტეფანიას სიეტლის მაგივრად ბრძოლას იუგოსლავიელთა საკრამენტო გაგრძელებს. „ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელით. ბიჭებს თავიდანვე პლეი ოფში მოხვედრა დავუსახე მიზნად“ — თქვა საკრამენტოს მწვრთნელმა რიკ ადელმანმა. იგი ამ სეზონის დაწყებამდე მოვიდა კლუბში და სუსტი გუნდი ფეხზე წამოაყენა. მწვრთნელი ვარო, მან უნდა თქვას, რასაც ნამდვილად ვერ დაიკვეხნის „სიეტლ სუპერსონიქსის“ თავკაცი პოლ ვესტფოლი. მან დასავლეთის ერთ-ერთი გრანდი პირიქით დაბლა დასცა და იმდენჯნა, პლეი ოფს აიცილა, პირველად 1990 წლის შემდეგ. აი, საკრამენტო კი თავისი ისტორიის მანძილზე (უფრო სწორად 1985 წლიდან, როცა „კინგზმა“ ბინა ამ ქალაქში დაიდო) სულ მეორედ მოხვდა დასავლეთის რვა უძლიერესს შორის. პირველად ეს იყო 1996 წელს და მაშინ ბოლო მერვე ნომრად განთესილი „კინგზი“ ბედის ირონიით პირველმა ნომერმა „სიეტლ სუპერსონიქსმა“ გამოაგდო პირველივე წრიდან. ასე თუ ისე, საკრამენტო პლეი ოფშია და სრულიად სამართლიანადაც.

ლეიკერსი 115: 102 დალასი

ლეიკერსი: ონილი (26 ქულა, 11 მოხსნა), რაისი (22), ბრაიანტი (17 ქულა, 10 პასი)

დალასი: ფინლი (24)

დალასი უგებდა კიდეც ბობოლა ლეიკერსს მას შემდეგ, რაც სტუმართა ლიდერმა მაიკლ ფინლიმ პირველი ნახევრის დამთავრებამდე 26 წამით ადრე ჩაუტანა მასპინძლებს და 57:55 გახადა დალასის სასარგებლოდ. მაგრამ ლეიკერსს სჩვევია, მესამე მეოთხედი ყველაზე უკეთ ჩაატაროს მატჩში და ახლაც ასე იყო. ლოსანჯელესელებმა ეს თორმეტწუთეული 30:15 მოიგეს და გამარჯვებულის ვინაობაც გაარკვიეს. ლეიკერსი ამჟამად დიდ გაწამაწიაშია. შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის გუნდი დასავლეთში პლეი ოფის პირველ წრეში ჰიუსტონს ხვდება და ახლა იმისთვის იბრძვის, რეგულარული ჩემპიონატი მასზე უკეთესი შედეგით დასრულოს, რაც ლეიკერსს ტეხასელებთან მოედნის უპირატესობას მისცემს.

ვანკუვერი 83:91 გოლდენ სტეიტი

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (20)

გოლდენ სტეიტი: კამინგსი (18), მარშალი (18)

„ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ იმდენად ცუდად დაიწყო სეზონი, რომ ცოტას თუ ეგონა, ეს გუნდი მთელ ლიგაში ადგილს ვინმეს დაუთმობდა, მაგრამ უსახურმა კლიპერსმა რამდენიმე პატარა სასწაული ჩაიდინა — ერთიორ გრანდს მწარედ გაჰკრა კბილი და ბოლოს ვანკუვერის ძლევით ამ გუნდს დაუთმო თავისი ბოლო ადგილი ლიგაში. ბუნებრივია, ვანკუვერს ეს არ ხიბლავს და გამწარებით იბრძვის ოდნავ ზემოთ ასანაცვლებლად. აბა, ნებით ვინ რას დაუთმობს და თავად კი ვერავინ დაჯაბნა. ამ მატჩშიც ძალიან მოინდომა, ბოლო მეოთხედამდე 61:60 იგებდა, მაგრამ ერთ დროს პლეი ოფისთვის მებრძოლმა გოლდენ სტეიტმა ბოლო მეოთხედში თავისი ადგილი მიუჩინა.

ნიუ იორკი 95:88 ბოსტონი

ნიუ იორკი: იუინგი (27 ქულა, 19 მოხსნა), ჰიუსტონი (21)

ბოსტონი: მერსერი (18), პირსი (18)

3 აპრილს დასავლეთის დარად აღმოსავლეთშიც გაირკვა პლეი ოფის ბოლო, მერვე ადგილის მფლობელი. ნიუ იორკმა აჯობა სეზონის მეორე ნახევარში მომძლავრებულ შარლოტს და ბოლო სამ წელიწადში პირველად დატოვა პლეი ოფის მიღმა. ამ მატჩში მასპინძლებმა საკმაოდ იოლად სძლიეს მქუხარე წარსულის მქონე ბოსტონს, რომელსაც ძველი დიდებიდან მხოლოდ სახელიღა შემორჩენია. „ბოსტონ სელტიქსი“ ყველა დანარჩენ გუნდებზე მეტჯერ, 16-ჯერ გამხდარა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი. 60-იან წლებში იშვიათად თუ მოიძებნებოდა მისი მძლეველი, ახლა კი ბოსტონი მხოლოდ ახალგაზრდულ და პერსპექტიულ გუნდად ითვლება.

ჩიკაგო 71:115 დეტროიტი

ჩიკაგო: ჰარპერი (17)

ჩიკაგომ წაგო და ამ მარცხით ოფიციალურად გაფორმდა, რომ წინა სამი სეზონის უცვლელი ჩემპიონი „ბულზი“ აღმოსავლეთის უსუსტესი გუნდია. თანაც როგორ წაგო, მთელი 44 ქულით. ამ დაწყევლილ სეზონში ასეთი რამ ხშირად ემართებათ დაბეჩავებულ ჩემპიონებს. ერთხელ მაიამისთან შეხვედრაში სულაც 49 ქულა გააკეთეს და ლიგის ისტორიული ანტირეკორდიც დაამყარეს.

ვაშინგტონი 113:102 ნიუ ჯერსი

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (24 ქულა, 13 პასი), რიჩმონდი (24), ტორპი (22 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: მარბერი (37 ქულა, 10 პასი)

წინა სეზონში ნიუ ჯერსიმ 82 შეხვედრიდან 43 მოიგო და პლეი ოფშიც გავიდა, ვაშინგტონმა 42 თამაშში იმარჯვა და პლეი ოფამდე ერთი მოგება დააკლდა. ამჯერად არც ერთს და არც მეორეს იქ მოხვედრის ფიქრი არ „აწუხებს“ და ამიტომაც ლაღი ბურთაობა გააჩაღეს. საბოლოოდ კი დედაქალაქურმა გუნდმა იმარჯვა.

ირაკლი ფირაზვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
მაიამი*	32	16	66,7
ორლანდო*	32	17	65,3
ფილადელფია*	27	21	56,3
ნიუ იორკი*	26	23	53,1
ბოსტონი	19	30	38,8
ვაშინგტონი	18	31	36,7
ნიუ ჯერსი	15	34	30,6
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა*	32	17	65,3
ატლანტა*	30	18	62,5
დეტროიტი*	29	20	59,2
მილუოკი*	27	21	56,3
შარლოტი	24	24	50,0
ტორონტო	22	26	45,8
კლივლენდი	22	26	45,8
ჩიკაგო	13	36	26,5

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა*	36	13	73,5
სან ანტონიო*	35	13	72,9
ჰიუსტონი*	29	19	60,4
მინესოტა*	25	23	52,1
დალასი	19	30	38,8
დენვერი	14	35	28,6
ვანკუვერი	8	41	16,3
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი*	35	13	72,9
ლეიკერსი*	30	19	61,2
ფინიქსი*	26	23	53,1
საკრამენტო	26	23	53,1
სიეტლი	23	25	47,9
გოლდენ სტეიტი	21	28	47,9
კლიპერსი	9	39	18,8

* — *გავიდნენ პლეი ოფში*

აპრილის ლაურეატები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოავლინა აპრილის წარჩინებულნი. „თვის მოთამაშედ“ აღიარებულია „ფინიქს სანზის“ გამთამაშებელი ჯეისონ კიდი. „თვის მწვრთნელის“ ტიტულს „სან ანტონიო სფურზის“ დამრიგებელი გრეგ პოპოვიჩი დაეუფლა. „თვის ახალბედა“ კი ზედიზედ მეორედ გახდა „ტორონტო რეპტორზის“ ფრთა ვინს კარტერი.

ზორდელების (შავ მაისურებში) ლოკომოტივთან მარცხმა არავინ შეაცდინოს, ამ გუნდმა თავისი უნდა თქვას

საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ტურის მიმოხილვა

სამს ვწერთ, ერთს ვინახავთ

საქართველოს ჩემპიონატს რაგბიში ალბათ ადამიანურად, გაურკვევლობების გარეშე ჩატარება კიდევ კარგა ხანს არ უწერია. ჯერ იყო და, ათი გუნდიდან, რომლებსაც უძლიერესი უნდა გაერკვიათ, ერთ-ერთმა ჩემპიონატში მონაწილეობა იუარა. „დინამომ“ თავისი გადაწყვეტილება ფინანსურ გაჭირვებას მიაწერა, რაც ისეთი მიზეზია, რომლის არდაჯერებაც ნამდვილად გაუჭირდება ქართულ რაგბიში და საერთოდ სპორტში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ადამიანს. უფულობა ხომ ის სენია, რომელიც ქართულ სპორტს შეჰყრია და ნელ-ნელა, ახრჩობს მას. მშველელი კი არსადაა. არც მთავრობა იბერტყავს ყურს და არც კეთილი, ფულიანი ძიები ჩანან. ერთი სიტყვით, რაიმე თუ არ შეიცვალა... თუმცა არა. რაიმე კი არა, სპორტისადმი დამოკიდებულებაა ძირფესვიანად შესაცვლელი, თორემ...

დავუბრუნდეთ რაგბის და ჩვენს ჩემპიონატს. „დინამოს“ გამოთიშვამ ის გამოიწვია, რომ გათამაშების კალენდარი საკმაოდ აირია. ამ უქმეებზე ჩატარებულმა მეორე ტურმა ასკ-ს გარდა, რომელსაც დასვენება უწევდა, „აია“ და „ყორნებიც“ მოისაკლისა. „აიასა“ და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მატჩი, ქუთაისში ორმაისობის გამო გადაიდო. ისე, ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად იოლი გამოსაცნობი იყო — დღეისათვის „ყორნები“ ქუთათურებზე იმდენად ძლიერები არიან, რომ მოგება ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ, მიუხედავად გასვლაზე თამაშისა.

უფრო მეტი სხვაობა კლასში „დათვებსა“ და „რუსთავს“ შორის იყო. ზღვისპირელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე და პირველ ტურში დამყარებული ანტირეკორდი (0:76) მეორეშივე „გაუმჯობესებინეს“ 0:78 — ასეთი ანგარიშით წააგეს რუსთაველებმა შინ ბათუმელებთან. თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „დათვებს“ ამაზე დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება შიშველი ენთუზიაზმით მობურთალ რუსთაველებთან. აშკარაა, რომ ყოფილი აიელებით გაძლიერებული „დათვები“ წლეულს შარშანდელივით ვიცე-ჩემპიონობით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. მათ ამ საქმეში, „ყორნები“ და „ლოკომოტივი“ 1 თუ შეუშლიან ხელს. ვინ მოიპოვებს ოქროს მედლებს, ამ თემაზე საუბარი ჯერჯერობით ძალიან ნაადრევია. „რუსთავმა“ კი ენთუზიაზმს პასუხისმგებლობა, მეტი თეორიული წვრთნა, მეტი ვარჯიში რომ მიამატოს, იქნებ საკმაო წინააღმდეგობაც გაუწიოს ჩემპიონატის საშუალო გუნდებს.

„ყორნები“, „დათვები“, „ლოკომოტივი“ 1 — აი, ლიდერთა სამეული. ფინალური ოთხეულის უკანასკნელი წევრი შეიძლება ასკ „უნივერსიტეტი“, „აია“, ანაც „ზორდა“ გახდეს. მიუხედავად გუმარყოფილი „ზორდას“ სადებიუტო მარცხისა, მშვენივრად მოთამაშე „ლოკომოტივი“ 1-თან (0:30), ამ გუნდის პოტენციალის გათვალისწინებით მისი ადრეულად ჩამოწერა დიდი შეცდომა იქნებოდა.

რაც შეეხება „უნივერსიტეტს“, ამ კლუბმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელ გურამ მოდებაძის სახით იმხელა შენაძენი მიიღო, რომ სავსებით შესაძლებელია, მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებას. ამ ტურში სტუდენტებს უკვე დაეტყოთ ბურძგლას ხელი და რკინიგზელთა მეორე გუნდს საკმაოდ იოლად სძლიეს.

მესამე ტური მომავალ უქმეებზე გაიმართება.

გაგი გურული

18 + ტონგა და URUGVAI



REUTERS სეულიდან

ტონგელმა ელუატე მანუმ (ბურთით) და მისმა თანაგუნდელებმა კორეელებს მცირედი შანსიც არ დაუტოვეს

მაშ ასე, წლევანდელი მსოფლიოს თასის გათამაშების ოცივე მონაწილე ცნობილია — ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, სამხრეთ აფრიკას, ინგლისს, ირლანდიას, საფრანგეთს, შოტლანდიას, იტალიას, ესპანეთს, რუმინეთს, არგენტინას, აშშ-ს, კანადას, ნამიბიას, ფიჯის, დასავლეთ სამოას, იაპონიას და მასპინძელ უელსს გუშინ მსოფლიოს თასის დაწყებამდე 149 დღით ადრე, კიდევ ორი — URUGVAI და ტონგა შეემატა.

რეპეშაჟის მეორე რაუნდში URUGVAIელები მაროკოელებს ხვდებოდნენ. პირველი მატჩი, რომელიც ორი კვირის წინ მონტევიდეოში გაიმართა, სამხრეთამერიკელთა გამარჯვებით — 18:3 დასრულდა. გუშინდელ საპასუხო შეხვედრაში აფრიკელებს სულ ცოტა, 15 ქულიანი სხვაობით უნდა ემარჯვათ. მატჩი, რომელიც მაროკოს უდიდეს საპორტო ქალაქ კასაბლანკაში გაიმართა, ადგილობრივი დროით საღამოს ექვს საათზე დაიწყო. URUGVAIელებმა მოახერხეს და მეტოქეს იმდენი გაუტანეს, რამდენიც პირველ მატჩში, მასპინძლებმა კი მხოლოდ 21 ქულის მოპოვება შეძლეს. ამ მატჩში დაფიქსირებულმა ანგარიშმა — 21:18 მსოფლიოს თასზე ასპარეზობის უფლება სამხრეთამერიკელებს არგუნა.

უკვე მე-5 წუთზე სტუმრები სკორამ დაწინაურა საჯარიმოთი. საერთოდ URUGVAIელთა თვრამეტივე ქულა ამ მობურთალის ანგარიშზეა. აქედან ექვს წუთში მასპინძელმა აზიზ ჩადი ლელო გაიტანა, ასინ ბელჭეზმაც ზუსტად გარდასახა. ტაიმის ბოლომდე კი მან და სტუმრმა სკორამ ექვს-ექვსი ქულა მოუტანეს თავიანთ გუნდებს და ტაიმიც 13:9 აფრიკელთა სასარგებლოდ დამთავრდა.

შეხვედრის განახლებისთანავე ჯაუად ზიარმა ლელოთი კიდევ უფრო დაწინაურა თავისიანები, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთამდე, ანუ იმ დრომდე, როცა მასპინძლებმა ბოლო სამი ქულა მიითვალეს საჯარიმოთი, სამხრეთამერიკელებმა ცხრა ქულის მოპოვება მოახერხეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ URUGVAIელები მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრილიყვნენ.

ტონგელებს, ქართველთა დამარცხების მერე კორეელთა წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ, თუმცა წინააღმდეგობას ამას პირობითად თუ დავარქმევთ, რადგან პოლინეზიელები შინაც და სტუმრადაც იოლად გაუმკლავდნენ მეტოქეს. ჩანს, კორეელ რაგბის გულშემატკივრებს თავიანთი რჩეული მორაგბეებისა არ ეიმედებოდათ. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ სტადიონზე საყვარელი გუნდის საქომაგოდ მხოლოდ 900 გულშემატკივარი მივიდა. მართლაც, სტუმრები უსასტიკესად გაუსწორდნენ მასპინძლებს — 82:15. ანგარიშის გასახსნელად ტონგელებს სულ ერთი წუთი დასჭირდათ, მრავალფაზიანი შეტევა ფეფიკოუ ტატაფუს ლელოთი დაგვირგვინდა. პირველ ტაიმში აზიელები მცირე წინააღმდეგობას მაინც უწევდნენ მეტოქეს და უ მინ-სუკმა, ლი ჯინ-ვუკმა და ბიკ კვან-სუმ თითო ლელოს გატანა მოახერხეს. ტაიმი კი სტუმრებმა 32:15 მოიგეს. ტატაფუს გარდა ლელოები ნვალუ ტაუმ, ვაა ტოლოკემ და „ბებერმა“ კაპიტანმა ფეაო ვუნიპოლამ გაიტანეს.

მეორე ნახევარში მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი ჩანდა. ტონგელებს რაც მოესურვებოდათ, იმას აკეთებდნენ. პირველ ტაიმში გატანილ ოთხ ლელოს ზღვისრეთელებმა მეორეში შვიდი მიუმატეს — ისი ტაპუელუელუმ ორი, სონატანე კოლიომ სამი, სატეკი ტუიპოლოტუმ და ისი ფანიმ კი თითო-თითო.

ამ თამაშიდან სამ დღეში ტონგელებს კიდევ ერთი მატჩი ელით, ამჯერად იაპონიასთან წყნარი ოკეანის მონაპირეთა ჩემპიონატის ეგიდით, რომლის პირველ ტურშიც იაპონიამ კანადას სძლია — 23:21.

ისევ მსოფლიო თასს დავუბრუნდეთ. ტურნირი 1 ოქტომბერს დაიწყება და 6 ნოემბრამდე გასტანს. გათამაშებაში მონაწილე 20 გუნდი კი ხუთ ჯგუფად დაიყო

A ჯგუფი	B ჯგუფი	C ჯგუფი	D ჯგუფი	E ჯგუფი
ს. აფრიკა	ახ. ზელანდია	საფრანგეთი	უელსი	ავსტრალია
შოტლანდია	ინგლისი	ფიჯი	არგენტინა	ირლანდია
ესპანეთი	იტალია	კანადა	დას. სამოა	აშშ
URUGVAI	ტონგა	ნამიბია	იაპონია	რუმინეთი

ლომუს ლომის წილი

ჰამილტონი. 30 აპრილი

ჰამილტონი — დურბანი 32:19 (22:7)

ჰამილტონი: 4ლ — რენდლი (2), დაგანი, ლითლი 3გ და 2ს — ჯეკსონი

დურბანი: 3ლ — ელკოკი (2), კაისერი 2გ — ბინეიდი, ჰონიბალი

„ჰამილტონმა“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და მართალია, მე-9 ადგილზე იმყოფება, მაგრამ პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. მასპინძელთა გამარჯვებაში ლომის წილი ჯონა ლომუმ დაიდო. ზელანდიელმა მთაკაცმა თავად ვერ მიითვალა ლელო, მაგრამ მეტოქე მცველები გვარიანად დააწიოკა და თანაგუნდელებს სამი ლელოც გაატანინა. ნახევარფინალში გასვლა აფრიკელებსაც ძალუძთ, რომლებიც „ჰამილტონს“ სამი ქულით უსწრებენ.

სიდნეი. 1 მაისი

სიდნეი — ბრისბენი 13:30 (10:9)

სიდნეი: 1ლ — დოულინგი 1გ და 2ს — ედმონდსი

ბრისბენი: 2ლ — მიურეი, სმიტი 1გ და 6ს — სპუნერი

მარცხის მიუხედავად, სიდნეელები კვლავაც ინარჩუნებენ ნახევარფინალში გასვლის შანსს. რაც შეეხებათ ბრისბენელებს, არა გვგონია, დარჩენილ ორ მატჩში პლეი ოფში მოხვედრის მშვენიერი შესაძლებლობა გაუშვან ხელიდან. უახლოეს მდევართან მათ სამქულიანი უპირატესობა აქვთ. ბრისბენელებმა მეტოქეს მეორე ტაიმში ავჯობეს, თორემ პირველი ნახევარი მასპინძლებმა ქულით მოიგეს.

კეიპტაუნი. 1 მაისი

კეიპტაუნი — ოკლენდი 37:23 (24:13)

კეიპტაუნი: 4ლ — ფლეკი, ბუმი, ვან სტრაატენი, პუსსი 4გ და 3ს — ვან სტრაატენი

ოკლენდი: 2ლ — ვიდირი, რობინსონი 2გ და 3ს — კეშმორი

უცნაური გუნდია „ოკლენდი“. გათამაშების საწყის ორ ტურში მარცხის შემდეგ ახალზელანდიელებმა ზედიზედ ოთხ მატჩში იმარჯვეს, ახლა კი ორი თამაშია, აგებენ. ამჯერად „ოკლენდს“ „კეიპტაუნმა“ სძლია. მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას აფრიკელები ფლობდნენ და დამსახურებულადაც მოიგეს. საერთოდ კი კეიპტაუნელი „მოიერიშეები“ დაკარგული ქულების მიხედვით პირველ ადგილზე არიან და დარჩენილ ორ მატჩსაც შინ თამაშობენ. ასე რომ, პირველობის მშვენიერი შანსი აქვთ, რაც უფლებას მისცემთ, ჯერ ნახევარფინალი, მერე კი შესაძლოა ფინალიც საკუთარ სარბიელზე ჩაატარონ.

დანიდინი. 1 მაისი

დანიდინი — კანბერა 9:8 (3:8)

დანიდინი: 3ს — ბრაუნი

კანბერა: 1ლ — ნორიეგა 1ს — მორტლოქი

სტუმრები იმდენად სჯობდნენ მეტოქეს, რომ იმ დღეს წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. ავსტრალიელებს სულ ცოტა სამი ლელო უნდა გაეტანათ, მაგრამ შეტევის დაგვირგვინებისას იმდენჯერ შესცოდეს, მხოლოდ ერთიღა იკმარეს. ბოლო ათ წუთში კი, ანგარიში 9:8 რომ იყო მასპინძელთა სასარგებლოდ, მარტლოქმა ორი საჯარიმო ააცილა, რითაც თავის გუნდს მნიშვნელოვნად შეუმცირა ნახევარფინალში მოხვედრის შანსი.

ნელსონი 2 მაისი

იოჰანესბურგი — კრაისტჩერჩი 38:58 (23:31)

კრაისტჩერჩი: 7ლ — ფიკი, ბერიმანი (2), სოოალო, თორნი, რალფი, მაკდონალდი 7გ და 3ს — მერთენსი

იოჰანესბურგი: 5ლ — შტოლცი (3), ვერმულენი, ერასმუსი. 5გ — ონილი (4), ვესელსი 1ლ — ონილი

ჩემპიონმა მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და პლეი ოფში მოსახვედრად დიდი ნაბიჯი გადადგა. თავის მხრივ, აფრიკელებმა ამ მარცხით პრაქტიკულად დაკარგეს ნახევარფინალში მოხვედრის შესაძლებლობა. პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა იყო, მეორეში კი სტუმრებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე და შვიდი ლელოს გატანისთვის პრემიალური ქულაც დაიმსახურეს.

სატურნირო ვითარება

დანიდინი	10	8	0	2	261:82	2	34
კეიპტაუნი	9	7	2	0	258:217	3	31
ბრისბენი	9	6	1	2	177:145	1	27
კრაისტჩერჩი	9	5	1	3	252:211	2	24
კანბერა	10	4	0	6	256:179	7	23
დურბანი	9	5	1	3	199:164	1	23
სიდნეი	9	4	1	4	217:197	4	22
ოკლენდი	9	4	1	4	167:158	3	21
ჰამილტონი	9	4	0	5	200:254	4	20
იოჰანესბურგი	9	3	0	6	282:303	6	18
ველინგტონი	9	2	1	6	179:200	4	14
პრეტორია	9	0	0	9	151:389	3	3



REUTERS კეიპტაუნიდან

კეიპტაუნელთა კაპიტანმა კორნი კრიგმა (ბურთით) ოკლენდელი სლეიდ მაფარლანდიც ჩამოიშორა

ქალიან ჩვეულებრივი აპრილი

გაზაფხულის მეორე თვე ქართული სპორტისთვის შარშანდელზე ოდნავ უკეთესი და სასურველზე ერთობ უარესი გამოდგა

აპრილი ქართულ სპორტში უპრეცედენტო ფაქტით — საქართველოს სამბისტთა ნაკრების მიერ მშრალი შიმშილობის გამოცხადებით დაიწყო, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აპრილი სულაც არ არის იმაში დამნაშავე, მარტს რომ მოსდევს და საქართველოს პარლამენტმა შარშანდელ ნოემბერ-დეკემბერში დასამტკიცებელი ბიუჯეტი სწორედ მარტში რომ დაამტკიცა. მილიონ 400 ათასით „შეკრეჭილმა“ სპორტის დეპარტამენტის „საპოქმედო“ თანხამ მსგავსი „ნელი მოქმედების ნაღმების“ აფეთქების პერსპექტივა გასულ თვეში თავიდანვე განსაზღვრა. სხვა მხრივ აპრილი-99 ძალიან ჩვეულებრივი გამოდგა, შარშანდელზე ოდნავ უკეთესი და სასურველზე ერთობ უარესი.

1998-ის აპრილი სამი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენით გამოირჩა. ქართველმა ბორჯღალოსნებმა მსოფლიო თასის შესარჩევი ჯგუფის თამაშში აპენინებზე თავი შეაკლეს „სკუადრა ადურას“, მაგრამ მაინც წააგეს. თამაშს ქართულთან ერთად თბილად გამოეხმაურა ევროპული პრესა. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ხვიჩა ბიჩინაშვილმა ვერცხლი მოიპოვა მინსკში ევროპის ჩემპიონატზე. ბატუტისტმა ანა დოღონაძემ კი „შშობლიურ“ გერმანიაში აახენის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. სხვა მხრივ თბილისელები ნაგანოს ოლიმპიადის ავთანდილ გურასაშვილისეული ფოტოგამოფენითა და „ოქტაგონის“ წესების გარეშე ბრძოლებით ტკბებოდნენ.

თბილისში წლევანდელ აპრილსაც მოეწყო მშვენიერი ფოტოგამოფენა, ამჯერად მთამსვლელ გია თორთლაძისა, სამაგიეროდ, აღარ იყო „ოქტაგონი“ და, შარშანდელი აპრილის მსგავსად, აღარც ოქრო მოგვიპოვებია რომელიმე სახეობაში. ამ კეთილშობილი ლითონის ჩამოტანა აპრილში პრაქტიკულად ერთი სახეობის — თავისუფალი სტილით ჭიდაობის მამებს ჰქონდათ დაგეგმილი. არ გამოვიდა. ოქროს მიჩვეული ჩემპიონებისთვის, კურტანიძისა და პოღოსიანისთვის ევროპაში ოქრო გათავდა. მინსკის ევროპის ჩემპიონატზე კურტანიძეს მხოლოდ ბრინჯაო ერგო, პოღოსიანი კი საერთოდ უმედლოდ დარჩა. ბრინჯაო კიდევ ბედნიერშვილმა და თუშიშვილმა მოიპოვეს.

ბოლო წლებში ქართველ მხატვრულად ტანმოვარჯიშეთათვის პირველ ათეულში ადგილი წარმატებად ფასდება. ინგა თავდიშვილი კალამატის საერთაშორისო ტურნირზე მე-8 იყო.

ანკარიდან ხუთი ჩემპიონით დაბრუნდა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრები, მათ კიდევ 12 პრიზიორი ჩამოიყვანეს: 5 მეორე და 7 მესამეადგილოსანი. ეს საერთაშორისო ტურნირი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებისთვის მზადების ეტაპი იყო და, ალბათ, წარმატებულიც უნდა დავარქვათ.

გერმანიაში მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპზე ოცეულის ბოლოში აღმოჩნდა ჩვენი ახალი ხუთჭიდელი დავით ჭულუხაძე. თუ სპეციალისტებს ვერწმუნებით, მას სიდნეის ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების შანსი აქვს. ჰელსინკიში, ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტს უმიზნებდა ვახტანგ მურვანიძე, მაგრამ საბოლოოდ მე-17 იყო. მესტენდურენი, მშვილდოსნები და ძალოსნები კი უფულობის გამო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე საერთოდ ვერ წავიდნენ.

პროფესიულ რინგზე ზედიზედ მეშვიდე ბრძოლა მოიგო ვარიანელმა გიორგი კანდელაკმა, ვინც პატარა ინგლისურ ქალაქ პეტერბოროში მავანი ლასლო პასტერკო გალახა. კანდელაკის გამარჯვების დაკნინებას ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ პროფესიულ რინგზე ჩვენი მოკრივის რეალური დონის დადგენა ამ ბრძოლითაც საძნელო საქმე გვგონია.

გუნდური სახეობებიდან მოულოდნელი იყო საქართველოს 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების ფრე ოპავაში ჩეხთანატოლებთან. იმასთან ერთად, რომ კოპალეიშვილს ბიჭები 1996 წელს ევროპის ახალგაზრდული თამაშების გამარჯვებულები არიან, ამ შედეგის მიღწევაში ლომის წილი გერმანულ შეკრებასაც უძევს. ჩვენები ჩეხებს მეორედ 11 მაისს ბათუმში ეთამაშებიან და მათი ძლევის შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატზე ხვდებიან.

საქართველოს კადეტ კალათბურთელთა წარმატება კვიპროსში აპრილის ყველაზე გამოსარჩევ მოვლენად შეიძლება შეფასდეს. ქართველებმა გერმანელებთან და ფრანგებთან დამარცხების მიუხედავად, აჯობეს ესპანელებს, ბელგიელებს, კვიპროსელებს და ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის მიღმა დარჩა საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრები (მათ ჯგუფში სამივე თამაში წააგეს: ირლანდიასთან, ჩილესთან და იაპონიასთან). მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში „ჩარჩა“ საქართველოს ახალგაზრდა ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები (მათ კრასნოდარის ჯგუფში მხოლოდ ბულგარელებს მოუგეს). ძველებურად ვერც თბილისის „შევარდენის“ ძიუდოისტებმა იჭიდავეს ევროპის საკლუბო ჩემპიონატის პირველ წრეში „ისთანბულთან“, რაშიც თურქული კლუბის ძლიერმა (ქართველებითურთ) შემადგენლობამაც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. ჩვენებმა 1:5 წააგეს.

აპრილში არ გათამაშებულა არც ერთი ოლიმპიური ლიცენზია და, ბუნებრივია, საქართველოს სპორტსმენები კვლავ ორი ოლიმპიური ლიცენზიით შეეგებნენ მაისს. აპრილში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა „ეროვნულზე“ პირველად წააგო დიდი ანგარიშით, რაც, კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელიც იყო. ამ წარუმატებლობების მიუხედავად, სწორედ 1999 წლის აპრილს აქვს შანსი, ქართული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვების შესაძირკვლე გახდეს. სწორედ აპრილში დაიწყო ქართველ მთამსვლელთა ყველაზე დიდი იერიში მსოფლიოს მწვერვალის — ჯომოლუნგმას დასაპყრობად. ქართველები ორ ჯგუფად ორი მხრიდან უტევენ მწვერვალს და ახლა სწორედ მათზეა დამოკიდებული, გახდება თუ არა ძალიან ჩვეულებრივი აპრილი არაჩვეულებრივ თვედ.

სიმონ მენაბდე

რუბენსი მარაქაში ეგამრცხვა

რუბენს ბარიჩელო

ხუთი წელი გავიდა ინტრიგიანი საპირველმაისო უბედურების შემდეგ, როდესაც „იმოლას“ წყეულმა ტრასამ ფორმულა 1-ის ორი პილოტის, ლეგენდარული ბრაზილიელის აირტონ სენასა და ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერის სიცოცხლე შეიწირა. მაშინ, კვალიფიკაციისას, მესამე, არანაკლებ საშინელი ავარიაც მოხდა — რუბენს ბარიჩელოს მართვადაკარგული „ჯორდანი“ 290 კმ სიჩქარით შეასკდა ბეტონის დამცავ ჯებირს და რამდენჯერმე ამოტრიალდა. საბედნიეროდ, ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია და ხანმოკლე შოკითა და არტაშანდადებული მარჯვენით გადარჩენილი მრბოლი იმავე დღეს გამოწერეს საავადმყოფოდან.

ალბათ, ნიშანდობლივია, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ბრაზილიელი მძღოლისთვის სწორედ „იმოლას“ ავტოდრომი გახდა მისი კარიერის უმნიშვნელოვანესი მიღწევის სარბიელი — ხუთი წლის თავზე, გასულ კვირას სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშებისას რუბინიო მეასედ გამოვიდა სტარტზე.

ჩატარებული რბოლების რაოდენობა პილოტთა გამოცდილების საზომია და 100-იანთა კლუბში მოხვედრა მეტად საპატიოცაა და რთულიც. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სულ მცირე 7 წელი უნდა უჯდეს კაცი ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეს. „სამეფო რბოლების“ ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში სტარტზე გასული 510 მძღოლთაგან აქამდე მხოლოდ 42-მა შეძლო ეს. 26 წლის ბარიჩელო ამ პრესტიჟული კლუბის 43-ე და ამასთან, ყველაზე ახალგაზრდა წევრი გახდა.

ყველაზე სტაჟიან მრბოლთა ათეული

(რბოლების რაოდენობა, მოგებული ეტაპები)

1	რიკარდო პატრეზე (იტალია)	256	6
2	გერხარდ ბერგერი (ავსტრია)	210	10
3	ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია)	208	0
4	ნელსონ პიკე (ბრაზილია)	204	23
5	ალენ პროსტი (საფრანგეთი)	199	51
6	მიკელე ალბორეტო (იტალია)	194	5
7	ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი)	187	31
8	გრეჰემ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)	176	14
9	ჟაკ ლეფიტი (საფრანგეთი)	176	6
10	ნიკი ლაუდა (ავსტრია)	171	25

როგორც ხედავთ, პატრეზეს ფანტასტიკურ შედეგს, რომელსაც მან 17-წლიანი, ფათერაკებით აღსავსე კარიერის ბოლოს, 39 წლისამ მიაღწია, ბარიჩელოს უზარმაზარი მანძილი აშორებს. და მაინც, თუ გავითვალისწინებთ ბრაზილიელის ყმაწვილკაცობას, სწორედ მას აქვს ამ ზერეკორდზე იერიშის მიტანის საუკეთესო შანსი, თუმცა საამისოდ, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 10 წელი კიდევ უნდა ატრიალოს საჭე.

სადღეისოდ მოქმედ პილოტთაგან ათეულთან ყველაზე ახლოა 34 წლის ფრანგი ჟან ალეზი — 154 რბოლა (მე-14 შედეგი). ასიანთა კლუბში შედიან აგრეთვე ბრიტანელი ჯონი ჰერბერტი — 132 (21), გერმანელი მიხაელ შუმახერი — 121 (27), ფინელი მიკა ჰაკინენი — 115 (31) და ბრიტანელი დეიმონ ჰილი — 103 (40).

ბარიჩელომ საიუბილეო რბოლა საკადრისადაც აღნიშნა და ფინიშთან მესამე მიიჭრა, რითაც პირველად შედგა ფეხი „იმოლას“ პოდიუმზე.

სან მარინოს დიდი პრიზი ასევე მე-100 იყო პეტერ ზაუბერის გუნდისთვის. ლიდერი კი „ფერარია“ — 606 რბოლა.

რაკი იტალიელთა ეროვნული სიამაყე ვახსენეთ, იმასაც ვიტყვით, რომ შუმახერის ტრიუმფი „იმოლაზე“ „ფერარის“ 121-ე გამარჯვება გახლდათ და მხოლოდ მესამე სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშებაში. „სისხლიფერ ბედაურებს“ ამ მშობლიურ ტრასაზე 1983 წლის მერე მოგება არ ეგემათ.

ირაკლი ნიკოლაძე

აი, ასეთ სასიკვდილო ავტომალაყებს გადაურჩა ხუთი წლის წინ იმოლას ტრასაზე ამჟამინდელი იუბილარი რუბენს ბარიჩელო

შენ რომ ჩვენთვის ლიცენზია არ მოგიტანიაო

ხათუნა ქვრივიშვილი ოლიმპიურ ლიცენზიას უმიზნებს

მშვილდოსანი ხათუნა ქვრივიშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება შეუძლია. ის რამდენიმე წელიწადია, აშშ-ში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს. ცხადია, საუკეთესო პირობებში. ერთხანს ხათუნას ამერიკის ნაკრებისკენ გაურბოდა თვალი, მაგრამ ახლა ყოველგვარ ყოყმანს ბოლო მოელო. გადაწყდა — ქვრივიშვილი ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით გამოვა. მან ვერ მოასწრო იქაური მოქალაქეობის მიღება. თან მას, როგორც ჩასულს, ამრეზით უყურებდნენ აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც და კანდიდატებიც. ამ შუღლის მიზეზი დღესავით ნათელია — ხათუნა სხვებზე ძლიერია და მის კონკურენტებს ადგილის დაკარგვისა ეშინიათ.

მაგრამ ოლიმპიადამდე წლეულს, ივლისში, საფრანგეთში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. ქვრივიშვილი იქაც საქართველოს სახელით გამოვა. ლიცენზიის მოპოვება კი ნაღდად ხელეწიფება, რადგან სიდნეის საგზურს მოწინავეთა დიდ ჯგუფს აძლევენ, ხათუნა კი ამჯერად ჩინებულ ფორმაშია. ეს თავადაც დაგვიდასტურა, როცა ამერიკაში შევეხმიანეთ და ამაზე მისი შედეგებიც მეტყველებს: ახლახან არიზონაში 1321 ქულა გაიკეთა.

ქვრივიშვილი ალბათ ლიცენზიას ნამდვილად მოიპოვებს, მაგრამ თავი ფინანსურმა პრობლემამ იჩინა. ტურნირებზე მას ამერიკელები, ბუნებრივია, არ გაგზავნიან. ქართული სპორტის ჯიბეგაფხეკილობა კი კარგად მოგვეხსენება. მსოფლიოს ჩემპიონატზე ხათუნა თავისი ხარჯით მიემგზავრება. როგორც საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციაში გვითხრეს, წლეულს მას ვერ დააფინანსებენ. აი, ლიცენზიის მოპოვების შემდეგ კი მის სათანადოდ მოსამზადებლად თანხებს როგორმე გამოძებნიან. კიდევ კარგი; კლუბში ვარჯიშის პრობლემა მაინც არა აქვს.

ისე, ფული რომ იყოს, ლიცენზიების მოპოვების შანსი საქართველოში დარჩენილ მშვილდოსნებსაც აქვთ.

ეტყობა, აშშ-ში მცხოვრებ კიდევ ერთ ქართველ სპორტსმენს, ხუთჭიდელ ვახტანგ იაგორაშვილს ოლიმპიადაზე ჩვენს ნაკრებში ვეღარ ვიხილავთ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას აშშ-ის ნაკრებში სურს გამოსვლა, რადგან ბარე 7 წელია, იქ ცხოვრობს, მუშაობს და ვარჯიშობს. თან უკვე მასპინძლებიც დაჟინებით მოითხოვენ, მათ გუნდში გამოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სავარჯიშო პირობებს აღარ შეუქმნიან. მას ჯერ არც აშშ-ის მოქალაქეობა მიეღია. თუ ლიცენზიას მოიპოვებს, მაშინ ამერიკელები მოქალაქეობას არ დაუხანებენ (მით უფრო, საამისოდ საჭირო 5 წელი უკვე გავიდა). ლიცენზიას თუ ვერ მოიპოვებს, მაშინ ჩვენთვისაც დაკარგულა და მათთვისაც. თუ მოიპოვებს, ის ლიცენზია მაინც ამერიკელებისა იქნება და არა ჩვენი, რადგან სალიცენზიო ტურნირებში მათი სახელით გამოდის. როგორც სეოკის გენერალურმა მდივანმა ეშზარ ზენაიშვილმა გვითხრა, რადგან იაგორაშვილი 7 წელია, აშშ-ში ცხოვრობს, ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტს არა აქვს უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს იაგორაშვილის გაამერიკელებას.

ირაკლი თავაძე

მექსიკის კონგრესის დეპუტატმა ბერნადო სეგურამ სპორტისთვისაც მოიცალა და 20-კილომეტრიან დისტანციაზე ყველა მეტოქეს აჯობა

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ!

ᲒᲐᲡᲣᲚ უქმეებზე მყუდრო ფრანგულმა ქალაქმა დიივი-მეზიდონმა სპორტულად მოსიარულეთა მე-19 მსოფლიო თასს უმასპინძლა. ასპარეზობა, ეგრ ევე უნდა განვაცხადოთ, ლაღი და სეირიანი გამოდგა, მოსიარულეებმაც შუშარად იარეს და ქომაგებმაც კამაცკამაც გაიხარეს.

უგრძელეს, 50-კილომეტრიან ტრასაზე, რომელზე კვანწვის პროგატივაც მხოლოდ მამაკაცებს გააჩნიათ, უსწრაფესი და უგამძლესი ყაზახი სერგეი კორეპანოვი იყო. აქამომდელ მსოფლიო თუ ოლიმპიურ სარბიელებზე სეროჟას უფერული ადგილები დაეკავებინა და წინასარბოლო რეპორტაჟებში მოხსენიების ღირსად ამიტომაც არავის ჩაეთვალა. მაგრამ ღვთის მადლით, ადამიანებს ისეთი ადგილებიც მოგვეპოვება, სადაც თეთრისა და შავის გარჩევა უპრობლემოდ შეიძლება და ერთი ასეთი ეგ დიივი-მეზიდონიც ყოფილა. ყაზახმა მოარულმა მთელი 50 კმ სტაბილურად, მიზანდასახულად და შეუპოვრად განვლო და ყველაზე წინ მობაჯბაჯე რუსს, ნიკოლაი მატიუხინს სწორედ მაშინ გადაუსწრო, ამ უკანასკნელს უკვე არაქათი რომ გამოლეოდა. ეგ ამბავი ბოლო წრეზე მოხდა, ანუ მაშინ, ვეღარც გადასწრებული რომ იღონებდა რამეს და ვერცთუ გადამსწრებს რომ შეაჩერებდა ვინმე... რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ფინიშის ხაზი პირველმა სეროჟამ გადაიარა, ამხანაგ ნიკოლაის კი ბოლო მეტრებზე კიდევ ერთი მეტოქის, პოლონელი ტომაშ ლიპიეჩის მძლავრად მბრუნავი გავის ყურება მოუხდა. თასის წინა მფლობელი, ესპანელი ხესუს გარსია მხოლოდ მეოთხე ადგილს დაჰყაბულდა.

სერგეი კორეპანოვის ნაჩვენები შედეგი — 3.39.22 სპორტული სიარულის ისტორიაში მე-5 უჩქარეს შედეგად უნდა აღვიქვათ. სტატისტიკა და მისი მომიჯნავე დარგები ჩვენგან თურმე სწორედ ამას მოითხოვენ. თუმცა, სერიოჟას ამ გამარჯვების ყველაზე სასიხარულო მხარე მაინც ისაა, რომ კვირა დღის აქეთ მისი პირადი ღარიბი ქონება 20 000 დოლარით გამდიდრდა და, აწი მასაც შეეძლება ვარჯიშის შემდეგ შხაპისა თუ სხვა კუდრაჭობების მიღება.

გუნდურ ჩათვლაში აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთი; 2. ესპანეთი; 3. გერმანია. მასპინძელი ფრანგები კი ჯამში მეოთხეზე გავიდნენ.

ვაჟთა 20 კილომეტრიანი ბილიკი ყველაზე მალე მექსიკელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა, მექსიკის კონგრესის დეპუტატმა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ, ბერნადო სეგურამ გადალახა. საჩემპიონო სიჩქარე მან პირველი მეტრებიდანვე აკრიფა, მაგრამ ნიკოლაი მატიუხინისაგან განსხვავებით, იგი ეგრემც არც ერთხელ არ დაუგდია. ჩინელმა გუოჰუი იუმ მისთვის თეძოების აყოლება მხოლოდ უკანასკნელ კილომეტრებზე გაახერხა. შედეგად: 1.20.20 სეგურასი, ხოლო 1.20.21 იუსი. კვარცხლბეკზე მათთან ერთად შედგომის უფლება რუს ვლადიმირ ანდრეევს მიეცა. მან 1.20.29 აჩვენა. სახელოვანმა პოლონელმა, 30 წლის რობერტ კორჟენიოვსკიმ, რომელიც 50 კმ-დან 20-ზე საგანგებოდ, განსხვავებული ოქროს მოსაგებად გადავიდა, ამჯერად თავი ვერაფრით გამოიჩინა და გვირგვინოსანთა მიღმა აღმოჩნდა. გუნდური პირველობა აქაც რუსებმა მოიგეს. მეორე და მესამე შესაბამისად, ჩინელებისა და მექსიკელებისა იყო.

რაც შეეხება ქალთა განყოფილებას, აქ 20 კმ-იანი დაძაბული, მრავალლიდერიანი და მრავალგადასწრება-გადმოსწრებიანი რბოლა მსოფლიოს რეკორდსმენმა, ჩინელმა ჰონგუი ლიუმ მოიგო. მან მხოლოდ 2 წმ-ით დაადგინა თავისსავე საუკეთესო 1.27.32-იან მიღწევასთან შედარებით. მეორე ადგილი რუსმა ნატალია ფედოშკინამ დაიკავა. ფინიშთან მესამე რუმინელი ნორიცა ჩიმპეანი მიიზლაზნა. რუსი ოლიმპიური ჩემპიონი, ფერხორციანი ელენა ნიკოლაევა, პირველ კილომეტრებზე ყველაზე მკვირცხლად რომ მიგოგმანებდა, ბოლოსკენ მოიჩვარა და მეოთხე ადგილს დასჯერდა. გუნდურ ჩათვლაში აქ ყველას ჩინელებმა აჯობეს. რუსთა მდედრიონის საერთო მონაგარმა მეორეზე გაქაჩა, მექსიკელებისამ კი — საპატიო მესამეზე.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ჰონგუი ლიუ



სერგეი კორეპანოვი

ᲙᲔᲑᲐ ᲛᲑᲐᲘᲝᲡᲘᲡ



ᲐᲛ სახელისა და გვარის მქონე ადამიანი ეროვნებით სენეგალელია, მოწოდებით სპორტის მეოხი, თანამდებობით კი — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეთიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. ზნეობათა და უზნეობათა დარაჯის ლაბადა ბატონ კებას სულ ახლახან, ჰა-ჰა ერთი თვის წინათ მოუსხამს, მაგრამ საქმეს ისეთი ჯიგრით შესჭიდებია, რომ „სოკ-ის გაგდებულთა", თვითგადამდგართა და ყვითელ-ბარათნაჩვენებთა ექვს პლუს ოთხი, პლუს ცხრაკაციან სიას, ვინძლო, მალე ნოყიერი გაფართოება ელოდეს. ასეთი მოლოდინის საფუძველს კი ლოზანიდან გუშინ მიღებული ერთი ინფორმაცია იძლევა.

ამ ინფორმაციის თანახმად კება მბაიეს ქვეკომიტეტის ჩამოყალიბებისთანავე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისათვის ეგეთი რამე მოუთხოვნია — თუკი სოკ-ის რომელიმე წევრი ცულღუტობაში შეგიმჩნევიათ, არ დამალოთ და ყველაფერი უკლებლივ გვაუწყეთო. ეროვნულ ოკ-ებსაც (ძირითადად იმ ქვეყნებისას, რომელთა ამა თუ იმ ქალაქსაც რომელიც გინდა იმ ოლიმპიადის სამასპინძლო კონკურსში მიუღია მონაწილეობა) თავიანთი საკუჭნაოები მოუჩხრეკიათ, ნესტორები გამოუწმენდიათ და აქა-იქ თურმე კარგა მსუყე ღლავებიცა და ბოტოტებიც დაულანდავთ. კება მბაიეს თქმით, „ამ ოპერაციის შედეგად სოკ-ის კიდევ 30 წევრზე მეტ-ნაკლები მნიშვნელობის „კომპრომატები" ამოტივტივებულა".

„ახლა რომ გითხრათ, ასფაიზაღიანი რამეები დავითრიეთ-მეთქი, მართალი არ იქნება, მარა ვერც იმას უარვყოფთ, რომ ვიღაც-ვიღაცეებს ძალიან მალე სერიოზული პრობლემები გაუნდება", — ამ ასე განუცხადებია სუმეგალელ ჩინოვნიკს.

იმ 30-კაციან ჩამონათვალში, რომელიც აწი ბევრ სოკ-ელს წაართმევს უსიბაზონოდ და უდიმედროლოდ დაძინების ბედნიერებას, თურმე ისეთებიც ბლომად მოიხსენიებიან, სოლტ-ლეიკ-2002-ის სამექრთამეო სკანდალში რომ გადიოდნენ. ბატონი მბაიე მათი დასახელებისაგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებს, თუმცა ყველაფრის გულდასმით გამორკვევასა და თავ-თავის დროზე გამოაშკარავებასაც გვპირდება.

REUTERS ლოზანიდან

სოკ-ის ეთიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე კება მბაიე მექრთამეებს მხილებით ემუქრება

ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲣᲗᲐᲡᲘ

ᲗᲣᲠᲛᲔ ნუ იტყვითა და, ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ (ანუ 4 მაისის ამა და ამ საათზე) სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადამდე ზუსტად 500 დღე დარჩენილა. ოლიმპიური ცეცხლი ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე მომავალი წლის 15 სექტემბერს აბრიალდება. ზეპურ მსოფლიო სპორტთან და მის თანმყოლ ანგელოზებთან მორიგი ზიარების შანსიც სწორედ იმ დღეს უნდა მოგვეცეს. ხოლო მანამდე? — მანამდე, როგორც ასეთ შემთხვევებში ამბობენ ხოლმე, ვისთვის როგორ. ანუ ზოგისთვის ისე, ზოგისთვისაც კიდე — ასე...

აი, სიდნეში კი მთელი ამ ხუთასი დღის განმავლობაში ოლიმპიური რამე-რუმისა და ხარა-ხურის დიდი ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდება. ამის სოლიდური საფუძველი იქ უკვე გუშინ ჩაიდო — ფულის უაზროდ დახარჯვის მოსურნე სიდნეელებს ფოლადისა და ბრპენის მავანი სკულპტურა-ქანდაკებების შეძენის საშუალება მიეცათ. ხელოვნების ხსენებული ნაწარმები თუ ნაწარმოებები მთლიანად სპორტის თემას მიძღვნოდა, ზოგან თამასაზე მხტომარე ქალი გამოეძერწათ, ზოგან კიდე ბადროს მტყორცნელი ჭაბუკი. ჰოდა, როგორც წელანაც მოგახსენეთ, ამდაგვარ ნაკეთობათა დასაკუთრების საშუალება სიდნეისა და მის შორიახლო მაცხოვრებელთ ოლიმპიადამდე დარჩენილ ყველა 500-ვე დღეს ექნებათ.

სხვათა შორის, გუშინ, საგანგებოდ ამ თარიღისადმი მიძღვნილი, დაუდგენელი შინაარსის ტყვიის ძეგლი ერთ იქაურ ბიზნესმენს 17 ათას დოლარად შეუსყიდია და, ავსტრალიელ კოლეგებს თუ ვერწმუნებით, მაგარი ბედნიერიც დარჩენილა.

სხვაფრივ კი გუშინდელ სიდნეურ ამბებში კაი ძალი ინფორმაცია სოკ-ის წევრს, ამასწინათ „სერიოზულად დატუქსულ" ფილ კოულზს ეძღვნებოდა. ამ კეთილ კაცს (იქნებ არ დაგვიწყებიათ კიდეც) სოლტ ლეიკში მასპინძელთა ხარჯზე ყურბანბაირამობა და 1996 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისათვის მოჩალიჩე ათენელებისაგან უცხო რამ თვალ-მარგალიტის მიღება ბრალდება. ჰოდა, ამ სავალალო გარემოების გამოისობით სიდნეი-2000-ის სამაშხალო ესტაფეტიდან ხომ გამოაპანღურეს, ახლა საორგანიზაციო ოლიმპიადის კომიტეტიდან მის გაპანღურებასაც ცდილობენ. იმ ლოგიკით, რომ „Такие люди как вы ხაიტარაკუმენ რესპუბლიკასაო"...

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲨᲐᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲘᲡᲐ

ᲔᲠᲗ დროს მიშელ სმიტ დე ბრუინის გვარ-სახელის გაგონებისას იქნებ ოლიმპიური ტრიუმფი და ოქროს მედლების გროვა წარმოგედგინათ, მაგრამ ეს რამდენიმე თვეა, ირლანდიელი მოცურავის თანამდევად ულირსი და უსახელო ყვითელი (უმეტესად) სითხე იქცა.

შარშან იანვარში დე ბრუინის შარდში ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (FINA) ამ საქმეში ფრიად დახელოვნებულმა და გამოცდილმა ექსპერტებმა ალკოჰოლის საეჭვოდ მაღალი დონე აღმოაჩინეს, რაც თურმე „ჩვეულებრივი მოხმარების" შედეგს არ ჰგავდა და უფრო „ფიზიკური მანიპულაცია" უნდა ყოფილიყო. შეიძლება სიტყვების ეს რახარუხი თქვენთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ დე ბრუინს ის დოპინგის ხმარებაში დადანაშაულებითა და სპორტიდან მოკვეთით ემუქრებოდა.

გამოხდა ხანი და ექსპერტებმა შარდის ხელმეორედ გასინჯვა რომ მოიწადინეს, ნიმუში შეცვლილი დაუხვდათ. რაკი FINA-ს უღმრთო წარმომადგენლებს ზეციური ძალების ჩარევის ან სასწაულის მოხდენისა მაინცდამაინც არ სწამთ, ლოგიკური დასკვნა გააკეთეს, ამაში დაინტერესებული უპირველესად დე ბრუინი იყო და ის ითაღლითებდაო. ჰოდა, 6 აგვისტოს ირლანდიელ დიაცს ოთხწლიანი იძულებითი შესვენება გამოუწერეს.

ბუნებრივია, თავად მიშელს ეს ამბავი გულზე მაინცდამაინც არ მოეფონა, მით უმეტეს, მეორე მხარეს, ვარაუდისა და ლოგიკის გარდა ზურგს არც ერთი დამმტკიცებელი საბუთი არ უმაგრებდა და სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს აპელაციაც სასწრაფოდ აახლა. ირლანდიელის ბანაკი FINA-ს გალმა გაედავა, ნიმუშის შემოწმებისას შესაბამისი პროცედურები არ დაგიცავთ, შარდის შეცვლაც მესამე მხარეს შეეძლოო.

REUTERS ლოზანიდან

მიშელ სმიტ დე ბრუინი განაჩენს ელის

„მე ყოველთვის დოპინგის გამოყენების წინააღმდეგი ვიყავი. ეტყობა, ვიღაცას ჩემი კარიერის და რეპუტაციის გაფუჭება სურდა" — მეტი დამაჯერებლობისთვის აცრემლებულმა განაცხადა მოცურავემ FINA-ს ბრალმდებლის, ჟან-პიერ მორანის მიერ დაკითხვისას.

თუმცა დე ბრუინის სიტყვას მორანისთვის გული არ აუჩუყებია: „ამას მხოლოდ ის გააკეთებდა, სხვა ვარიანტს ვერც კი ვხედავო".

ძნელი სათქმელია, ვის უფრო დაუჯერებს სამკაციანი სასამართლო. საქმის მოსმენა ორშაბათ-სამშაბათს მიმდინარეობდა, განაჩენს კი უახლოეს დღეებში ელიან. სხვათა შორის, სასამართლოს ისტორიაში პირველად, პროცესია ღია გახლდათ და მასზე ნებისმიერ მსურველს შეეძლო დასწრება.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ატლანტის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი ირლანდიელის ფენომენალურ მიღწევებს ბევრი, დიდი ხანია, ეჭვის თვალით უცქერდა. საქმე ის არის, რომ სანამ მიშელი გვარად სმიტს ატარებდა, კოლეგებისგან არაფრით გამოირჩეოდა, მერე კი მეუღლედ და მწვრთნელად ჰოლანდიელი ბადროს მტყორცნელი ერიკ დე ბრუინი შეიგულა და მაშინვე ვარსკვლავები მოწყვიტა ციდან.

საიდან ეჭვები? ერიკ დე ბრუინი დოპინგის გამოყენების გამო თავის დროზე ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯეს.

ᲫᲐᲮᲐ ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ზაბელმა აღლუმი მიიღო

REUTERS ფრანკფურტიდან

ერიკ ზაბელის ის ფინიში, მთელი გერმანია რომ გაახარა

გერმანიის ჩემპიონმა ერიკ ზაბელმა (ტელეკომი) თავის ქვეყანაში ჩატარებულ ველომრბოლთა „ფრანკფურტის გრან-პრიში“ პირველობა არავის დაუთმო. შაბათს გამართულ შეჯიბრში მრბოლებმა 206 კმ-იანი გზა გაიარეს. მთელი დისტანციის მანძილზე იგრძნობოდა, რომ იმ დღეს „ტელეკომი“ მოიგებდა, რადგან ამ გერმანული გუნდის წევრები მშვენივრად აკონტროლებდნენ რბოლას.

ფრანკფურტის გარშემო ათასობით გულშემატკივარი მოგროვილიყო და თავიანთი თანამემამულის გამარჯვებას სიხარულის შეძახილებით შეეგებნენ. ბერლინელი ზაბელი, ოლაფ ლუდვიგის (1994წ) შემდეგ პირველი გერმანელია, ვინც აქ მოგება შეძლო. ამ წარმატებისთვის მას ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა რუდოლფ შარპინგმაც მოუწყო შეხვედრა, რომელიც ველოსპორტის თავგადაკლული ქომაგი ყოფილა.

„მომილოცავს, ერიკ! შენ როგორც იქნა, ის გამარჯვება მოიპოვე, მთელი ჩვენი გუნდი მოუთმენლად რომ ელოდა. ყველამ კარგად ვიმუშავეთ“ — თქვა „ტურ დე ფრანსის“ 1997 წლის მომგებმა იან ულრიხმა. სხვათა შორის, ულრიხს ნამდვილად შეეტყო, რომ უხეიროდ დაწყებული სეზონის შემდეგ ნელ-ნელა იბრუნებს საუკეთესო ფორმას და, ალბათ, სწორედ ის იქნება „ტურ დე ფრანსის“ დროს „ტელეკომის“ ლიდერი.

ჯგუფური სპრინტით დამთავრებული ეს რბოლა კიდევ ერთი რამით იყო აღსანიშნავი. უკანასკნელი „ტურ დე ფრანსისას“ დისკვალიფიკაციამიღებული „ფესტინას“ ხუთი წევრი, ფრანგები ლორან ბროშარი, კრისტოფ მორო, პასკალ ერვე და შვეიცარიელები ლორან დიუფო და არმინ მეიერი სპორტს დაუბრუნდნენ. თუმცა დიდი ვერაფრით გამოიჩინეს თავი. მათ შორის საუკეთესო ბროშარი საბოლოოდ 36-ე ადგილს დასჯერდა.

გაიოზ თალაძგაძე

საბოლოო შედეგები:

1. ერიკ ზაბელი (გერმანია) — 5 სთ, 3 წთ და 40 წმ
2. ლეონ ვან ბონი (ჰოლანდია)
3. ალბერტო ონგარატო (იტალია)
4. სერგეი ივანოვი (რუსეთი)
5. ალექსანდრ გონჩენკოვი (რუსეთი)
6. ტორსტენ შმიდტი (გერმანია)
7. პატრიკ ვეტში (შვეიცარია)
8. ალენ ტურიჩია (იტალია)
9. ფაბიანო ფონტანელი (იტალია)
10. საშა ჰენრიქსი (გერმანია) — ყველას იგივე დრო.

STANLEY CUP PLAYOFFS

3 მაისი

დასავლეთი

სერიის ანგარიში

კოლორადო — სან ხოსე 4:2

სან ხოსე — კოლორადო 2:3

0:0 1:1 1:1 0:1

0:1 ფლერი 32'52 (3); 1:1 ჰოულდერი 36'29 (3); 2:1 ფრიზენი 51'51 (2); 2:2 ოზოლინში 53'29 (2); 2:3 ჰეიდუკი 73'12 (3)

ასეთი რამ არცთუ ხშირად ხდება. ვარსკვლავებით გადაჭედილ „ეველანშში“ ყველაზე იღბლიანი ჩეხი ახალბედა მილან ჰეიდუკი გამოდგა. ნაგანოს ოლიმპიადის ჩემპიონმა კიდევ ერთხელ გაიტანა გადამწყვეტი გოლი ოვერტაიმში (პირველი სერიის მეორე მატჩში მიითვალა) და სან ხოსესთან უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში თავის კლუბს სერიაში გამარჯვება მოუტანა. მანამდე კი, ისევე, როგორც წინა შეხვედრებში, თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ხოლო ოვერტაიმში აპოგეას მიაღწია. კოლორადოს კაპიტნის, ჯო საკიკის თქმით, ის ვერც კი წარმოიდგენდა, თუ დამატებით დროში ესოდენ გახსნილი და შემტევი ჰოკეი გაჩაღდებოდა. განსაკუთრებით მასპინძლები აქტიურობდნენ, რომლებმაც ჰეიდუკის გოლამდე ორჯერ ძელს მოარტყეს შაიბა, თანაც, ოთხწუთიანი რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენეს. ეს კი არ ეპატიათ.

მატჩის შემდეგ კოლორადოელთაგან ყველაზე გახარებული ტეო ფლერი ჩანდა: „ძალიან ბედნიერი ვარ. ათი წელი დაგვჭირდა თასის პირველი რაუნდის ბარიერის დასაძლევად“. რაღა გვეთქმის, ტეო სამართლიანად ზეიმობს თავისი კლუბის წარმატებას. მე-6 მატჩში მან 3 (1+2) ქულა მიითვალა და ბომბარდირთა სიაში 11 (3+8) ქულით ჯერჯერობით მხოლოდ 12-ქულიან (3+9) თანაგუნდელ ჯო საკიკს ჩამორჩება. რაც მთავარია, მიმომხილველთა აზრით, სწორედ კოლორადოს ლიდერთა ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა ამ თანაბარი სერიის ბედი. ახლა კი „ეველანშს“ გაცილებით მრისხანე მეტოქე, თვით დეტროიტი ელის.

დიდება დიადს!

კარი ღიაა, მისტერ გრეცკი!

გრეცკის ვინ ალოდინებდა?!

„13 წლის ვიყავი, როდესაც „დიდების დარბაზში“ მოვხვდი. ვიდექი და პირდაღებული შევცქეროდი ლეგენდათა სურათებს. ეს ჩემი ბავშვობის უდიდესი შთაბეჭდილება იყო“ — იხსენებს უეინ გრეცკი, კაცი, რომელიც ლეგენდად იქცა და ამიერიდან თავად შეუერთდა ნჰლ-ის ჰოკეის მექას. ალბათ გახსოვთ, ჩემპიონატის დასრულებიდან ერთი დღის შემდეგ იგი „დიდების დარბაზში“ რომ წარადგინეს.

ამ დღეებში საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარემ, ჯიმ გრეგორიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ უეინ გრეცკი ლიგის ისტორიაში მეათე ჰოკეისტი გახდება, რომელსაც „დიდების დარბაზში“ აუცილებელი სამწლიანი ლოდინის გარეშე მიიღებენ. ოფიციალური ცერემონია 22 ნოემბერს გაიმართება ტორონტოში.

ბოლო, ვისთვისაც „დარბაზმა“ ასეთი გამონაკლისი დაუშვა, პიტსბურგელი მარიო ლემიე გახლდათ. თუმცა მან ნახევარი წელიწადი მაინც იცადა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ლიგამ „დიადს“ კიდევ ერთი პატივი მიაგო — ამიერიდან 99 ნომრით აღარავინ იასპარეზებს — იგი მხოლოდ უეინ გრეცკის საკუთრება გახდა.

წააგო. ეწყინა. დალია და...

„ჯაროლინა ჰერიკენსის“ (ყოფილი ჰართფორდი) ახალ ადგილსამყოფელში ჩატარებული პირველი სეზონი ტრაგიკულად დასრულდა. ბოსტონთან სერიის ბოლო, მეექვსე თამაშის დასრულების შემდეგ, სულ რამდენიმე საათში (შეგახსენებთ, რომ კაროლინამ სერია 2:4 დათმო), დაიღუპა კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, 32 წლის სტივ ჩესონი. მატჩის შემდეგ შინ მიმავალ მცველს მანქანა გადაუბრუნდა და ადგილზევე გარდაიცვალა.

რა მოხდა, ჯერ დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ თანაგუნდელებთან და კლუბის ხელმძღვანელებთან საუბრებით ირკვევა, რომ ჩესონი კაროლინას მარცხს ძალიან გაუნაწყენებია. როგორც ვარაუდობენ, იგი ნასვამი იყო. ნჰლ-ის კომისიონერმა გერი ბეტმენმა დიდი გულისტკივილით ილაპარაკა მასზე: „არ არსებობს სიტყვები, ჩვენს მწუხარებას რომ გამოხატავდა. სიცოცხლეს გამოეთხოვა ჩინებული ჰოკეისტი და სამი შვილის მამა“. კაროლინელთა მწვრთნელი, პოლ მორისი: „ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი წევრი გამოაკლდა ჩვენს ოჯახს“. 13 წლის განმავლობაში ჩესონმა 751 თამაში ჩაატარა და 398 (93+305) ქულა მიითვალა. კარიერის უმეტესი ნაწილი მან დეტროიტში გაატარა, ხოლო 1993 წელს „ALL STAR GAME“-ში მონაწილეობდა.

ISHOCKEY VM '99

LILLEHAMMER - HAMAR - OSLO

1.mai - 16.mai

3 მაისი

A ჯგუფი

სლოვაკეთი — იტალია 7:4

1:0 4:2 2:2

1:0 კოლნიკი 11'57; 2:0 პარდავი 24'32; 2:1 ბარტოლონე 29'45; 3:1 ჰოსა 33'11; 3:2 ბარტოლონე 34'29; 4:2 დანო 35'14; 5:2 კოლნიკი 36'22; 6:2 პალფი 39'56; 6:3 ბარტოლონე 46'13; 6:4 ბუსილო 48'59; 7:4 ციგერი 58'01

იტალიელები მცველ კრისტოფ ბარტოლონეს ჰეთ-თრიქმაც ვერ იხსნა. სლოვაკთაგან ყურადღებას ზიგმუნდ პალფისა (აილენდერსი) და მარიან ჰოსას (ოტავა) წყვილი იმსახურებს — მათ ანგარიშზე 3-3 ქულაა.

კანადა — ნორვეგია 4:2

1:1 2:0 1:1

1:0 ქინტალი 3'11; 1:1 იაკობსენი 8'30; 2:1 ტორნტონი 31'22; 3:1 ბლეიკი 36'10; 3:2 ნილსენი 41'04; 4:2 გრეივსი 56'56

ბევრს ეგონა, რომ ნორვეგიელები სლოვაკებთან მატჩის წინ ძალებს დაზოგავდნენ, მაგრამ მათ თავდადებით იბრძოლეს და თამაშის შუამდე მრისხანე მეტოქეს ტოლი არ დაუდეს. კანადელებმაც მხოლოდ 57-ე წუთზე ამოისუნთქეს.

კანადა	2	0	0	7:4	4
სლოვაკეთი	1	0	1	9:7	2
ნორვეგია	1	0	1	7:6	2
იტალია	0	0	2	6:12	0

C ჯგუფი

ჩეხეთი — იაპონია 12:2

4:2 7:0 1:0

0:1 იაპატა 1'23; 1:1 მ. პროხაზკა 3'25; 2:1 უიჩიკი 4'03; 3:1 ვიბორნი 11'15; 3:2 სუზუკი 17'07; 4:2 ლ. პროხაზკა 19'30; 5:2 კაბერლე 20'34; 6:2 ჰლავაჩი 25'19; 7:2 კალოუნი 29'01; 8:2 ჰლავაჩი 31'46; 9:2 რუჩინსკი 35'35; 10:2 უიჩიკი 37'17; 11:2 კალოუნი 38'04; 12:2 ლ. პროხაზკა 56'27

აზიის წარმომადგენელს ამ ტურნირზე ნამდვილად არაფერი ესაქმება. მათ პირველი გოლი კი გაიტანეს, მაგრამ ამან ოლიმპიური ჩემპიონები ისე გააბრაზა, გოლების სეტყვა მხოლოდ მეორე პერიოდის მიწურულღა შეაჩერეს.

აშშ — ავსტრია 5:2

1:0 3:0 1:2

1:0 ტეიმერი 18'19; 2:0 სმოლინსკი 28'36; 3:0 დონატო 32'48; 4:0 რიხტერი 37'53; 4:1 ლავუა 40'13; 5:1 სმოლინსკი 41'29; 5:2 ტრატნიგი 44'07

შარშანდელმა უიღბლობამ ამერიკელებს (აშშ კინაღამ უძლიერესთა ჯგუფიდან გავარდა) ჭკუა ასწავლა და წლეულს გაცილებით სერიოზულად დაიწყეს ჩემპიონატი. მათმა ლიდერმა, ოტაველმა ტედ დონატომ, პირველი თამაშის დარად, 2 ქულა მიითვალა.

ჩეხეთი	2	0	0	19:2	4
აშშ	2	0	0	12:3	4
ავსტრია	0	0	2	2:12	0
იაპონია	0	0	2	3:19	0

მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დღემ საბლეიოფო რაუნდში გასული პირველი სამი ნაკრები გამოავლინა. ორ-ორი გამარჯვების შემდეგ მეორე ეტაპზე ბრძოლის უფლება კანადის, ჩეხეთის და აშშ-ის გუნდებმა მოიპოვეს

ჩემპიონატის მსახიობები

ჩემპიონატის წინასწარ ეტაპზე ყველა გუნდი, ცხადია, თავის ლოკალურ ამოცანას წყვეტს. ფავორიტები, მოგეხსენებათ, სუსტ მეტოქეებთან მოგებაზე მეტად შემადგენლობებში დარჩენილი ვაკანსიების შევსებაზე ზრუნავენ. თუმც ზოგიერთმა ნჰლ-ის პლეი ოფიდან გათავისუფლებულ ვარსკვლავებს აღარ დაუცადა, ისე დააკომპლექტა გუნდი. შვედების საქმისადმი ამგვარი მიდგომა გასაგებიცაა. მათ უკვე ჰყავთ 6 ძლიერი ნჰლ-ელი, მათ შორის ოტაველი დანიელ ალფრედსონი, ვანკუვერელი მარკუს ნესლუნდი (36 გოლი ჩემპიონატში) და, რაც მათთვის უმთავრესია, ჩინებული მეკარე — ედმონტონელი ტომი სალო. ორ სუპერვარსკვლავს — პეტერ ფორსბერგს და მატს სუნდინს შვედები კიდევ დიდხანს დაელოდებოდნენ, მაგრამ მათი ნორვეგიაში ჩასვლა შეუძლებელი შეიქნა. ამათი კლუბები — კოლორადო და ტორონტო პლეი ოფის მეორე რაუნდში გავიდნენ.

აი, რუსებმა კი ყველა გააკვირვეს. პირველად გამოაცხადეს, ჩემპიონატს 18 ჰოკეისტით ვიწყებთო, მაგრამ ბელარუსებთანპირველი მატჩის წინ გაირკვა, რომ მათ დარჩენილი ვაკანსიებიც (ერთის გარდა) შეევსოთ. ეტყობა, ისინი მხოლოდ ერთ ნჰლ-ელს ალექსეი იაშინს დასჯერდებიან.

ფინელთა დასახმარებლად კი თვით ანაჰაიმელი ტეემუ სელიანე ჩამოდის, რაც „სუომის“ ნაკრებს უეჭველად ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად აქცევს.

წინასწარი ინფორმაციით, სოლიდურ დახმარებას ელის აშშ-ის გუნდი — ფილადელფიელ ჯონ ლეკლერსა და მეკარე ჯონ ვანბისბრუკს შეიმატებს, ხოლო კანადელები, რომლებიც ჯერჯერობით 18-კაციანი შემადგენლობით ასპარეზობენ, თავიანთ გეგმებს საიდუმლოდ ინახავენ. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა ნაკრებს 23 მოთამაშის, მათ შორის 3 მეკარის გამოყვანა შეუძლია.

* * *

ტემპერამენტით გამორჩეულ რეინჯერსელ მაიკ ნაბლს ისე გაუხარდა, აშშ-ის ნაკრების თავკაცმა ტერი მიურეიმ პირველ ხუთეულში რომ დააყენა, ფორვარდს ფიცი მიუცია, ასეთ ნდობას გამართლება უნდა, ჩემპიონატზე ერთხელაც არ ვიჩხუბებ, ეს ხომ ნჰლ არაა, აქ იმიტომ ჩამოვედი, ჰოკეისგან სიამოვნება მივიღოო.

REUTERS ოსლოდან

აშშ — ავსტრია. ავსტრიელ კრისტიან პერტჰალერს ამერიკელთა კართან შავი დღე დაადგა

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

4 მაისი

ოსლო
B ჯგუფი

ლატვია — საფრანგეთი 8:5
2:3 2:2 4:0
ლატვია: კიპრუსი (02'29, 55'39, 59'45), ზოლტოკსი (15'25), ბელავსკისი (21'00, 47'34), ნიციეფუსი (27'24), სემიონოვსი (44'07)
საფრანგეთი: გუელე (12'41), ბრიანი (16'00), ბოზონი (18'28), პერესი (34'33), ალარდი (37'37)

შვედეთი — შვეიცარია 6:1
2:0 4:0 0:1
შვედეთი: ნესლუნდი (00'30, 26'27, 36'26), სუნდსტრიომი (03'41), ანდერსონი (24'44), ლარსონი (39'59)
შვეიცარია: ფიშერი (56'04)

ჰამარი
D ჯგუფი

რუსეთი 4:1 უკრაინა
0:1 3:0 1:0
რუსეთი: აფინოგენოვი (22'58), იაშინი (24'24, 38'06), მარკოვი (40'58)
უკრაინა: სუნკოვი (12'22)

ფინეთი 4:1 ბელარუსი
2:9 2:9 0:1
ფინეთი: კიპრუსოვი (06'32), იოკინენი (17'25), კარალაჰტი (23'03), სელიანე (34'43)
ბელარუსი: ხმილი (47'03)

REUTERS ოსლოდან

ლატვია — საფრანგეთი. ლატვიელმა როდრიგო ლავინსმა (№2) და ფრანგმა პიერ ალარდიმ ერთმანეთი ჰიდაობაშიც გამოსცადეს

REUTERS ჰარი ბიდან

პსჟ — მარსელი. პარიზელი მარკო სიმონე (მარცხნივ) მარსელელ პეტერ ლუქსენს შეჰყურებს

ბუნდესლიგა

XXX ტური

ბაიერნლეაჩტერნი 4:0 ჰერდერი
1:0 შონბერგი (63), 2:0 როსლერი (79), 3:0 შონბერგი (683), 4:0 რიშე (80)

აინტრახტი 2:2 ჰამბურგი
1:0 შური (24), 2:0 იანგი (42), 2:1 იებოა (73), 2:2 ჰოოგმა (90)

მიონხენგლადბახი 1:1 ჰანზა
0:1 ვიბრანი (63), 1:1 ფელდჰორფი (68)

შტუტგარტი 0:2 ბაიერნი
0:1 შოლი (62), 0:2 იანკერი (82)

საფრანგეთი

XXXII ტური

ლანსი 2:4 ბორდო
0:1 პერესი (4), 1:1 მორეირა (14), 2:1 ნიარკო (35), 2:2 პერესი (45), 2:3 ვილტორდი (83), 2:4 მიკუ (90)

პსჟ 2:1 მარსელი
0:1 მორისი (21), 1:1 სიმონე (84), 2:1 როდრიგესი (87)

მონპელიე 1:1 მეცი
0:1 ვან ჰანდელპოვენი (38), 1:1 ტრეზეგეტ (793)

ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

გრიმსბი 0:0 ვულვერჰემპტონი

ოლიმპიურზე ჯერ ბურთი გაგორდება

გუშინ სევილიის ახალ ოლიმპიურ სტადიონს მუშებმა ბოლოჯერ შეახეს მადლიანი ხელი. დღეს კი მის მინდორს ესპანეთისა და ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელები პირველ ნაფეხურებს დაამჩნევენ — სარბიელი საზეიმოდ იხსნება. აგვისტოში კი სევილიის ახალი ოლიმპიური მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

REUTERS იმოლადან

რუბენსის მალაყი

აქამდე მხოლოდ მეგოლე ფეხბურთელთა მალაყები გვენახა... კვირადღეს დიდი სიხარულის ყირამალათი გამოხატვა ბრაზილიელმა მრბოლმა, რუბენს ბარიჩელომაც სცადა. ეგ ამბავი იმოლას პოდიუმზე მოხდა, სადაც მესამეადგილოსანი რუბენსი „პირველმეორეზე გათვლილებთან“, მიხაელ შუმახერსა და დევიდ კულჰარდთან ერთად ავიდა. ფოტოზე ბრაზილიელის ონავრობით დიადი შუმი და მისი ერთი თანაფერარელი მოკეთე სეირობენ...

ხელმარჯვედ სცემდეთ, ობუტი-სან!



REUTERS ჩიკაგოდან

იაპონიის პრემიერის კეიძო ობუტის წინასაამერიკო მზადების ამსახველი ფოტო ამ რამდენიმე დღის წინ გაახლეთ. სენსეი ობუტი იქ საბეისბოლო ტყორცნის დახვეწაში ვარჯიშობდა, ამერიკაში ჩასულს „ჩიკაგო“-„სან დიეგოს“ მატჩი რომ ეფექტური სროლით გაეხსნა... პრემიერის გარჯა ამაოდ არ დაკარგულა. ჩიკაგოელებს იგი ისე მოსწონებიათ, რომ ნამატჩევს გასახდელშიც ჩაუყვანიათ და თავიანთი ფორმითაც შეუმოსავთ. მარჯვენა ფოტოზე ჩიკაგოელთა გამოჩენილი მობურთალი სემი სოსა სტუმარს ავტოგრაფიან კეტსაც ჩუქნის და მასთან დაკავშირებულ კეთილ მოგონებებსაც უზიარებს.



REUTERS ჩიკაგოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29